178
196/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

19 თბილისი 61

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ს. ფალიაშვილის სახ. ეროვნული
საჯარო
ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი—აპრილი

1961 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო

ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

მ. წინავე — დავეუფლოთ მუშაობის ლენინურ სტილს 3
ს. მამულია — მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია 5
მ. ლომიძე — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შესახებ 14
ბ. ფურცხვანიძე — საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი 26
თ. წერეთელი — გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის საკითხისათვის 34
მ. ბიბილაშვილი — გავაუმჯობესოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა 41
ნ. ერქომაიშვილი — საბჭოთა კონტროლის კომისია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების სადარაჯოზე 47

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ე. ნეიძე — ქალთა უფლებები საბჭოთა კავშირში 53

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

მ. თოფურიძე — თვალისახვევა, წამატება, სახელმწიფოს მოტყუება — უმძიმესი დანაშაულია 57
ა. ვაიტაძე — უზრუნველვყოთ უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვა 61
ბ. ბუბაშვილი — გარდავქმნათ საღსრულებო მოქმედება საალმენტო საქმეებზე 63

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში

იურიდიულ კონსულტაციებში ადვოკატთა დატვირთვისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 64

ფელეტონი

ზ. მესენგისერი — ორსახიანი იანუსი 65

ოფიციალური მასალა 67
ბურჟუაზიულ ქვეყნებში 72
ინფორმაცია 73
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია 81
არბიტრაჟის პრაქტიკა 86
სასამართლო პრაქტიკა 89
ბიბლიოგრაფია 94

85 79

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Овладеть ленинским стилем работы 3
С. Мамулия — Мирное сосуществование—генеральная линия внешней политики Советского Союза 5
М. Ломидзе — О новом Уголовном кодексе Грузинской ССР . 14
Б. Пурцхванидзе — Новый Уголовно-процессуальный кодекс Грузинской ССР 26
Т. Церетели — К вопросу о неосторожном соучастии 34
М. Бибилашвили Улучшить работу местных Советов депутатов трудящихся 41
Н. Еркоманишвили — Комиссия Советского контроля на страже укрепления государственной дисциплины 47

К МЕЖДУНАРОДНОМУ ЖЕНСКОМУ ДНЮ
Е. Неидзе — Права женщин в СССР 53

ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ
М. Топуридзе — Очковтирательство, приписки, обман государства—тягчайшее преступление 57
А. Ваитадзе — Обеспечим соблюдение правил техники безопасности 61
Б. Бубашвили — Перестроим исполнительские действия по алиментным делам 63

В ЮРИДИЧЕСКОЙ КОМИССИИ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР
О нагрузке адвокатов в юридических консультациях и мероприятиях по улучшению этого дела 64

ФЕЛЬЕТОН
З. Месенгисер — Двуликий Янус 65

Официальные материалы 67
В буржуазных странах 72
Информация 73
Критика и библиография 81
Арбитражная практика 86
Судебная практика 89
Библиография 94

შეკ. № 566 ტირაჟი 5.000 უე 03122	სარედაქციო კოლეგია მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურიძე, გ. ინწკირველი, ო. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე), ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 18/III-61; ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/V-61 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. ცკ-ის კპ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი,“
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунисти“ издательства ЦК КП Грузии
Тбилиси, ул. Ленина № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავეუფლოთ მუშაობის ლენინურ სტილს

საბჭოთა კავშირის ხალხები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესიული კაცობრიობა უდიდესი სიყვარულით აღნიშნავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 91 წლისთავს. დიდი ლენინის სახელი იქცა კომუნიზმისაკენ ხალხების ძლევამოსილი წინსვლის დროშად, მთელს მსოფლიოში მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სიმბოლოდ.

კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპი მეოცე საუკუნეში, ყოველი ღირსშესანიშნავი მოვლენა მსოფლიო არენაზე, უკანასკნელი პერიოდის კლასთა ბრძოლის მსვლელობა და ცვლილებანი ძალთა თანაფარდობაში, სოციალისტური ბანაკის შექმნა და მისი არნახული წარმატებანი კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით ადასტურებენ დიადი ლენინური მოძღვრების უძლეველობას, მისი იდეების ტრიუმფს.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი — კომუნისტური პარტიის შემქმნელი და ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორი და მშენებელი დიდ ძალებს აღმარდა საბჭოთა აპარატს, ზრუნავდა მისი სრულყოფილი მუშაობისათვის, უდიდეს ყურადღებას აქცევდა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, ამ საქმეში სასამართლო და პროკურატურის ორგანოების როლის ამაღლებას.

ახორციელებენ რა ბრძნულ ლენინურ მითითებებს საბჭოთა პროკურატურა, სასამართლო ორგანოები დაუღალავად იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად, საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისათვის, ისეთი პირობების შექმნისათვის, რომლებიც გამორიცხავენ დანაშაულის წარმოშობას.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ლიკვიდირებულია სოციალური მიზეზები, რომლებიც იწვევენ დამნაშავეობას. ამჟამად, როცა საბჭოთა ხალხი შეუდგა კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობას, ბრძოლას დანაშაულობასთან, წარსულის ამ წყეულ გადმონაშთთან კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მუშაკებმა თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მტკიცედ უნდა იხელმძღვანელონ პარტიის იმ მითითებით, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა მთელი საზოგადოების ღვიძლი საქმეა, უნდა პრაქტიკულად უზრუნველყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების აქტიური მონაწილეობა, მათი როლის ამაღლება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ დიდი ამოცანების განხორციელებას სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები შეძლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი მთელი მოღვაწეობა იდგება იმ პოლიტიკური ამოცანების დონეზე რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXI ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. უნდა ვიცოდეთ, რომ საკმარისი როდია მარტოოდენ დანაშაულის გახსნა ან დამნაშავის დასჯა. აუცილებელია დანაშაულის წარმოშობის პირობების ძირფესვიანი გამოკვლევა, მისი საჯაროდ გამოაშკარავება, სათანადო პოლიტიკური შეფასების მიცემა და პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ მისგან საჭირო დასკვნები გამოიტანონ სხვებმა. მკაცრად უნდა ვებრძოლოთ არა მარტო დამნაშავე ელემენტებს, არამედ იმათაც ვინც შემარიგებლობას იჩენს დანაშაულებრივი მოვლენებისადმი, თავისი სიბეცით ხელს უწყობს ოლი ცხოვრების მოყვარულთ აკეთონ ბინძური საქმეები. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ ბრძოლა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ. მკვლელები, მძარცველები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლები, აგრეთვე მექრთამეები, ხპეკულანტები და ბოროტეული ხულიგნები არავითარ დანდობას არ იმსახურებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობის ლენინური სტილის ერთერთი ნიშანია მომთხოვნელობა კადრებისადმი. ზოგგან უკანასკნელ დროს შეამცირეს ყურადღება კადრების სწავლის, აღზრდისა და გამოწრთობისათვის. ეს კი დიდი ზიანს აყენებს საქმეს. ზოგიერთი მუშაკი კარგავს რა მოვალეობის გრძნობას პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, ჩადის დაუშვებელ მოქმედებას. პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნების შედეგია ის, რომ ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოზე 1961 წლის 17 იანვრიდან ირიცხება პატიმარი შ. ფილიშვილის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც დღემდე განუხილავია. ასევე არღვევენ საპატიმრო საქმეების გარჩევის ვადებს სამგორის სახალხო სასამართლოში. აქ დღემდე განხილული არ არის გ. აბაშიძის საქმე, რომელიც პატიმრობაშია გასული წლის 31 აგვისტოდან, ეს საქმე სასამართლოში ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში იქნა მიღებული. მარნეულის რაიონის სახალხო სასამართლოში 10 სექტემბერს მიიღეს წარმოებაში მ. კიარიმოვის სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აპრილშიც კი არ იყო განხილული. ეს ფაქტები მოწმობენ, რომ ამ სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები და მოსამართლეები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ ზემოაღნიშნულ საქმეთა განხილვა, არაფრად აგდებენ კანონის მოთხოვნებს სისხლის სამართლის საქმეების დაწესებულ ვადებში განხილვის შესახებ. კანონის დარღვევა კი არავის ეპატიება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებს მშრომელებთან კავშირის განმტკიცების ლენინურ ხაზს, დაუნდობლად იბრძვის ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ. პარტია მოითხოვს გულისხმიერად მოვეპყრათ მშრომელებს, გულდასმით განვიხილოთ მათი განცხადებები და საჩივრები, არ დავუშვათ უსულგულო დამოკიდებულება მათდამი. სამწუხაროდ ყველგან ჯეროვანი ყურადღებით როდი ეკიდებიან მშრომელთა განცხადებებსა და საჩივრებს. ასე მაგალითად: ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურაში დაუშვებლად ჭიანურდება მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემა. საკმარისია ითქვას, რომ აქ უკანასკნელ ხანებში თითქმის 100-მდე განცხადებას პასუხისათვის დასჭირდა ერთი თვე და მეტი დრო. მოქ. ა.ოგანეზოვას, რომელიც მოითხოვდა სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვას, პასუხი გაეცა მხოლოდ სამი თვის შემდეგ, მოქ. ი. ჟიტნიკოვის განცხადებაზე კი 8 თვეზე მეტია პასუხი არ გაუცია. მშრომელთა განცხადებების, საჩივრების განხილვა ნაკლოვანებებთან ბრძოლის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, მათზე დროული რეაგირება, მათი გადაწყვეტა ხელს უწყობს ბიუროკრატიზმის აღმოფხვრას.

პარტია მტკიცედ მოითხოვს საბჭოთა აპარატის ყველა მუშაკისაგან დაეუფლონ მუშაობის ლენინურ ხელოვნებას, შეისწავლონ მუშაობის ლენინური სტილი, იყვნენ პრინციპულნი, მომთხოვნი თავისი თავისა და სხვების მიმართ, მთელი ძალები მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეს.

ეჭვი არ არის რომ სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაკები გააუმჯობესებენ მუშაობას, აიყვანენ თავიანთ საქმიანობას იმ მოთხოვნათა დონემდე, რაც მათ წინაშე დასმულია ჩვენი მშობლიური ლენინური პარტიის მიერ.

წინადადება მიეცეს პარტიულ ორგანიზაციებს განიხილონ და განუმარტონ კომუნისტებსა და ყველა მშრომელს თათბირის შედეგები, თათბირის მიერ მიღებული დოკუმენტების შინაარსი და მნიშვნელობა, ამასთან, მოუწოდონ ყველა საბჭოთა ადამიანს კიდევ უფრო წარმატებით გადაჭრან გაშლილი კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1961 წლის 18 იანვრის დადგენილებიდან

მშვიდობიანი თანაარსებობა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის მენერალური ხაზია

ს. მამულია

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია მოვლენები, რომლებიც მრავალი ათეული წლისათვის განსაზღვრავენ საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობას. სწორედ ასეთი მოვლენა იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც 1960 წლის ნოემბერს მოსკოვში გაიმართა. თათბირის მიერ მიღებულ დოკუმენტებს — კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა განცხადებას და მიმართვას მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი—ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა მოსკოვის თათბირის დოკუმენტებმა, რომლებიც გამსჭვალულია უდიდესი ზრუნვით იმისათვის, რომ წინამდვილედ იქცეს ხალხთა საუკუნეობრივი იდეალები მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში ცხოვრების შესახებ, მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრეს. მსოფლიო საზოგადოებრიობა, ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმე, მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ ამ დოკუმენტებს.

ის საყოველთაო ინტერესი და მხარდაჭერა, რაც თათბირის განცხადებამ და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი მიმართვამ მოიპოვეს, შემთხვევითი როდია. საერთაშორისო ურთიერთობის განვითარება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ერთადერთი გონივრული გზით წარიმართება, თუ ახალი მსოფლიო ომის საბედისწერო უფსკრულისაკენ დაეშვება, — აი რა არის თანამედროვეობის ყველაზე საჭირბოროტო, ყველაზე მწვავე საკითხი.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება მოითხოვს, რომ ომის მოწინააღმდეგე, მშვიდობისმოყვარული ძალების ძირითადი საქმიანობა წარიმართოს ომის თავიდან ასაცილებლად. თათბირის განცხადებასა და მიმართვაში მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა კომუნისტურ პარტიებს თავიანთ პირველხარისხოვან ამოცანად მიაჩნიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტებს, — ნათქვამია განცხადებაში, — თავიანთ ისტორიულ მისიად მიაჩნიათ არა მარტო ის, რომ მოსპონ ექსპლუატაცია და სიღატაკე მსოფლიო მასშტაბით და სამუდამოდ გამორიცხონ ყოველგვარი ომის შესაძლებლობა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებიდან, არამედ თანამედროვე ეპოქაშივე იხსნან კაცობრიობა ახალი მსოფლიო ომის კოშმარისაგან. ყველა ქვეყნის კომუნისტური პარტიები მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას მოახმარენ ამ დიადი ისტორიული მისიის განხორციელებას“.

* * *

ომისა და მშვიდობის პრობლემა უძველესი დროიდანვე დაკავშირებული იყო ხალხთა საარსებო ინტერესებთან. საუკუნეთა მანძილზე კაცობრიობის მოწინავე ადამიანები ფიქრობდნენ იმაზე, თუ როგორ მიეღწიათ ქვეყნად მშვიდობისათვის. საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდნენ ამაზე უბრალო მშრომელნი, რომლებიც სახნისს მახვილს ამჯობინებდნენ. მაგრამ ფიქრებს განყენებული ხასიათი ჰქონდა, ხოლო ოცნება ოცნებადვე რჩებოდა.

დაუსრულებელი ომები, რომლებსაც ექსპლოატატორული კლასები თავიანთი ბატონობის გაძლიერების, სხვისი მიწა-წყლის მიტაცების, უფრო სუსტი ხალხების დამონებისა და ძარცვის მიზნით აწყობდნენ, თავზარს სცემდნენ ჩვენს პლანეტას, ცრემლისა და სისხლის ღვარს აყენებდნენ, მშრომელთა მიერ შექმნილ აუარებელ მატერიალურ სიმდიდრეს ნთქავდნენ. ომი კაცობრიობას მძიმე ტვირთად აწვა და ტანჯავდა. შვეიცარელი მეცნიერის ბაბელის გამოანგარიშებით უკანასკნელი ხუთი ათასი წლის განმავლობაში ადამიანებმა გადაიტანეს 14.513 დიდი და პატარა ომი, რომლებშიც დაიღუპა 3 მილიარდ 640 მილიონი კაცი — გაცილებით მეტი, რასაც მთელი დედამიწის ახლანდელი მოსახლეობა შეადგენს. ომების შედეგად მოისპო 500 კვინტილიონი (ე. ი. მილიარდი მილიარდი) შვეიცარული ფრანკის სხვადასხვა ფასეულობა. ამ თანხის ოქრო საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რომ დედამიწას ეკვატორზე 8 მეტრის სისქისა და 10 კილომეტრი სიგანის ზოლად შემოკვროდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისტორიულ ასპარეზზე გამოჩნდა მუშათა კლასი, შესაძლებელი გახდა ქვეყნად მტკიცე მშვიდობის დამყარების საკითხის დასმა. მუშათა კლასმა, როგორც კი ჩამოყალიბებულ სოციალურ ძალად დამკვიდრდა, პირველად ისტორიაში, დააყენა ომის მოსპობის საკითხი. ომების ლიკვიდაციის პრობლემა მუშათა მოძრაობის პრაქტიკულ ამოცანად იქცა. „სწორედ ჩვენი იდეალია ომის დამთავრება, მშვიდობა ხალხთა შორის, ძარცვისა და ძალადობის შეწყვეტა...“[1], — წერდა 1915 წელს ვ. ი. ლენინი.

მუშათა კლასის დიდმა ბელადმა ვ. ი. ლენინმა გამოავლინა იმპერიალიზმის ეპოქის საერთაშორისო ურთიერთობისა და საგარეო პოლიტიკის კანონზომიერებანი, მისი მამოძრავებელი ძალები და დასახა მუშათა კლასის ძირითადი ამოცანები მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. განსაზღვრავდა რა დამოკიდებულებას იმპერიალისტური ომებისადმი, რომლებიც მეოცე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს ემუქრებოდნენ, ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სოციალისტებმა ხალხთა მასებს უნდა განუმარტონ კაპიტალიზმსა და ომს შორის ორგანული კავშირის არსებობა. ამავე დროს მას მიაჩნდა, რომ დანაშაული იქნებოდა ომის მომზადების წინააღმდეგ უშუალო, კონკრეტულ ბრძოლაზე უარის თქმა იმის გამო, რომ ომი კაპიტალიზმის ბუნებრივი ნაყოფია.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 353.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამიტომ მეორე ინტერნაციონალის შტუტგარტის კონგრესის (1907 წ.) რეზოლუცია, რომელიც ვ. ი. ლენინის მეოხებით იქნა მიღებული, მოუწოდებდა მუშათა კლასს ეხმარა ბრძოლის ყველა საშუალება იმპერიალისტური ომის მომზადების წინააღმდეგ, და მიუთითებდა, რომ თუ ომი მაინც დაიწყებოდა, სოციალისტების მოვალეობაა მოითხოვონ მისი უსწრაფესად შეწყვეტა და ომის მიერ წარმოშობილი ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი კაპიტალიზმის ბატონობის დამხობის დასაჩქარებლად გამოიყენონ. II ინტერნაციონალის კოპენჰაგენის (1910 წ.) და ბაზელის (1912 წ.) რეზოლუციებმა დაადასტურეს ეს ხაზი.

მარქსიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით განუხრელად ახორციელებდა II ინტერნაციონალის კონგრესების ომისსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებებს. კომუნისტური პარტიის ამ სწორმა პოზიციამ ხელი შეუწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ომიდან რუსეთის გამოსვლამ გააძლიერა ხალხთა მასების ომისსაწინააღმდეგო განწყობილება და დააჩქარა პირველი მსოფლიო ომის დამთავრება.

ვ. ი. ლენინის თვალსაჩინო დამსახურებაა აგრეთვე ის, რომ მან შეიმუშავა მოძღვრება სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ. სოციალისტურ და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი წამოიჭრა სოციალისტური რევოლუციის ლენინურ თეორიასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებდა სოციალიზმის გამარჯვებას თავდაპირველად ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში. ვ. ი. ლენინი გამოდიოდა იქიდან, რომ ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ერთმანეთის გვერდით იარსებებენ სოციალისტური და კაპიტალისტური სახელმწიფოები.

ორი საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის თანაარსებობა ვ. ი. ლენინს ისტორიულ გარდუვალობად მიაჩნდა. ილაშქრებდა რა „მემარცხენე კომუნისტების“ წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან შეთანხმების აუცილებლობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის მოქცეული სოციალისტური რესპუბლიკა, ამგვარ შეხედულებათა თვალსაზრისით, ვერავითარი ეკონომიური ხელშეკრულების დადებას ვერ შესძლებდა, იგი ვერ იარსებებდა, თუ მთვარეზე არ გაფრინდებოდა“[1].

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა არ ამოიწურება მარტო მათ შორის ომის არარსებობით, არამედ გულისხმობს ამ სახელმწიფოთა თანამშრომლობას დიპლომატიურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში. ლაპარაკობდა რა საბჭოთა საგარეო პოლიტიკის წარმატებაზე ინტერვენციის შეწყვეტისა და მშვიდობის მოპოვების საქმეში, ვ. ი. ლენინი პარტიის X ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა: „მაგრამ ჩვენ დიპლომატიური გამარჯვებებით ვერ დავკმაყოფილდებით, — ეს ჩვენთვის ძალიან ცოტაა. ჩვენ გვჭირდება ნამდვილი საკავშირო ურთიერთობა და არა მარტო დიპლომატიური გამარჯვებანი“[2].

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 66.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 216.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანი თანაარსებობა არა მარტო აუცილებელია, არამედ შესაძლებელიცაა. ამით დაინტერესებულია არა მარტო საბჭოთა სახელმწიფო, არამედ კაპიტალისტური ქვეყნებიც. ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიურ დაინტერესებას საბჭოთა სახელმწიფოსთან ვაჭრობით. ვ. ი. ლენინი ამბობდა: „არსებობს უფრო ძლიერი ძალა, ვიდრე რომელიმე მტრული მთავრობის ან კლასის სურვილი, ნება და გადაწყვეტილება, ეს ძალაა — საერთო ეკონომიური მსოფლიო ურთიერთობა, რაც აიძულებს მათ დაადგნენ ჩვენთან კავშირ-ურთიერთობის ამ გზას“[1].

უარყოფდა რა აგრესიის პოლიტიკას, ვ. ი. ლენინი სოციალისტურ სახელმწიფოს საფუძვლად მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას აღიარებდა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ისტორიული დავა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის უნდა გადაჭრას არა ომმა, არამედ მშვიდობიანმა ეკონომიურმა შეჯიბრებამ.

ვ. ი. ლენინი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა საბჭოთა ქვეყნის დაინტერესებას კაპიტალიზმის მთავარ ქვეყანასთან—ამერიკის შეერთებულ შტატებთან მშვიდობიანი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებით. პასუხში ამერიკელი კორესპონდენტის მიერ მიცემულ შეკითხვებზე ვ. ი. ლენინი ამბობდა: „ჩვენ გადაჭრით მხარს ვუჭერთ ეკონომიურ შეთანხმებას ამერიკასთან, — ყველა ქვეყანასთან, **განსაკუთრებით** კი ამერიკასთან“[2]. მეორე ამერიკელი კორესპონდენტის შეკითხვაზე ამერიკასთან ზავის საფუძვლების შესახებ ვ. ი. ლენინმა უპასუხა: „დაე ამერიკელი კაპიტალისტები ჩვენ ნუ შეგვეხებიან. ჩვენ მათ არ შევეხებით“[3].

ამგვარად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის განსახორციელებლად საჭიროა, რომ ყველა სახელმწიფო ანგარიშს უწევდეს კაპიტალისტური სახელმწიფოების გვერდით სოციალისტურ სახელმწიფოთა არსებობის ფაქტს, პატივს სცემდნენ ურთიერთ სუვერენიტეტს და არ ერეოდნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, მშვიდობიანი გზით წყვეტდნენ სადავო საერთაშორისო საკითხებს, ავითარებდნენ ნორმალურ დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობას.

მშვიდობიანი თანაარსებობის იურიდიულ პლატფორმას წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. ამ წესდების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს პუნქტებს პირდაპირი დამოკიდებულება აქვთ მშვიდობიან თანაარსებობასთან. მათ რიცხვს ეკუთვნის წესდების პრეამბულის ისეთი დებულებანი, როგორიცაა „ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებების პატივისცემა“, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა მოვალეობა „გამოიჩინონ შემწყნარებლობა და იცხოვრონ ერთად მშვიდობიანად, როგორც კეთილმა მეზობლებმა“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პირველ მუხლში გათვალისწინებულია მისი წევრების ვალდებულება თავიდან აიცილონ და აღკვეთონ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული საფრთხე, დათრგუნონ აგრესიის აქტები, მშვიდობიანი საშუალებებით გადაჭრან ყველა თავიანთი საერთაშორისო დავა, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და თვითგამორკვევის პრინციპის საფუძველზე განავითარონ მეგობრული ურთიერთობა ერთა შორის, საერთაშო-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 170.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30. გვ. 41.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 440

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისო თანამშრომლობა განახორციელონ ეკონომიური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების გადაჭრაში.

ფართო საერთაშორისო აღიარება ჰპოვა სხვადასხვა სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის ფორმულამ, რომელიც 1954 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის მთავრობებმა გამოაცხადეს. ეს პრინციპები შემდეგია: ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემა, თავდაუსხმელობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, თანასწორობა და ურთიერთ-სარგებლიანობა, მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს ხუთი პრინციპი განავითარა და განამტკიცა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციამ 1955 წლის აპრილში.

მშვიდობიანი თანაარსებობა კლასობრივი კატეგორიაა. იგი არ უკვდავყოფს კაპიტალიზმს. მშვიდობიანი თანაარსებობა არ აუქმებს და არ შეუძლია გააუქმოს საზოგადოებრივი განვითარების კანონთა, კლასობრივი ბრძოლის კანონთა მოქმედება, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების დაღუპვას განაპირობებენ.

მარქსისტ-ლენინელები განსაზღვრავენ მშვიდობიანი თანაარსებობისა და კლასობრივი ბრძოლის კავშირს. „სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა თანაარსებობა, — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაში, — არის სოციალიზმისა და კაპიტალიზმის კლასობრივი ბრძოლის ფორმა". ეს დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი წარმოადგენენ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ და ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ საზოგადოებრივ სისტემებს.

ამასთან კლასობრივი ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე თავისებური სახით გვევლინება. თუკი კლასობრივი ბრძოლა პოლიტიკურ დარგში კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით ნიშნავს პროლეტარიატის ბრძოლას ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობისათვის და თავისი დიქტატურის დამყარებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში გულისხმობს იმის უარყოფას, რომ სადავო საერთაშორისო საკითხები ომის საშუალებით წყდებოდეს. თუკი კლასობრივი ბრძოლა ეკონომიურ დარგში კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით გამოიხატება გაფიცვებით და ბრძოლის სხვა ფორმებით, საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობიანი თანაარსებობის პირობებში იგი გვევლინება სოციალიზმისა და კაპიტალიზმის მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების სახით. რაც შეეხება იდეოლოგიას, აქ არ არის და არც შეიძლება იყოს კომპრომისი, დათმობა ჩვენი იდეური მტრების მიმართ. სოციალისტური და ბურჟუაზიული იდეოლოგიის მშვიდობიანი თანაარსებობა არ ყოფილა, არ არის და არც იქნება. პირიქით, მშვიდობიანი თანაარსებობა გულისხმობს მუშათა კლასის, ყველა კომუნისტური პარტიის ბრძოლის გაძლიერებას სოციალისტური იდეების გასამარჯვებლად.

იდეოლოგიურ ბრძოლას აქვს მწვავე ხასიათი, მაგრამ იდეოლოგიური ბრძოლის საკითხებს წყალბადის ბომბები როდი წყვეტენ. „მთავარია ვრჩებოდეთ იდეოლოგიური ბრძოლის პოზიციებზე, არ ვხმარობდეთ იარაღს იმისათვის, რომ ჩვენი გავიტანოთ"[1]. სწორედ ამით ხელმძღვანელობენ სოციალის-

[1] ნ. ს. ხ რ უ შ ჩ ო ვ ი, მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ, სახპოლიტგამომცემლობა, 959 წ., გვ. 10, რუს. ენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიები და მთავრობები თავიანთ საგარეო პოლიტიკაში.

მშვიდობიანი თანაარსებობის გეზი ეს არის მასების მობილიზაციის, მშვიდობის მტერთა წინააღმდეგ აქტიური მოქმედების გაჩაღების გეზი. იგი განამტკიცებს სოციალიზმის პოზიციებს, მის პრესტიჟსა და გავლენას, ამაღლებს მთელი მსოფლიოს კომუნისტების ავტორიტეტს. ამავე დროს იგი აუმჯობესებს პირობებს კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გასაშლელად. მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებაში უფრო აქტიური მოქმედების საშუალება ეძლევათ იმ ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც ზომიერ, გონივრულ პოზიციებზე დგანან და არ იზიარებენ აგრესიული ძალების აღვირახსნილი წარმომადგენლების ავანტურისტულ ზრახვებს. მშვიდობა სოციალიზმის ერთგული მოკავშირეა.

თავიანთ საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ხელმძღვანელობენ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეებით. მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ მოძღვრებას ეყრდნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როცა აყალიბებს ახალ დასკვნებსა და დებულებებს, რომელნიც საერთაშორისო ცხოვრების განვითარების თანამედროვე პირობებს შეესაბამება. მთელი კაცობრიობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებში წამოყენებულ და დასაბუთებულ დებულებებს იმის შესახებ, რომ ჩვენს დროში ომი არ წარმოადგენს ფატალურ გარდუვალობას, რომ ახლა შექმნილია რეალური შესაძლებლობანი მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად, რომ მსოფლიო ომი შეიძლება გამოირიცხოს საზოგადოების ცხოვრებიდან.

ეს დებულებანი გადაიქცა პროგრამად მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის. ამას მოწმობენ 1957 წლის ნოემბერში მიღებული სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, აგრეთვე საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახალი საპროგრამო დოკუმენტები — კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1960 წლის თათბირის განცხადება და მიმართვა მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპმა თანამედროვე ეპოქაში კიდევ უფრო აქტუალური მნიშვნელობა მოიპოვა და ახალი შინაარსით გამდიდრდა. ახალმა ისტორიულმა ვითარებამ უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების წარმატებისათვის.

ძირეულად შეიცვალა ძალთა განლაგება საერთაშორისო ასპარეზზე. ამჟამად არსებობს მთელი სისტემა სოციალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც მშვიდობის საქმეს იცავენ და ომის, აგრესიის წინააღმდეგ შეუნელებელ ბრძოლას ეწევიან. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა განსაზღვრავს ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთავარ მიმართულებას და თავისებურებებს.

მშვიდობისმოყვარე სოციალისტურ სახელმწიფოებს უდიდესი და ამასთან ერთად სწრაფად მზარდი მატერიალური საშუალებანი გააჩნიათ. მშვიდობის საქმისათვის დიდმნიშვნელოვანია საბჭოთა მეცნიერების მიერ ატომური ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიკისა და ენერგეტიკის, რეაქტიული ავიაციისა და რაკეტული ტექნიკის დარგში მოპოვებული წარმატებები.

მსოფლიო სოციალისტური სისტემა გვიჩვენებს თავის უპირატესობას კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. მთლიანად სამრეწველო წარმოება სოციალისტური სისტემის ქვეყნებში ომამდელ დონესთან შედარებით თითქმის 7-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მრეწველობის პროდუქცია ამავე დროის განმავლობაში მხოლოდ 2,4-ჯერ გადიდდა.

სოციალიზმის ძალთა უპირატესობის შემდგომ განმტკიცებასთან და მისი აბსოლუტურ უპირატესობად გადაქცევის პერსპექტივასთან დაკავშირებულია საზოგადოების ცხოვრებიდან ჯერ კიდევ მთელ დედამიწაზე სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებამდე მსოფლიო ომის გამორიცხვის შესაძლებლობა.

მშვიდობის ბედზე უდიდეს გავლენას ახდენს მშვიდობისმოყვარე არასოციალისტურ სახელმწიფოთა წარმოშობა აზიასა და აფრიკაში. ამ ქვეყნებს, რომლებიც კოლონიური უღლისაგან განთავისუფლდნენ, თავიანთი წვლილი შეაქვთ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმეში. მათი პოზიციები მშვიდობისათვის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად საკითხებში საბჭოთა კავშირის პოზიციას ემთხვევა.

მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში დიდ როლს ასრულებს მუშათა კლასის პოლიტიკური შეგნებულობის განუხრელი ზრდა. ეს პროცესი თავის გამოხატულებას პოულობს კომუნისტური პარტიების წევრთა რიცხვის ზრდით. ამჟამად კომუნისტური პარტიები თავიანთ რიგებში 36 მილიონზე მეტ წევრს აერთიანებენ. ეს კი მშვიდობისათვის მებრძოლთა უდიდესი არმიაა.

ამგვარად, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. აღარ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, არსებობს ორი მსოფლიო სისტემა, ორი ბანაკი. მას შემდეგ, რაც სოციალიზმი ერთი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ყველა სოციალისტური ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საფუძველი გახდა. თუ მეორე მსოფლიო ომამდე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი მოიცავდა ერთი სოციალისტური სახელმწიფოს ურთიერთობას მთელ დანარჩენ კაპიტალისტურ სამყაროსთან, ახლა საქმე ეხება მშვიდობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას ორ მსოფლიო სისტემას შორის.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას მძლავრად და აქტიურად უჭერენ მხარს ხალხთა ფართო მასები მთელ მსოფლიოში, ვინაიდან იგი წარმოადგენს ცხოვრების მტკიცე მოთხოვნას, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპიდან გამომდინარე ობიექტურ აუცილებლობას.

მაგრამ არ იქნებოდა მართებული, თუ დავუშვებდით მსოფლიო სამხედრო კონფლიქტის საფრთხის შეუფასებლობას. „ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს ხ ა ლ ხ ე ბ მ ა ი ც ი ა ნ, — ნათქვამია კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის განცხადებაში, — რ ო მ ა ხ ა ლ ი მ ს ო ფ ლ ი ო ო მ ი ს ს ა ფ რ თ ხ ე ს ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ გ ა უ ვ ლ ი ა“. სანამ არსებობს იმპერიალიზმი, იარსებებს ნიადაგი აგრესიული ომებისათვის. აგრესიისა და ომის მთავარ ძალად დღეს ამერიკის იმპერიალიზმი გვევლინება.

ომის წარმოშობის საფრთხე ლიკვიდირებული არ არის. უკანასკნელ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ უფრო შესამჩნევი ხდება ავანტურიზმის გამოვლინებანი, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ იმპერიალისტებს აშინებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავება, სოციალისტური ბანაკის წარმატებანი და ის შედეგი, რომელიც ორი სისტემის მშვიდობიან შეჯიბრებას მოყვება. აი რატომ არის, რომ აგრესიული იმპერიალისტური წრეები უარყოფენ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რომლებსაც სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ. ამას აშკარად მოწმობს გამალებული შეიარაღების, აგრესიული სამხედრო ბლოკების შეკოწიწების, დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის პოლიტიკა, რომელსაც იმპერიალისტები ახორციელებენ. ამასვე ადასტურებენ მათი სისხლიანი დანაშაულობანი ალჟირში, კონგოსა და ლაოსში.

ახორციელებენ რა ახალი მსოფლიო ომის მომზადების პოლიტიკას, იმპერიალისტები აგრესიის მახვილს საბჭოთა კავშირს და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს უმიზნებენ. ამასთან ისინი გეგმავენ უეცარ თავდასხმას მასობრივი მოსპობის საშუალებათა გამოყენებით.

საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის საფრთხეს წარმოადგენენ შეზღუდული, ეგრეთწოდებული ლოკალური ომები, რომლებსაც იმპერიალისტები პროვოკაციის მიზნით აწყობენ. უკანასკნელ წლებში ლოკალური ომების წამოწყებით იმპერიალისტებს არა ერთხელ მიუყვანიათ კაცობრიობა მსოფლიო კატასტროფის ზღვარამდე. მხოლოდ სსრ კავშირის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა გადამწყვეტი პოზიციის მეოხებით გაჩენისთანავე იქნა ჩაქრობილი ომის კერა ეგვიპტეში, ჩაიფუშა ინგლისელ-ამერიკელთა სამხედრო შეჭრა ერაყში, აღკვეთილ იქნა იმპერიალისტთა ცდები გაეჩაღებინათ ომი მსოფლიოს სხვა რაიონებში.

სოციალისტური ბანაკი ახორციელებს პრინციპულ და ამავე დროს მოქნილ საგარეო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს მთელი მშვიდობისმოყვარული ძალების გაერთიანებას მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად. სოციალისტურმა ქვეყნებმა წამოაყენეს წინადადება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის, საყოველთაო და სრული განიარაღების, კოლონიალიზმის სრული ლიკვიდაციის, წყნარი ოკეანის რაიონში, ცენტრალური ევროპისა და ბალკანეთში უატომო ზონის შექმნის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების და ბერლინის საკითხის მოწესრიგების, კორეისა და ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ.

იბრძვიან რა მშვიდობისათვის, საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრას უთმობენ. „მტკიცე მშვიდობა დედამიწაზე, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — მხოლოდ მაშინ შეიძლება განხორციელდეს, როცა იარაღი გადაგდებული იქნება“.

აყენებენ რა წინადადებას განიარაღების შესახებ, სოციალისტური ქვეყნები მისი პრაქტიკული განხორციელების მაგალითს გვიჩვენებენ. 1955-1958 წლებში საბჭოთა კავშირმა და ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა თავიანთი შეიარაღებული ძალები 2.596,5 ათასი კაცით შეამცირეს (მათ შორის საბჭოთა კავშირმა — 2.140 ათასი კაცით). ამჟამად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილების თანახმად, საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები კიდევ 1.200 ათასი კაცით მცირდება.

საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული საყოველთაო და სრული განია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღების პროგრამის განხორციელებას ისტორიული მნიშვნელობა ექნებოდა კაცობრიობის ბედისათვის. მართლაც, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული გამალებული შეიარაღება შეუნელებელი ტემპებით გრძელდება. ჩვენს დროში, მშვიდობის პირობებში, ყველა ქვეყნის შეიარაღებული ძალების შენახვისა და შეიარაღების ყოველწლიური საერთო ხარჯები 1200 მილიარდ დოლარს აღემატება, რაც ომამდელ დონესთან შედარებით 29-ჯერ მეტია. დაახლოებით ასი მილიონი კვალიფიციური და უნარიანი ადამიანი ასე თუ ისე მოწყვეტილია მშვიდობიან შრომას.

განსაკუთრებით დიდი გაქანება ჰპოვა გამალებულმა შეიარაღებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამას მოწმობს შემდეგი მონაცემები: 128 წლის მანძილზე 1789-დან 1917 წლამდე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას დახარჯული აქვს დაახლოებით 29,5 მილიარდი დოლარი საბიუჯეტო სახსრები, სამხედრო ასიგნობათა ჩათვლით. მარტო 1960-1961 საფინანსო წელს სამხედრო უწყებას 46,6 მილიარდი დოლარი გამოუყვეს. სამხედრო ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე, რომლებიც 1913 წელს 2,25 დოლარს შეადგენდა, ახლა ითქმის 260 დოლარს უდრის, ესე იგი 115-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

გამალებული შეიარაღება არ წარმოადგენს მოსახლეობის მაღალი დასაქმებულობისა და კეთილდღეობის ხელშემწყობ ფაქტორს. ომისშემდგომ პერიოდში ეკონომიურმა კრიზისებმა სამჯერ შეარყიეს ამერიკის შეერთებული შტატები. როგორც შეერთებული შტატების ახალმა პრეზიდენტმა კენედიმ აღნიშნა თავის „მიმართვაში ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“, ამერიკის ეკონომიკის ახლანდელი მდგომარეობაც „იწვევს შეშფოთებას“. მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა ამ ქვეყანაში კი არ გაქრა, არამედ იზრდება. უმუშევართა რიცხვმა მიმდინარე წლის იანვარში ხუთნახევარ მილიონს გადააჭარბა.

სამაგიეროდ გამალებული შეიარაღება ამერიკელი სამხედრო ფაბრიკანტებისათვის მოგების დაუშრეტელი წყაროა. ამიტომ სამყარო უიარაღოდ მათ ატომურ ომზე უფრო საშინელებად მიაჩნიათ.

მაგრამ რაც არ უნდა შორი იყოს განიარაღების განხორციელების გზა, სოციალისტურ ქვეყნებს ყველა მშვიდობისმოყვარულ ძალებთან ერთად მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველა ღონე იხმარონ, რათა განახორციელონ სოციალიზმის ეს დიდი იდეალი, როგორც მას ვ. ი. ლენინი უწოდებდა. სოციალისტურ ბანაკზე დაყრდნობით ხალხებს შეუძლიათ სძლიონ იმპერიალისტთა შეუპოვარ წინააღმდეგობას, მიაღწიონ იმპერიალისტური წრეების სულ უფრო მეტ იზოლაციას და აიძულონ ისინი დაეთანხმონ საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

ხალხებს მტკიცედ სწამთ, რომ მშვიდობისმოყვარული ძალების შეკავშირებული აქტიური მოქმედებით ომისაკენ მიმავალ ყველა გზაზე შეიძლება აღიმართოს საიმედო, უძლეველი ზღუდე. ისინი რწმუნდებიან იმაში, რომ განიარაღებით განმტკიცებული სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა გზას გაუკაფავს მათ გამანადგურებელი მსოფლიო ომების საშინელებისაგან თავის დასახსნელად. დიდი ლენინის იდეა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ სულ უფრო იპყრობს ხალხთა მასებს, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას ესწრაფვიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შესახებ

მ. ლომიძე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე

მიმდინარე წლის პირველი მარტიდან ძალაში შევიდა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი, რომელიც მიიღო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ 1960 წლის 30 დეკემბერს.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის შემოღებას დიდი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. დღემდე მოქმედმა კოდექსმა, რომელიც შემუშავებული იყო სამათეულ წელზე მეტი ხნის წინათ, დიდი როლი შეასრულა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ იგი მოძველდა, ვეღარ ასახავდა დღევანდელ ვითარებას, ვერ პასუხობდა იმ ამოცანებს, რომლებიც ამჟამად დგანან ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ახალი კოდექსის საჭიროება განაპირობა ჩვენს ქვეყანაში მომხდარმა უდიდესმა ცვლილებებმა პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, იმ ახალმა ამოცანებმა, რომლებიც წამოიჭრა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. ამით აიხსნება, რომ სისხლის სამართლის ძველი კოდექსის 340 მუხლიდან ახალ კოდექსში არ არის შეტანილი 84 მუხლი, როგორც მოძველებული და ფაქტიურად ძალადაკარგული, სამაგიეროდ კოდექსში შეტანილია 60 ახალი მუხლი, რომლებიც უპასუხებენ სოციალისტური კანონიერების ახალ მოთხოვნებს.

სისხლის სამართლის კოდექსი მომზადებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე და ოცდამეერთე ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომლებმაც მთელი სიძლიერით ხაზი გაუსვეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საბჭოთა დემოკრატიზმის შემდგომ განვითარებისა და გაფართოების საჭიროებას, მშრომელთა ფართო მასების აუცილებელ მონაწილეობას საზოგადოებრივი მართლწესრიგის დაცვისათვის ბრძოლაში.

კოდექსის ზოგად ნაწილში უცვლელადაა შესული სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, დამტკიცებული 1958 წლის 25 დეკემბერს. ამასთან, მასში მოცემულია რიგი ნორმებისა, რომლებიც საფუძვლებით პირდაპირ არაა გათვალისწინებული. ზოგი მათგანი ისეთი ნორმებია, რომელთა დამოუკიდებლად გადაწყვეტა საფუძვლებით მინდობილი აქვთ მოკავშირე რესპუბლიკებს, ზოგი წარმოადგენს აღნიშნული საფუძვლების ცალკეული დებულებების შემდგომ განვითარებას ისე, რომ კოდექსის ეს ნორმები სრულებით არ ეწინააღმდეგება საფუძვლების დებულებებს, ხოლო დანარჩენი კი იძლევა იმ ცნებების განმარტებას, რომლებიც მოცემულია საფუძვლებში, მაგრამ განმარტებული არ არის. გარდა ამისა, კოდექსის ზოგად ნაწილში არის ახალი თავი „სამედიცინო და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შესახებ", რაც საფუძვლებში გათვალისწინებული არ არის.

სისხლის სამართლის კოდექსის პირველ მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ამოცანაა დაიცვას საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილება, სოციალისტური საკუთრება, მოქალაქის პიროვნება და უფლებანი და მთლიანად სოციალისტური მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამ ამოცანის განსახორციელებლად სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედობაა დანაშაულებრივი და აწესებს სასჯელს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს დამნაშავეთა მიმართ.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის ერთ-ერთ მთავარ, უდაოდ პროგრესულ დებულებას წარმოადგენს ანალოგიის პრინციპის კატეგორიული უარყოფა. კოდექსის მესამე მუხლში ნათქვამია, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი დაედება მხოლოდ იმ პირს, ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ დანაშაულს. ამ დებულების მთავარი აზრი მდგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეობს იმაში, რომ მოქალაქეს ეცოდინება, თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის აგებს პასუხს სისხლის სამართლის წესით. ძველი კოდექსი კი ითვალისწინებდა, რომ უკეთუ რომელიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა სისხლის სამართლის კანონმდებლობით პირდაპირ არ იყო გათვალისწინებული, პასუხისმგებლობის საკითხსა და სასჯელის ზომას სახამართლო განსაზღვრავდა იმ მუხლის ანალოგიით, რითაც გათვალისწინებული იყო მნიშვნელობით და გვარით ყველაზე უფრო მსგავსი დანაშაული.

საბჭოთა კანონმდებლობის დიდ ჰუმანურობაზე მიუთითებს კოდექსის მე-7 მუხლი, რომლის თანახმად ქმედობის დანაშაულებრიობა და დასჯადობა განისაზღვრება კანონით, რომელიც მოქმედებდა ამ ქმედობის ჩადენის დროს. კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დასჯადობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუქცევითი ძალა, ე. ი. ვრცელდება იმ ქმედობაზე, რომელიც ჩადენილია მის გამოცემამდე, ხოლო კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დასჯადობას ან აძლიერებს სასჯელს, უკუქცევითი ძალა არა აქვს.

მე-8 მუხლი მთელი სიზუსტით განმარტავს დანაშაულის ცნებას, ამ განმარტების თანახმად დანაშაულად ჩაითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს საბჭოთა საზოგადოებრივ ან სახელმწიფო წესწყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემას, სოციალისტურ საკუთრებას, პიროვნებას, მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითს, ქონებრივ და სხვა უფლებებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მუხლის მეორე ნაწილს, რომლის შესაბამისად, ქმედობა კიდეც რომ ფორმალურად შეიცავდეს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ნიშნებს, დანაშაულად არ ჩაითვლება თუ იგი მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. ამრიგად კანონი უპირატესობას ანიჭებს არა ფორმალურ მხარეს, არამედ იმას, თუ საზოგადოებრივად რამდენად საშიშია ესა თუ ის ქმედობა.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირი იყო ეგრეთწოდებული ობიექტური შერაცხვის შემთხვევები, როდესაც პიროვნებას სასჯელი ენიშნებოდა დანაშაულით გამოწვეული მძიმე შედეგის მიხედვით, თუმცა დამნაშავის განზრახვა არ იყო მიმართული ასეთი შედეგის დადგომისადმი და არც გაუფრთხილებლობა ყოფილა დაშვებული მის მიერ. უფრო ხშირად ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების, და სხვა ამგვარი დანაშაულის საქმეებზე. ამის თავიდან აცილების მიზნით ახალი კოდექსის მე-11 მუხლი აწესებს, რომ თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ მძიმე შედეგის დადგომის გზით, რომელსაც არ შეიცავდა დამნაშავის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირს უნდა გაეთვალისწინებინა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა ამ შედეგის დადგომა.

საბჭოთა მართლმსაჯულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის განსაზღვრას, თუ რა გარემოებები ითვლებიან შემამსუბუქებლად და დამამძიმებლად. კოდექსის 38 და 39 მუხლებში მოცემულია ვრცელი ჩამოთვლა შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებისა — ამასთან, საბჭოთა სისხლის სამართლის დემოკრატიულობაზე მკაფიოდ მოწმობს ის ფაქტი, რომ კოდექსის 38-ე მუხლის თანახმად სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს აგრეთვე ისეთი შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებიც კანონში აღნიშნული არ არის. კანონმდებელს მიაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის 38-ე მუხლში ვრცლადაა ჩამოთვლილი ბრალის შემამსუბუქებელი გარემოებანი, კონკრეტული საქმის განხილვის დროს შეიძლება აღმოჩნდეს. ისეთი შემამსუბუქებელი გარემოება, რომელიც კანონში მითითებული არ არის, და რომ სასამართლო ასეთ შემთხვევაში შეზღუდული არ აღმოჩნდეს, მას უფლება ეძლევა თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს ეს საკითხი. საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დემოკრატიულობასა და ჰუმანიურობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ასეთი უფლება დამამძიმებელ გარემოებათა მიმართ სასამართლოს მინიჭებული არა აქვს.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 44-ე მუხლი იძლევა იმის განსაზღვრას, თუ ვინ შეიძლება სასამართლოს განაჩენით ჩაითვალოს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად. ამასთან, კანონში მითითებულია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს. ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და მისი ხასიათი, დამნაშავის პიროვნება და საქმის ყველა სხვა გარემოებანი.

კოდექსის 49-ე მუხლი ითვალისწინებს, თუ ვინ არ შეიძლება მიცემულ იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში ხანდაზმულობის გამო, ხოლო 50-ე მუხლი ითვალისწინებს გამამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყუნებელი განაჩენის აღსრულების ხანდაზმულობას. ამ ნორმების თავისებურებას შეადგენს ის, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშ დანაშაულობათა საქმეებზე პასუხისგებაში მიცემისა და გამამტყუნებელი განაჩენის აღსრულების ყველაზე უფრო მცირე ხანდაზმულობის ვადათ ითვალისწინებს ერთ წელს, ხოლო ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები კი სამ წელიწადს (მაგალითად ყაზახეთის სსრ რესპუბლიკის და სხვ). ჩვენის აზრით უფრო სწორად უნდა ჩაითვალოს ამ საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სსრ სს კოდექსის მიერ, რადგან ისეთი ხასიათის დანაშაულისათვის, როგორიცაა, მაგალითად, დახმარების აღმოუჩენლობა (მუხ. 130), მუქარა (მუხ. 136), შეურაცხყოფა (მუხ. 138), უკანონო ნადირობა დამამძიმებელ გარემოებების გარეშე (მუხ. 177 ნაწ. I) წვრილმანი ხულიგნობა (მუხ. 228 ნაწ. III) და სხვა ამგვარი, ერთი წლის ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან ასეთ საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენების აღსრულება აშკარა მიზანშეუწონელია.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი სავსებით სწორად და მართებულად ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს დასჯით პოლიტიკას. იგი აწესებს სასჯელის მსუბუქ ზომებს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიშ დანაშაულთა ჩადენისათვის, ამავე დროს ითვალისწინებს სასჯელის მკაცრ ზომებს საზოგადოებრივად განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთათვის და განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტების მიმართ. კერძოდ, კოდექსის 24-ე მუხლი, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, აწესებს სიკვდილით დასჯას ისეთი განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთათვის, როგორიცაა: სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, ტერორისტული აქტი, დივერსია, ბანდიტიზმი, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვისაც.

ამრიგად, ჩვენი კანონმდებლობით სიკვდილით დასჯა მშვიდობიანობის დროს დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობისათვის. ამასთან, ჩვენს ქვეყანაში სიკვდილით დასჯა მის სრულ გაუქმებამდე, მიჩნეულია, როგორც დროებითი ღონისძიება, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი სიკვდილით დასჯას ფართო გამოყენება აქვს.

კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში სულ უფრო ფართო და ქმედით ადგილს იკავებს საზოგადოებრივი ზემოქმედების მეთოდი, მაღლდება და ძლიერდება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების როლი დანაშაულის ჩამდენთა წინააღმდეგ ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „განა საბჭოთა საზოგადოებრიობას არ შეუძლია მოერიოს სოციალისტური მართლწესრიგის დამრღვევთ? რა თქმა უნდა შეუძლია. ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამისათვის ნაკლები შესაძლებლობანი, სასსრები და ძალები როდი აქვთ, ვიდრე მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს!..“ ამ მითითებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის ახალ კოდექსში შეტანილია მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის აუცილებლობას. ახალ კოდექსს შესაძლებლად მიაჩნია იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს მცირე მნიშვნელობის დანაშაული, გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები და სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას აწესებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი დანაშაული პიროვნების მიერ ჩადენილია განმეორებით.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების უფლება-მოვალეობანი სოციალისტური მართლწესრიგისათვის ბრძოლის საქმეში მოცემულია ახალი კოდექსის 46-ე, 52-ე, 53-ე და კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მთელ რიგ მუხლებში.

46-ე მუხლის თანახმად, სასამართლო გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დამნაშავის პიროვნებას, აგრეთვე დამნაშავის საქმიანობა ადგილიდან პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ან მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კოლექტივის შუამდგომლობას დამნაშავისათვის პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, შეუძლია დააკისროს ამ ორგანიზაციებს ან კოლექტივს პირობით მსჯავრდებულის ხელახლა აზღრდისა და გამოსწორების მოვალეობა. თუ სასამართლო სასჯელის ასეთ ღონისძიებას გამოიყენებს აღნიშნულ შუამდგომლობათა გარეშე, მას შეუძლია მშრომელთა გარკვეულ კოლექტივს ან ცალკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირს დააკისროს პირობით მსჯავრდებულზე ზედამხედველობა და მასთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება. აქედან ცხადია, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების ზეგავლენას პირობით მსჯავრდებულთა ხელახლად აღზრდისა და გამოსწორების საქმეში.

კოდექსის 52-ე მუხლი ითვალისწინებს თუ რა შემთხვევაში შეიძლება დამნაშავის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან განთავისუფლება საქმის ამხანაგურ სასამართლოში გადაცემით. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს, რომ უკეთუ პირმა ჩაიდინა მცირე მნიშვნელობის დანაშაული, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა, ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი და ამასთანავე დამნაშავის გამოსწორება შესაძლებელია საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებით, სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოებს უფლება აქვთ გაანთავისუფლონ ასეთი პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და საქმე გადასცენ ამხანაგურ სასამართლოს განსახილველად. გარდა იმისა, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან დამნაშავეთა განთავისუფლების და საქმის ამხანაგურ სასამართლოზე გადაცემის უფლებას კანონი ზღუდავს მით თუ რამდენად მძიმეა ჩადენილი დანაშაული, დიდი ყურადღება ექცევა თვით დამნაშავის პიროვნებას, მის წარსულს, ამიტომ ამხანაგურ სასამართლოში არ შეიძლება გადაეცეს საქმე ისეთი პირის მიმართ, რომელიც წინად მსჯავრდადებული იყო განზრახ დანაშაულის ჩადენისათვის ან გადაცემული იყო თავდებქვეშ.

სისხლის სამართლის კოდექსის მიერ ასეთი ზუსტი განსაზღვრა იმისა, ვინ და რა სიმძიმის დანაშაულის ჩამდენი შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და რა შემთხვევაში შეიძლება გადაეცეს საქმე ამხანაგურ სასამართლოს, გარკვეულობას შეიტანს სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლას.

დანაშაულთან ბრძოლისა და დამნაშავეთა გამოსწორებისა და აღზრდის საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების უდიდესი როლის შესახებ ლაპარაკობს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 53-ე მუხლიც. ამ მუხლის თანახმად დამნაშავე შეიძლება განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და გადაეცეს თავდებქვეშ ხელახლად აღსაზრდელად და გამოსასწორებლად იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს, რომელთაც იშუამდგომლეს ამის შესახებ. ამასთან, ჩვენი რესპუბლიკის ახალ კოდექსს შესაძლებლად მიაჩნია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან პიროვნების განთავისუფლება და მისი გადაცემა თავდებობის ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩადენილი დანაშაული საზოგადოებრივად იმდენად ნაკლებად საშიშია, რომ კანონი სასჯელის ზომად ამ დანაშაულისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო თვით დამნაშავის პიროვნება არ უნდა წარმოადგენდეს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და ის გულწრფელად უნდა ინანიებდეს ჩადენილ დანაშაულს.

თავდებქვეშ არ გადაიცემა ისეთი პირი, რომელიც წინათ მსჯავრდებული იყო განზრახ დანაშაულისათვის ან გადაცემული იყო თავდებქვეშ. არ შეიძლება გადაცემულ იქნეს თავდებქვეშ აგრეთვე პირი, რომელიც თავს არ სცნობს დამნაშავედ ან რაიმე მიზეზების გამო მოითხოვს საქმის სასამართლოს წესით განხილვას.

იმ შემთხვევაში, თუ თავდებქვეშ აყვანილი პირი, არ გაამართლებს კოლექტივის ნდობას, არ დაემორჩილება სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს ან დატოვებს მშრომელთა კოლექტივს საზოგადოებრივი ზემოქმედების აცილების მიზნით, თავდებობის ქვეშ ამყვან საზოგადოებრივ ორგანიზაციას და მშრომელთა კოლექტივს გამოაქვთ გადაწყვეტილება თავდებობაზე უარის შესახებ და ამ გადაწყვეტილებას აგზავნიან პროკურატურაში ან სასამართლოში რათა დამნაშავე პასუხისგებაში იქნეს მიცემული იმ დანაშაულისათვის, რომლის ჩადენასთან დაკავშირებით ის გადაცემული იყო თავდებქვეშ.

ამრიგად, იმ მიზნით, რომ ნამდვილად უზრუნველყოფილ იქნას დამნაშავის ხელახლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდა და გამოსწორება მისი დაბრუნება პატიოსან მშრომელთა რიგებში, კანონმდებელმა გაითვალისწინა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების უფლებები იმ პირთა მიმართ, ვინც უგულებელყოფს საბჭოთა კანონებს და არ დაემორჩილება სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი შეიცავს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც ახლებურად წყვეტენ ახალგაზრდობის სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის საკითხს. ეს ნორმები მიმართულია იქითკენ, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ გამოყენებულ იქნას უმთავრესად აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც სასჯელის შეფარდება აუცილებლობითაა გამოწვეული, არასრულწლოვანი სარგებლობს მთელი რიგი შეღავათებით. არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობის ასეთი მიმართულება მოწმობს ახალგაზრდობისადმი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს ზრუნვას.

კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირთ, რომელთაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდათ თექვსმეტი წელი, ნაცვლად თოთხმეტი წლისა, რომელიც ძველი კოდექსით იყო გათვალისწინებული. იმ პირთ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე ასაკში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მხოლოდ იმ მძიმე დანაშაულთა ჩადენისათვის, რაც მითითებულია კოდექსის მე-12 მუხლში.

კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ან გამასწორებელი სამუშაო, თვრამეტი წლის ასაკამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ სამაგალითო ყოფაქცევით და შრომისა და სწავლისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, სასამართლოს შეუძლია სასჯელის ვადის ერთი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ ვადამდე გაათავისუფლოს სასჯელისაგან ან სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეუცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით.

საბჭოთა კანონმდებლობის განსაკუთრებით ჰუმანიური დამოკიდებულება არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ ჩანს იქიდანაც, რომ ისეთი ხასიათის სასჯელი, როგორიცაა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა, გადასახლება და გასახლება არ გამოიყენება იმ პირთა მიმართ, რომლებსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებიათ თვრამეტი წელი. გარდა ამისა, მათ არ შეიძლება მიესაჯოთ თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, თუნდაც მათ მიერ ჩადენილი იყოს ისეთი დანაშაული, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ათ წელზე მეტი ვადით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლი, რომლის ძალით თუ სასამართლო დაინახავს, რომ ის პირი, ვინც თვრამეტი წლის ასაკამდე ჩაიდინა დანაშაული, რომელიც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს, შეიძლება გამოსწორდეს სისხლის სამართლის სასჯელის გამოყენების გარეშე, მას შეუძლია ასეთი პირის მიმართ გამოიყენოს აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებანი, რაც სისხლის სამართლის სასჯელს არ წარმოადგენს.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე მთელ რიგ შემამსუბუქებელ ნორმებს ქალების მიმართ. ასე მაგალითად, სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა არ შეიძლება მიესაჯოს ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის დროს ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება ქალის, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად იმყოფება (მუხლი 24), ორსული ქალების ან იმ ქალების მიმართ, რომელთაც კმაყოფაზე ჰყავთ რვა წლის ასაკამდე შვილები, არ შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნას სასჯელის ისეთი ზომა, როგორიცაა გადასახლება (მუხ. 26).

კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობისათვის უცხოა ჰუმანიურობა არასრულწლოვანებისა და ქალების მიმართ, იგი დამახასიათებელია მხოლოდ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისათვის. ამის დასადასტურებლად საკმარისია აღინიშნოს, რომ ოქტომბრის რევოლუციამდე რუსეთში ბავშვები 10 წლიდან აგებდნენ პასუხს სისხლის სამართლის წესით. 1933 წელს მიღებული კანონით ინგლისში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგება 8 წლის ასაკიდან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი პასუხისმგებლობა დაწესებულია 7 წლის ასაკიდან და სხვ.

ცნობილია, რომ წარსულში ადგილი ქონდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან მსჯავრდებულთა ვადაზე ადრე განთავისუფლების არა სწორ პრაქტიკას ეგრეთწოდებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომუშავებული შრომა-დღეების სასჯელის ვადაში ერთი ორად ან ერთი სამად ჩათვლის წესით, რის შედეგად იშვიათი როდი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც სასჯელის უმნიშვნელო ნაწილის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული თავისუფლდებოდა პატიმრობიდან, რაც მშრომელებში სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. სისხლის სამართლის ახალი კოდექსის 54-ე მუხლი მნიშვნელოვნად ზღუდავს სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლებისა და სასჯელის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის შესაძლებლობას.

სასჯელისაგან ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ის ფაქტიურად მოიხდის სასჯელის დანიშნული ვადის სულ ცოტა ნახევარს, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის, ბანდიტიზმისათვის, მასობრივი არეულობისათვის, მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა წინასწარ-განზრახვით დაზიანებისათვის, ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღებისათვის, კონტრაბანდისათვის, სავალუტო ფასეულობათა სპეკულაციისათვის, სახელმწიფო ან საზოგადო ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის, ყაჩაღობისათვის, განზრახ მკვლელობისათვის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, გაუპატიურებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში, დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისათვის, უდანაშაულო პირის წინასწარ შეცნობით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის, აშკარა უსამართლო განაჩენის გამოტანისათვის, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა, სპეკულაციისათვის დამამძიმებელ გარემოებაში, განმეორებით ჩადენილი ქურდობისათვის, ძარცვისათვის და თაღლითობისათვის, ბოროტული ხულიგნობისათვის და სხვა მძიმე დანაშაულისათვის ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის სულ ცოტა ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ. დიდი პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ ვადამდე პირობით განთავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლის უფლება უფრო მსუბუქი სასჯელით აქვს მხოლოდ სასამართლოს. დანაშაულთან ეფექტური ბრძოლის საქმისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს კოდექსის აღნიშნული მუხლის იმ დებულებასაც, რომ განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიმართ საერთოდ არ შეიძლება დაშვებულ იქნას ვადამდე პირობით განთავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. მსჯავრდებულთა ვადამდე ადრე განთავისუფლებისათვის ყველა ეს აუცილებელი პირობები უზრუნველყოფენ სასამართლო ორგანოების განაჩენების სტაბილობას და ხელს შეუწყობენ დანაშაულთან ბრძოლის საქმეს.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი შედგება თერთმეტი თავისაგან, სახელდობრ: სახელმწიფო დანაშაული, დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ, დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ, სამეურნეო დანაშაული, თანამდებობრივი დანაშაული, დანაშაული მართლმსაჯულების წინააღმდეგ, დანაშაული მმართველობის წესების წინააღმდეგ, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ და სამხედრო დანაშაული.

სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებებისა და მართლმსაჯულების ორგანოების ნორმალური საქმიანობის დაცვისადმი მიძღვნილი ნორმები კოდექსში გამოყოფილია ცალკე თავებად. მეორეს მხრივ, დღემდე მოქმედი კოდექსის ისეთი თავები, როგორიცაა სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების წესების დარღვევა, საავტორო უფლების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ხალხის ჯანმრთელობისა, საზოგადოებრივი უშიშროების და წესიერების დასაცავად გამოცემული წესების დარღვევა და დებულება იმ დანაშაულთა შესახებ, რაც საგვარეულო ყოფა-ცხოვრების ნაშთს წარმოადგენს, კოდექსში ცალკე თავების სახით აღარაა შესული. ამ თავების ყველა ის ნორმები, რომლებსაც თავისი მნიშვნელობა დღემდე არ დაუკარგავთ, მოთავსებულია შესაფერის თავებში (მაგალითად 122, 147, 148, 149, 231, 250, 251 და სხვა მუხლები).

თავები სახელმწიფო დანაშაულისა და სამხედრო დანაშაულის შესახებ შეტანილია კოდექსში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიერ 1958 წლის 25 დეკემბერს მიღებული კანონების სრული შესაბამისობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისთვის პასუხისმგებლობის შესახებ ადრე მოქმედი კანონიდან განსხვავებით კოდექსი აწესებს თანაბარ პასუხისმგებლობას, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისათვის, რაც მთლიანად და სავსებით შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დღევანდელ პერიოდს.

სოციალისტური საკუთრების დატაცებისათვის პასუხისმგებლობას კოდექსი ითვალისწინებს დიფერენცირებულად იმისდა მიხედვით, თუ რა გზითა და ხერხითაა ჩადენილი ეს დანაშაული — ქურდობით, ყაჩაღობით, თანამდებობის ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და ა. შ. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით ან ყაჩაღური თავდასხმის გზით გატაცებისათვის ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ასეთი ქონების გატაცებისათვის ახალი კოდექსი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ხუთიდან თხუთმეტ წლამდე. სასჯელის საკმაოდ მკაცრ ზომებს ითვალისწინებს კანონი სოციალისტური საკუთრების დატაცების სხვა შემთხვევებისათვისაც.

დღემდე მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსისათვის უცნობი იყო არა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი იმ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცება-დაზიანებისათვის, რომლის დაცვა ან გადაზიდვა მას ქონდა მინდობილი. ეს გამოძიებასა და სასამართლო პრაქტიკაში ქმნიდა გარკვეულ სიძნელეებს. ახალი კოდექსის 102-ე მუხლში გათვალისწინებულია არა თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულების შედეგად, რასაც მოჰყვა ამ ქონების დიდი ოდენობით დატაცება, დაზიანება, გაფუჭება ან დაღუპვა.

სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე კოდექსის 103-ე მუხლში გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სხვა სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საკუთრების მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის. კოდექსის ამ ნორმის ძირითადი აზრი მდგომარეობს მასში, რომ საბჭოთა კანონი თანაბრად იცავს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, როგორც საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკუთრებას, ისე სხვა სოციალისტური სახელმწიფოების საკუთრებას. პრაქტიკაში კი კანონის ამ ნორმას ის მნიშვნელობა აქვს, რომ შეიძლება ადგილი ექნეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული სხვა რომელიმე სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დატაცებას (მაგალითად ნავსადგურში მდგომი გემიდან), რაც არ შეიძლება დარჩეს დაუსჯელი.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსით განსაკუთრებული სიძლიერითაა დაცული პიროვნების სიცოცხლე, ჯანმრთელობა, თავისუფლება და ღირსება. კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად განზრახ მკვლელობა ჩადენილი ანგარებით, ხულიგნური ქვენაგრძნობით, დაზარალებულის სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, ორი ან რამდენიმე პირის, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, განსაკუთრებული სისასტიკით ან საშუალებით, რომელიც საშიროებას წარმოადგენს მრავალ პირთა სიცოცხლისათვის, სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების ან დაფარვის მიზნით ან რაც თან სდევდა გაუპატიურებას, სისხლის აღების ნიადაგზე, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან იმ პირის მიერ ვისაც ადრე ქონდა ჩადენილი განზრახ მკვლელობა, გარდა მკვლელობისა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ან აუცილებელი მოგერიების საზღვრის გადაცილების დროს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვა წლიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ, ან სიკვდილით დასჯით.

ძველი კოდექსი განზრახ მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებად არ თვლიდა მკვლელობას დაკავშირებულს გაუპატიურებასთან, მკვლელობას სისხლის აღების ნიადაგზე, დაზარალებულის სამსახურებრივ ან საზოგადოებრივ მოვალეობის ასრულებასთან დაკავშირებით და მკვლელობას ჩადენილს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ. ამავე დროს ახალი კოდექსი მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებად არ ითვალისწინებს მკვლელობას ეჭვიანობის ნიადაგზე, ჩასაფრებით ან დაზარალებულის განმარტოებულ ადგილას გატყუებით და სხვ. რაც მოცემული იყო ადრე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 144 მუხლში.

განზრახ მკვლელობა, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელი გარემოების გარეშე, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თორმეტ წლამდე, გასახლებით ვადით ხუთ წლამდე ან უამისოდ.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან რვა წლამდე, იგივე ქმედობა, თუ მას შედეგად მოჰყვა სიკვდილი, ან თუ იგი ჩადენილია მტანჯავი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუალებით ან წამების გზით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე, ხოლო თუ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილია განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან თორმეტ წლამდე. სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისათვის ახალი კოდექსით სასჯელის ზომად გათვალისწინებულია ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ნაცვლად სამი წლისა, რაც დაწესებული იყო ადრე მოქმედი კოდექსით.

სასჯელის მკაცრი ზომებია გათვალისწინებული გაუპატიურებისათვისაც. გაუპატიურება, ე. ი. სქესობრივი კავშირის დაჭერა ფიზიკური ძალადობით, მუქარით ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. არასრულწლოვანის გაუპატიურება, აგრეთვე გაუპატიურება, ჩადენილი ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინად ჰქონდა ჩადენილი ასეთი დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან ათ წლამდე, ხოლო გაუპატიურება, ჩადენილი განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან თუ ასეთს განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.

განზრახ მკვლელობის, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისა და გაუპატიურებისათვის ასეთი მკაცრი სასჯელების დაწესება გამოწვეულია პიროვნების სიცოცხლისა, ჯანმრთელობისა და ღირსების გაძლიერებული დაცვის საჭიროებით და სავსებით უპასუხებს საბჭოთა საზოგადოებრიობის მოთხოვნას ასეთ საშიშ დანაშაულთა წინააღმდეგ მკაცრი და დაუნდობელი ბრძოლის შესახებ.

კოდექსის 122 მუხლის მეორე ნაწილი შეიცავს ახალ ნორმას — ვენერიული დაავადების მკურნალობისაგან ბოროტად თავის არიდებას, რაც გაპირობებულია იმით, რომ ასეთი მკურნალობისაგან თავის არიდება საფრთხეს უქმნის სხვას და ამიტომ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას. ამ მუხლით დაწესებული სასჯელის ზომაც — ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, გათვალისწინებულია იმ ვარაუდით, რომ ამ ხნის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას მსჯავრდებულთა იძულებითი მკურნალობა.

სისხლის სამართლის ახალი კოდექსი მთელი ძალით იცავს მოქალაქეთა პირად საკუთრებას ყოველგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. მოქალაქეთა პირადი ქონების მოპარვა, ძარცვა, ყაჩაღობა ისჯება კანონის მთელი სისასტიკით.

ისევე, როგორც სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ხელყოფა, მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცებისათვის პასუხისმგებლობა კოდექსში მოცემულია იმისდა მიხედვით, თუ რა ხერხითა და გზითაა გატაცებული მოქალაქის ქონება და სასჯელის ზომაც ამის გათვალისწინებით არის დაწესებული. მაგალითად, თუ მოქალაქის ქონება გატაცებულია ყაჩაღური თავდასხმის გზით, განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ ან სხვა დამამძიმებელ პირობებში, სასჯელის ზომად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, გადასახლებით ან უამისოდ. (მუხლი 152 II ნაწილი).

როგორც ცნობილია, ჩვენი კონსტიტუციით ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და ამიტომ მისი ქონების გატაცება არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებრივი საკუთრების გატაცებად, ამავე დროს ეკლესიის ქონება არ წარმოადგენს რომელიმე ერთი პიროვნების კუთვნილებას. იმის გამო, რომ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში არ იყო სათანადო მუხლი, ხშირად, დავას იწვევდა, თუ კანონის რომელი ნორმით უნდა ყოფილიყო დასჯილი ეკლესიის ქონების დამტაცებელი პირი. გაითვალისწინა რა ეს უხერხულობა, კანონმდებელმა ახალი კოდექსის 159-ე მუხლით დააწესა დასჯადობა დანაშაულისა, რომელიც მიმართულია ისეთ დაწესებულებათა და გაერთიანებათა საკუთრების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალისტურ ორგანიზაციებს არ წარმოადგენენ.

კოდექსის 91 და 150 მუხლების შენიშვნებში განმარტებულია სოციალისტური საკუთრებისა და მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცების განმეორებითობის ცნება, რაც დიდათ შეუწყობს ხელს სასამართლოსა და პროკურატურის და, აგრეთვე, მოკვლევის ორგანოების მუშაკებს აღნიშნული ხასიათის დანაშაულთა სწორი კვალიფიკაციის საქმეში.

მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში სისხლის სამართლის ძველი კოდექსის შესაბამის მუხლებთან ერთად შეტანილია ზოგიერთი ახალი მუხლი, როგორიცაა მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობის (მუხ. 114) და მიმოწერის საიდუმლოების დარღვევის შესახებ (მუხ. 143). კოდექსის ეს ნორმები სერიოზულ გაფრთხილებას წარმოადგენენ იმ თანამდებობის პირებისათვის, რომლებიც უკანონო ჩხრეკით ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვაგვარი მოქმედებით დაარღვევენ მოქალაქეთა ბინის ხელშეუხებლობას ან თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაარღვევენ მოქალაქეთა მიმოწერის საიდუმლოებას — როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მოქალაქეთა ამ უფლებების დამრღვევნი დაისჯებიან თავისუფლების აღკვეთით, ან გამასწორებელი სამუშაოებით, ან თანამდებობიდან დათხოვნით.

კოდექსის 144 მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას შრომის კანონმდებლობის დარღვევისათვის ე. ი. პირადი დაინტერესებით მშრომელის სამუშაოდან დათხოვნისა ან სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან შრომის კანონმდებლობის სხვა არსებითი დარღვევისათვის. თუ რაოდენ სერიოზულ ყურადღებას აქცევს კანონმდებელი ამ საკითხს, ჩანს იქიდან, რომ სასჯელის ზომათ კანონი ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით ან თანამდებობიდან დათხოვნას.

კოდექსში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სხვა და სხვა სახის პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლას. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ასეთი პირების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის სრულ შესაძლებლობას იძლევა. მასში მოცემულია მთელი რიგი მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და სასჯელის მკაცრ ზომებს ისეთი პარაზიტული გამოვლინებისათვის, როგორიცაა ფალსიფიკაცია, კერძომეწარმეობითი საქმიანობა, სპეკულაცია, კომერციული შუამავლობა, მყიდველთა მოტყუება, აკრძალული რეწვის წარმოება და სხვა.

საქართველოს სს რესპუბლიკაში წარსულში ადგილი ქონდა და ნაწილობრივ ზოგიერთ რაიონებში ახლაც აქვს ადგილი შემთხვევებს, როდესაც ზოგიერთი პირი თავს არიდებს რა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, იღებს კოლმეურნეობის წევრებისაგან და ზოგჯერ თვით კოლმეურნეობებიდანაც კი ღვინოს, ხილს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს და მიაქვს სპეკულანტურ ფასებში რეალიზაციისათვის საბჭოთა კავშირის სხვა და სხვა რაიონებში, უკან დაბრუნებისას ამ პროდუქტების პატრონებს უნაღდებს გაცილებით ნაკლებ თანხას ვიდრე მან მიიღო მათი რეალიზაციის შედეგად და არა შრომითი შემოსავლით უკანონოდ მდიდრდება — ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მოქმედება არ შეიძლება არ დაისაჯოს, მაგრამ მოქმედი კოდექსი ასეთ დანაშაულს არ ითვალისწინებდა, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები ძალაუნებურად მიმართავდნენ ანალოგიის გამოყენებას, რაც ხშირად ბევრ გაუგებრობასა და უხერხულობასთან იყო დაკავშირებული.

სისხლის სამართლის ახალ კოდექსში შეტანილია სპეციალური მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას არა შრომითი კომერციული შუამავლობისათვის. ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირები ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, ქონების კონფისკაციით (მუხლი 167).

იშვიათი არაა ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პირი საკუთარი მანქანით ანგარების მიზნით ეწევა მგზავრების გადაყვანას და ტვირთის გადაზიდვას და ამრიგად, ავტომანქანა გადაქცეული აქვს არაშრომითი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ.

კანონმდებელმა მიიღო რა მხედველობაში ასეთი მოქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, სისხლის სამართლის ახალ კოდექსში შეიტანა მუხლი, რომლის ძალით, მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანებით, ჩადენილი ანგარების მიზნით ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავეს ასეთივე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედო, ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე. იგივე მოქმედებანი, ჩადენილი ხელობის სახით ე. ი. რამოდენიმეჯერ, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ავტომანქანის კონფისკაციით ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე.

არსებითი ხასიათის ცვლილებებია შეტანილი კოდექსის იმ მუხლებში, რომელიც სპეკულაციის დასჯადობას ითვალისწინებს. ნაცვლად ერთი შემადგენლობისა ახალი კოდექსის 165-ე მუხლი ითვალისწინებს სამ ნაწილს.

ა) სპეკულაციის მარტივ ფორმას, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ას მანეთამდე, ბ) სპეკულაციის კვალიფიციურ ფორმას—ე. ი. ჩადენილს ხელობის სახით ან დიდი ოდენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით ან სპეკულაციისათვის წინად მსჯავრდადებული პირის მიერ, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორიდან შვიდ წლამდე ქონების კონფისკაციით და

გ) წვრილმან სპეკულაციას თუ იგი ჩადენილია განმეორებით ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დამნაშავის მიმართ ასეთივე მოქმედებისათვის გამოყენებული იყო საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება. სასჯელის ზომად ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულია ერთ წლამდე გამასწორებელი სამუშაოები ან ას მანეთამდე ჯარიმა. ამ სახის დანაშაულის ასეთი დაკონკრეტება აუცილებლად ხელს შეუწყობს სპეკულაციასთან აქტიურ ბრძოლას და ამ კატეგორიის საქმეებზე მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას.

არანაკლებ სერიოზული მნიშვნელობა აქვს ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში კოდექსის 164 მუხლს კერძო მეწარმეობითი საქმიანობის შესახებ, რაც ითვალისწინებს დამნაშავისათვის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გადასახლებას ქონების კონფისკაციით.

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკაში ადგილი აქვს მიწების დატაცებას და თვითნებურად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, ახალი კოდექსის 180 მუხლის თანახმად მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა ე. ი. მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ჩუქება, იჯარა, გაცვლა ან მიტაცება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ხუთას მანეთამდე — მიწის ნაკვეთისა და მასში მიღებული ფულადი ან სხვა საზღაურის ჩამორთმევით.

კოდექსის ორას ოცდამეერთე მუხლის თანახმად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების სათანადო ნებართვის გარეშე აშენება ან მიშენება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, თვითნებურად აშენებული ნაგებობის კონფისკაციით. კოდექსი ასევე ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას საშენი მასალების უკანონოდ შეძენისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის თავისებურების მხედველობაში მიღებით არის დადგენილი პასუხისმგებლობა შინაური არაყის გამოხდისათვის. იმ დროს, როდესაც სხვა ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები არაყის გამოხდისათვის ყველა შემთხვევაში ითვალისწინებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი აწესებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას დიფერენციერებულად, იმისდა მიხედვით, თუ რისგან არის არაყი გამოხდილი და რა მიზნით, (მუხ 173).

საკუთარი მოხმარების მიზნით არაყის გამოხდა ჭაჭისაგან, ხილისაგან და ველური მცენარეების ნაყოფისაგან კოდექსის ამ მუხლის შესაბამისად საზოგადოებრივად საშიშ ქმედობად არ ითვლება და ამიტომ არ იწვევს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას. აწესებს რა პასუხისმგებლობას თუნდაც თავისი საჭიროებისათვის საკვებ პროდუქტებისაგან არაყის გამოხდისათვის, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საკვები პროდუქტების გამოყენება შინაური არაყის გამოსახდელად ზიანს აყენებს სახელმწიფოს და ამიტომ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1958 წლის 28 ნოემბერს მიღებული კანონის „საქართველოს სსრ ბუნების დაცვის შესახებ" შესაბამისად ახალი კოდექსი ითვალისწინებს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც მოწოდებული არიან ხელი შეუწყონ რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად დაცვას, ასეთებია მუხლები: უკანონო ნადირობის (მუხ. 177), ტყის უკანონო გაჩეხისა და დაზიანების (მუხ. 178), თევზის და სხვა მოპოვებითი სარეწების უკანონო წარმოების (მუხ. 175), თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევის შესახებ (მუხ. 176) და სხვ.

კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მე-8 თავი მოიცავს საბჭოთა მართლმსაჯულების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულის ნორმებს. კოდექსის ეს თავი შეიცავს მთელ რიგ ახალ მუხლებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებას და მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებების მტკიცედ დაცვას — ასე მაგალითად, უდანაშაულო პირის შეგნებულად მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში, მოსამართლეთა მიერ წინასწარ შეცნობით უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა; დაპატიმრება ან დაკავება სასამართლოს დადგენილების ან პროკურორის სანქციის გარეშე, დაკითხვის დროს ჩვენების მიცემის იძულება, მოწმის, ექსპერტის ან თარჯიმნის მოსყიდვა, განზრახ ცრუ დასმენა ისჯება ხანგრძლივი დროით თავისუფლების აღკვეთით. კოდექსის ეს თავი ითვალისწინებს აგრეთვე პასუხისმგებლობას მოწმის, დაზარალებულის ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსპერტის იძულებისათვის, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების მასალების გახმაურებისათვის, აღწერილი ან ყადაღადადებული ქონების გაფლანგვისა და გადამალვისათვის.

ძველი სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა ყადაღადადებული ქონების გაფლანგვა-გასხვისებისათვის ან დამალვისათვის პასუხისმგებლობას, რაც სასამართლო პრაქტიკაში იწვევდა გაუგებრობასა და სიძნელეს. ამის შედეგად სასამართლოს განაჩენი, დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისა და ქონების კონფისკაციის ნაწილში ხშირად შეუსრულებელი რჩებოდა, რაც აკნინებდა საბჭოთა მართლმსაჯულების ავტორიტეტს. კანონმდებლობის ამ ხარვეზის შესავსებად ახალი კანონის 200-ე მუხლი ასეთი დანაშაულისათვის ითვალისწინებს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით.

თუ რაოდენ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა ხელისუფლების მიერ ისეთ საშიშ და გახრწნილ მოქმედებასთან ბრძოლას როგორიცაა მექრთამეობა, ჩანს იქიდან, რომ ახალი კოდექსი ქრთამის აღებას სჯის ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ხოლო თუ ეს დანაშაული ჩადენილია განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელსაც უჭირავს საპასუხისმგებლო სამსახურებრივი მდგომარეობა, აგრეთვე თუ ადგილი ქონდა ქრთამის გამოძალვას — თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ხულიგნობა, ისე როგორც ბევრი სხვა დანაშაულებრივი ქმედობა საბჭოთა სინამდვილეში წარმოადგენს კაპიტალიზმის გადმონაშთს. ხულიგნობა, განსაკუთრებით კი, როდესაც იგი ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში ყოველთვის ითვლებოდა და ამჟამადაც ითვლება მძიმე დანაშაულად, ამიტომ ახალი კოდექსი ხულიგნობისათვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს იმავე ვადით ან ჯარიმას ორმოცდაათ მანეთამდე.

ხოლო ბოროტი ხულიგნობა ან ხულიგნობა ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო ხულიგნობისათვის, ან განსაკუთრებით საშიში რეციდივისტის მიერ, ან რომელსაც თან ერთვის ძალადობა მოქალაქეთა მიმართ, ან წინააღმდეგობის გაწევა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ხელისუფლების ორგანოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლების მიმართ, ან თუ იგი განსაკუთრებული ცინიზმით ან შლეგობით გამოირჩეოდა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე, (228 მუხლის I და II ნაწ.).

ისე, როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში, ჩვენს რესპუბლიკაშიც არის შემთხვევები, როდესაც რელიგიური სარწმუნოებისა და წეს-ჩვეულების გავრცელების საბაბ ქვეშ პროპაგანდას ეწევიან მოქალაქეებს შორის, უარი თქვან მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე და საზოგადოებრივ საქმიანობაზე, ხშირ შემთხვევაში ამ ჯგუფების. „საქმიანობა“ დაკავშირებულია მოქალაქეთა ჯანმრთელობაზე ზიანის მიყენებასთან.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედობა საზოგადოებრივად დიდ საშიშროებას წარმოადგენს, მოქმედი კოდექსით მისი დასჯადობა გათვალისწინებული არ იყო, რის გამო, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები იძულებული იყვნენ მიემართათ ანალოგიისათვის და სამართალში მიეცათ დამნაშავენი კოდექსის იმ მუხლით, რომელიც ასეთ ქმედობას პირდაპირ არ ითვალისწინებდა. ახალი კოდექსის 233-ე მუხლის თანახმად ასეთი ქმედობისათვის დამნაშავე დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე.

ანიჭებს რა დიდ მნიშვნელობას თვითეული შრომისუნარიანი პირის ჩაბმას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და თვლის რა რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მიერ ამ მიმართულებით ჩატარებულ მასობრივ აღმზრდელობით ღონისძიებებთან ერთად აუცილებელია სისხლის სამართლებრივი იძულების ზომებიც, კოდექსი აწესებს, რომ შრომისუნარიანი პირის მიერ ბოროტად თავის არიდება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი, რასაც თან ახლავს მაწანწალობა ან მათხოვრობა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მეორედ გაფრთხილების შემდეგ, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე.

ცნობილია, რომ ავტოტრანსპორტის ავარიები დიდ საფრთხეს წარმოადგენენ მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, მით უმეტეს დღევანდელ პირობებში, როცა განუზომლად გადიდდა, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განკარგულებაში არსებული ავტომანქანების პარკი, ისე მოქალაქეთა პირადი საკუთრების ავტომანქანების რიცხვი. სისხლის სამართლის ძველი კოდექსი ითვალისწინებდა მხოლოდ ავტოტრანსპორტის მუშაკების პასუხისმგებლობას შრომის დისციპლინის და მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად მოხდენილი ავტოავარიისათვის; არა ტრანსპორტის მუშაკების მიმართ კი, ასეთი პასუხისმგებლობა დაწესებული არ იყო. სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ერთ მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლში ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ელექტრო-ტრანსპორტისა და ავტომოტოტრანსპორტის მოძრაობის უშიშროებისა და ექსპლოატაციის წესების დარღვევისათვის, როგორც ტრანსპორტის მუშაკების, ისე სხვა პირთა მიერ (მუხლი 241).

ჩვენის აზრით მოცემული დანაშაულისათვის თანაბარი პასუხისმგებლობა სავსებით სწორი და გამართლებულია, რადგან ტრანსპორტის მუშაკების მიერ იქნება ჩადენილი ასეთი დანაშაული თუ არატრანსპორტის მუშაკების მიერ, ავტოავარიებით გამოწვეული მძიმე შედეგები ერთნაირად საშიშია საზოგადოებისათვის.

* * *

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი კოდექსი ყველა პირობას ქმნის დანაშაულთან და სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევებთან ეფექტიური ბრძოლის უზრუნველსაყოფად.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლო, პროკურატურის, მილიციის და სხვა მომკვლევი ორგანოების მუშაკები სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობის ცხოვრებაში განუხრელად გატარებით და მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიური დახმარებით, მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით შემდგომში კიდევ უფრო განამტკიცებენ საბჭოთა სახელმწიფოს და დაიცავენ ჩვენი ხალხის ინტერესებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან და ამით მაქსიმალურად შეუწყობენ ხელს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

ბ. ფურცხვანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1960 წლის 30 დეკემბერს მიიღო ახალი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და დაადგინა მათი სამოქმედოთ შემოღება 1961 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს სსრ პირველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1923 წ.), რომელიც მთლიანად აგებული იყო რსფსრ 1922 წლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, თითქმის ორმოცი წლის მანძილზე მოქმედებდა და საიმედოთ უზრუნველყოფდა დანაშაულის გახსნის, ბრალეულ პირთა დადგენისა და დასჯა-გამოსწორების ამოცანას.

ახალი საპროცესო კოდექსი, ცხადია, ინარჩუნებს ძველი კოდექსის იმ დებულებებს, რაც დღესაც მისაღები და სასარგებლოა ცხოვრებისათვის, პრაქტიკისათვის, ამავე დროს, მასში აღარ გვხვდება მოძველებული, დღევანდელი ვითარებისათვის შეუსაბამი დებულებები, ახალ კოდექსში დაწესებულია ბევრი სიახლე ძველ კოდექსთან შედარებით.

ახალი საპროცესო კოდექსის იურიდიულ ბაზას წარმოადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციები და სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების საფუძვლები (1958 წ.). მასში კონკრეტულად ასახულია სკკპ მე-XX და მე-XXI ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი სოციალისტური კანონიერების ყოველმხრივ განმტკიცებისა, საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევასთან ბრძოლის, მოქალაქეთა უფლებების დაცვის გაძლიერების საქმეში საზოგადოებრიობის როლის გაფართოების შესახებ.

ახალი კოდექსის სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება ძველი კოდექსის სისტემისაგან. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: ახალ საპროცესო კოდექსის სისტემას საფუძვლად უდევს პროცესუალური მოქმედების ერთიანობა, მთლიანობა სასამართლო სისტემის ყველა რგოლისათვის. სასამართლო წარმოების წესი სისხლის სამართლის საქმეზე ერთნაირია უკლებლივ ყველა სასამართლოსათვის, პროკურატურის, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოებისათვის. კოდექსის მთელი სისტემა, ამ პრინციპზე დაფუძნებული, აწესებს გარკვეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულებას თანმიმდევრობით, სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული სტადიების კვალდაკვალ. ამ საერთო დებულებიდან გამონაკლისი, ან და განსაკუთრებული წარმოება ამა თუ იმ კატეგორიის საქმეებისათვის ან ამა თუ იმ სასამართლოსა და გამოკვლევის ორგანოსათვის ახალ კოდექსში დაშვებული არ არის.

ასეთი აგებულების გამო ახალი საპროცესო კოდექსის სისტემა ზუსტად ასახავს სისხლის სამართლის საქმის მოძრაობას, ერთი სტადიიდან მეორეში გადასვლას და ძველ კოდექსთან შედარებით უდაოდ მეტად უზრუნველყოფს ცალკეული ნორმების პრაქტიკაში მოხერხებულად და მართებულად გამოყენებას.

საპროცესო კოდექსის მეორე მუხლში განსაზღვრულია სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ამოცანები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სწრაფად და სრულად გაიხსნას დანაშაული, მხილებული იქნენ დამნაშავენი და უზრუნველყოფილი კანონის სწორად გამოყენება, რათა პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, სამართლიანად დაისაჯოს და არც ერთი უდანაშაულო არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისგებაში და მსჯავრდებული.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცდენას და აღმოფხვრას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელად შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

ახალი საპროცესო კოდექსის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ იგი არ კმაყოფილდება დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირის სამართლიანი დასჯის ამოცანით, არამედ მოითხოვს დანაშაულის გამომწვევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის ხელისშემწყობ პირობებისა და მიზეზების დადგენა-ნათელყოფას, მათი აღმოფხვრის აუცილებლობას.

ახალი კოდექსი განამტკიცებს და ავითარებს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ისეთ დემოკრატიულ პრინციპებს, როგორიც არის პიროვნების ხელშეუხებლობა და ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება, სასამართლოში საქმის განხილვისას სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა, ბრალდებულისათვის დაცვის უფლების უზრუნველყოფა, სასამართლო განხილვის საჯაროობა და ა. შ.

კოდექსი აწესებს, რომ სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და პირი, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, მოვალე არიან განახორციელონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევისათვის, გამოავლინონ დამნაშავის, როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მისი ბრალის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი; სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს და და პირს, რომელიც მოკვლევას აწარმოებს, უფლება არა აქვთ მტკიცების მოვალეობა ბრალდებულზე გადაიტანონ და რომ აკრძალულია ბრალდებულისაგან ჩვენების გამოძალვა მუქარის, ძალადობის და სხვა უკანონო ღონისძიებათა გამოყენების გზით (მე-18 მუხლი).

ფრიად საგულისხმოა ახალი კოდექსის მოთხოვნა, რომ მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო, ამასთან ერთად, ვალდებული არიან გამოარკვიონ დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი გარემოებანი და მიიღონ ზომები მათ ასაცილებლად (60 მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსის მე-53 მუხლში[1] მითითებულ საფუძვლების არსებობისას სასამართლოს, პროკურორს, გამომძიებელს და მომკვლევ პირს უფლება აქვთ მოსპონ სისხლის სამართლის საქმე და დანაშაულის ჩამდენი პირი თავდებქვეშ გადასცეს აღსაზრდელად და გამოსასწორებლად შუამდგომლობის აღმძვრელ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს. ამასთან აკრძალულია თავდებქვეშ გადაცემა და ამ საფუძვლის გამო საქმის მოსპობა ისეთი პირის მიმართ, ვინც ადრე მსჯავრდებული იყო განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის ან წინეთ უკვე იყო თავდებქვეშ გადაცემული. უკეთუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თავს არ თვლის დამნაშავედ ან რაიმე მოსაზრებით მოითხოვს საქმის სასამართლოში განხილვას, საქმე არ მოისპობა და ამ პირის თავდებქვეშ გადაცემა არ დაიშვება. თავდებქვეშ გადაცემულმა პირმა თუ ერთი წლის განმავლობაში ვერ გაამართლა კოლექტივის ნდობა, დაარღვია ვალდებულება გამოსწორების შესახებ და იგი არ ემორჩილება სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს ან მან მიატოვა სამუშაო საზოგადოებრივი ზეგავლენისაგან თავის დაღწევის მიზნით, თავდებქვეშ ამყვან საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან მშრომელთა კოლექტივს გამოაქვთ გადაწყვეტილება თავდებობაზე უარის თქმის შესახებ და ამ გადაწყვეტილებას უგზავნიან სასამართლოს ან პროკურატურას დამნაშავე პირის პასუხისმგებლობის შესახებ საკითხის განსახილავად. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე შეიძლება განახლებული იქნეს სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით ან პროკურორის დადგენილებით (მე-9 მუხლი).

ახალი საპროცესო კოდექსი მთელ რიგ ნორმებში მოითხოვს განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, მათი ბრალდების შესახებ საქმეების გამოკვლევა-გადაწყვეტისადმი დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობის გრძნობით მიდგომას. და ეს ბუნებრივია, რადგან დანაშაულს, როგორც წესი, არასრულწლოვანი ჩაიდენს სხვა პირთა, უმეტეს შემთხვევაში მოზრდილთა ზეგავლენითა და დაყოლიებით ან კიდევ ახლობელთა მხრივ მასზე ზრუნვა-ყურადღების მოდუნების შედეგად, რის გამოც ასეთი პირის გამოსასწორებლად და აღსაზრდელად სრულიადაც არ არის სავალდებულო არა თუ მკაცრი სასჯელის გამოყენება, არამედ მის შესახებ საქმის სასამართლოში განხილვაც.

---

[1] ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ან მშრომელთა კოლექტივისათვის აღსაზრდელად თავდებქვეშ გადაცემას იმ პირისა, ვის მიერაც ჩადენილ დანაშაულს, რისთვისაც კანონით შეიძლება დანიშნული იქნეს თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს სამი წლისა ან სხვა უფრო მსუბუქი სასჯელი, არ მოყოლია მძიმე შედეგი, ხოლო დამნაშავის პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას და მან გულმართლად მოინანია ჩადენილი ქმედობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დებულების საილუსტრაციოა, სხვათა შორის, კოდექსის მერვე მუხლის შინაარსი. ამ მუხლის ძალით სასამართლოს, პროკურორს, აგრეთვე გამომძიებელს პროკურორის თანხმობით, უფლება აქვთ შეწყვიტონ წარმოება სისხლის სამართლის საქმეზე თვრამეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირის მიმართ, რომელსაც ჩადენილი აქვს ისეთი დანაშაული, რაც დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენს და საქმე განსახილველად გადაუგზავნონ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, უკეთუ საქმის გარემოებათა და იმ მონაცემების მიხედვით, რომლითაც ხასიათდება სამართლის დამრღვევის პიროვნება, მისი გამოსწორება შესაძლებელია სისხლის სამართლის სასჯელის გამოუყენებლადაც.

კანონის დამრღვევ არასრულწლოვან პირთა მიმართ მზრუნველობითა და სისათუთით დამოკიდებულების მოთხოვნას — მათი გამოსწორებისა და აღზრდის მიზნით, ჩვენ ვპოულობთ ახალი კოდექსის სხვა მუხლებშიც.

კოდექსი დიდ ადგილს უთმობს საქმეზე დამამტკიცებელი საბუთების შეგროვების, წარდგენის, შეფასების საკითხს. სოციალისტური მართლმსაჯულების ინტერესებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობის მქონეა კოდექსის მოთხოვნა, რომ სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევი პირი, ხელმძღვანელობენ რა კანონით და სოციალისტური მართლშეგნებით, დამამტკიცებელ საბუთებს შეაფასებენ თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათს ერთობლიობაში. ამასთან, არავითარ დამამტკიცებელ საბუთს სასამართლოსათვის, პროკურორისათვის, გამომძიებლისა და მომკვლევი პირისათვის წინასწარ დადგენილი ძალა არა აქვს (63 მუხლი).

კანონიერებისა და მოქალაქეთა საპატიო ინტერესების მტკიცედ დაცვის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენს კოდექსის მე-15 მუხლში აღიარებული დებულება სასამართლო წარმოების ენის შესახებ. ამ მუხლის ძალით სასამართლო წარმოება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური ოლქის ენაზე. თუ საქმეში მონაწილე პირმა არ იცის ენა, რომელზეც სასამართლო წარმოება მიმდინარეობს, მისთვის უზრუნველყოფილია უფლება განცხადება შეიტანოს, ჩვენება მისცეს, სასამართლოში გამოვიდეს და შუამდგომლობა განაცხადოს დედაენაზე, აგრეთვე ისარგებლოს თარჯიმანის მომსახურებით. საგამომძიებლო და სასამართლო დოკუმენტები, საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად ჩაბარდება ბრალდებულს თარგმნილი მის დედაენაზე ან სხვა ენაზე, რომელიც მან იცის.

კოდექსი სისხლის სამართლის საპროცესო მოვალეობის მთავარ სუბიექტად სასამართლოს თვლის და აწესებს, რომ სისხლის სამართლის საქმეებზე მართლმსაჯულებას მხოლოდ სასაჩართლო ახორციელებს, რომ არავინ არ შეიძლება ცნობილი იქნეს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში და დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით, თუ არა სასამართლოს განაჩენით (იხ. კოდექსის მე-11 მუხლი).

ახალი საპროცესო კოდექსის დამახასიათებელია საკანონმდებლო რეგლამენტირება ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეობისა დანაშაულთან ბრძოლის, მისი გამომწვევი მიზეზების გამოვლინებისა და აღკვეთის საქმეში, აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევასა და გადაწყვეტაში, დამნაშავეთა გამოსწორებასა და აღზრდაში. კოდექსი მთელ რიგ სპეციალურ ნორმებში ითვალისწინებს საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის უფლება-მოვალეობას, მათს აქტუალურ როლს სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე პროკურორთან და ადვოკატთან ერთად.

ეჭვი არ არის, საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა საპროცესო მოღვაწეობაში ხელს შეუწყობს საბჭოთა სასამართლო ორგანოებს სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში, ამასთან ერთად, დადებით გავლენას მოახდენს ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით მთელი მოსახლეობის აღზრდის დიდ საპატიო საქმეზე.

კოდექსი აწესრიგებს სისხლის სამართლის საპროცესო მოღვაწეობის ყველა სუბიექტის უფლება-მოვალეობას, აძლიერებს მათ უფლებათა და კანონიერ ინტერესთა გარანტიებს, კერძოდ, მნიშვნელოვნად აფართოებს დაზარალებულისა და ბრალდებულის უფლებებს.

კოდექსისი 47-ე მუხლის ძალით დაზარალებულად ითვლება ის პირი, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა. მას უფლება აქვს მისცეს ჩვენება საქმეზე, აგრეთვე მას და მის წარმომადგენელს უფლება აქვთ წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები, განაცხადონ შუამდგომლობა, გაეცნონ საქმის მასალებს წინასწარი გამოძიების დამთავრების მომენტიდან, ხოლო იმ საქმეებს, რომლებზეც გამოძიება არ ჩატარებულა, ბრალდებულის სამართალში მიცემის მომენტიდან, მონაწილეობა მიიღონ დამამტკიცებელი საბუთების გამოკვლევაში სამსჯავრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძიებაზე, განაცხადონ აცილება, შეიტანონ საჩივარი მომკვლევი პირის, გამომძიებლის, პროკურორის და სასამართლოს მოქმედებაზე და სახალხო სასამართლოს დადგენილებაზე, აგრეთვე მხარი დაუჭირონ ბრალდებას იმ საქმეებზე, რაც დაზარალებულის საჩივრით აღიძვრის (ე. წ. კერძო ბრალდების საქმეებზე). კოდექსი იმასაც ითვალისწინებს, რომ ისეთი დანაშაულის საქმეებზე, რასაც შედეგად დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, ზემოთ ჩამოთვლილი უფლებები ენიჭება მის ახლო ნათესავებს.

ამ უკანასკნელი დებულების დაკანონებით ბოლო მოეღება ზოგიერთი სასამართლო ორგანოების არა სწორ პრაქტიკას, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოკლული-დაზარალებულის ახლო ნათესავებს (დედას, მამას, შვილს და ა. შ.) ეკრძალებოდა საქმეზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება უსაფუძვლობის ან ზედმეტი ლმობიერების მოტივით და საერთოდ ყველა იმ უფლების გამოყენება, რაც საპროცესო კანონმდებლობით დაზარალებულს აქვს მინიჭებული.

ახალი კოდექსი, დაცვაზე ბრალდებულის უფლების კონსტიტუციური პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად აფართოებს ბრალდებულის უფლებებს პროცესის სხვადასხვა სტადიაზე, ავალდებულებს მომკვლევ ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორსა და სასამართლოს მტკიცედ უზრუნველყონ ბრალდებულის მიერ თავის დასაცავად გათვალისწინებული ყველა უფლების, მისი პირადი და ქონებრივი პატივსადები ინტერესების უკლებლივ განხორციელების შესაძლებლობა.

დაზარალებულის და ბრალდებულის უფლებათა რეგლამენტირება და გაფართოება სასარგებლო იქნება სოციალისტური კონონიერების განმტკიცებისათვის, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისა და დანაშაულის ნამდვილად ჩამდენ პირთა გამოვლინება-დასჯის მიზნებისათვის.

მნიშვნელოვნად არის აგრეთვე გაზრდილი დამცველის როლი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში. თუ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დამცველს უფლება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო საქმეში მხოლოდ სასამართლო განხილვის სტადიიდან, ამჟამად, ახალი კოდექსის ძალით დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება უკვე წინასწარი გამოძიების სტადიიდან, სახელდობრ, იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და წარუდგენენ გასაცნობად მთელი საქმის წარმოებას, ხოლო საქმეებზე არასრულწლოვანთა და აგრეთვე იმ პირთა დანაშაულის შესახებ, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ თვითონ განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება ბრალდების წაყენების მომენტიდან (იმ საქმეებზე, რომლებზეც წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა სამართალში მიცემის მომენტიდან).

კოდექსის მთელი რიგი ნორმების საფუძველზე დამცველი აღჭურვილია ფართო უფლებებით იმისათვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს, როგორც წინასწარი გამოძიების წარმოებისას, ასევე საქმის სასამართლო განხილვისა და საკასაციო წარმოებისას. სასამართლოს შეხედულებისამებრ დამცველი შეიძლება დაშვებული იქნეს აგრეთვე საქმის სასამართლო ზედამხედველობის წესით განხილვის დროსაც.

საპროცესო კოდექსი აფართოებს იმ შემთხვევათა წრეს, როცა წინასწარი გამოძიებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. სახელდობრ, კოდექსის 44-ე მუხლის საფუძველზე დამცველის მონაწილეობა სავალდებულოდ არის მიჩნეული:

1) ყრუ, მუნჯი, უსინათლო და სხვა ისეთი პირის საქმეზე, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია თვითონ განახორციელოს თავისი დაცვის უფლება; 2) საქმეზე არა სრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ; 3) ისეთ დანაშაულის საქმეზე, რომელზეც სასჯელის ზომად შეიძლება გამოყენებული იქნეს სიკვდილით დასჯა; 4) როდესაც სამართალში მიცემულთა ინტერესებს შორის არსებობს წინააღმდეგობა, თუ ერთ მათგანს მაინც ყავს დამცველი; 5) ისეთ საქმეზე, რომელშიც მონაწილეობას იღებს სახელმწიფო ბრალმდებელი და 6) იმ პირთა საქმეზე, ვინც არ იცის ენა, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

აღნიშნულ შემთხვევებში თუ დამცველი თვით ბრალდებულს, სამართალში მიცემულს ან მისი დავალებით სხვა პირებს არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისად გამომძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში.

განსხვავებით რსფსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, რომელიც დამცველის სავალდებულო მონაწილეობას წინასწარი გამოძიების სტადიაზე თვლის მარტოოდენ ყრუ, მუნჯის, უსინათლო და სხვა ისეთი პირის საქმეზე, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია თვითონ განახორციელოს თავისი დაცვის უფლება და საქმეზე არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპროცესო კოდექსი ასეთ გამონაკლისს წინასწარი გამოძიების სტადიისათვის არ უშვებს და დამცველის მონაწილეობას ზემოდ ჩამოთვლილი ექვსივე კატეგორიის საქმეებზე სავალდებულოდ მიიჩნევს თანაბრად, როგორც წინასწარი გამოძიების, ასევე სასამართლო განხილვის დროსაც.

ახალ კოდექსს არსებითი ხასიათის ცვლილებები შეაქვს მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების დარგში. იგი ზუსტად განსაზღვრავს საგამომძიებლო ქვემდებარეობას, ერთის მხრივ, წინასწარი გამოძიებისა და, მეორეს მხრივ, მოკვლევის ორგანოებისათვის. წინასწარი გამოძიების ჩატარება სავალდებულოდ არის მიჩნეული საშუშ დანაშაულთა, აგრეთვე მთელ რიგ რთულ და ისეთ საქმეებზე, რომელთა გამოკვლევაც გამომძიებლის მაღალ კვალიფიკაციას მოითხოვს; ამასთან ერთად, კოდექსი მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მოკვლევასაც, რომელიც წარმოდგენილია ორი ფორმით; ა) მოკვლევა ისეთ საქმეებზე, რომლებზეც წინასწარი გამოძიების წარმოება არ არის სავალდებულო და ბ) მოკვლევა ისეთ საქმეებზე, რომლებზეც, წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა.

თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამო წინასწარი გამოძიება სავალდებულოა, მოკვლევის ორგანო აღძრავს სისხლის სამართლის საქმეს და აწარმოებს გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებას დანაშაულის კვალის დასადგენად და განსამტკიცებლად, დათვალიერებას, ჩხრეკას, ჩამორთმევას, შემოწმებას, ეჭვმიტანილთა დაკავებას და დაკითხვას, დაზარალებულთა და მოწმეთა დაკითხვას. იმ საქმეებზე კი, რომელთა გამო წინასწარი გამოძიება სავალდებულო არ არის, მოკვლევის მასალები საქმის სასამართლოში განხილვის საფუძველს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში მოკვლევის ორგანო მოკვლევის მასალებს საბრალდებო დასკვნით წარუდგენს პროკურორს, რომლის დასტურით საქმე იგზავნება სასამართლოში განსახილველად.

აღსანიშნავია, რომ კოდექსი არ უშვებს მოკვლევის წარმოებისათვის გამარტივებულ საპროცესო ფორმებს და მოითხოვს, რომ მოკვლევა წარმოებდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთ წინასწარი გამოძიებისათვის დადგენილი წესებით, მცირეოდენი გამონაკლისის დაშვებით (ასე მაგალითად, მოკვლევის წარმოების დროს დამცველი არ იღებს მასში მონაწილეობას და ა. შ.). ცხადია კოდექსის ასეთი მოთხოვნა ხელს შეუწყობს კანონიერების განმტკიცებას მოკვლევის ორგანოების, პირველ რიგში მილიციის ორგანოების, ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

კოდექსი აფართოებს გამომძიებლის უფლებამოსილებას მოკვლევის ორგანოების მიმართ, რაც კერძოთ იმაში გამოიხატება, რომ გამომძიებლის მიერ საქმის თავის წარმოებაში მიღების შემდეგ მოკვლევის ორგანოს უფლება აქვს აწარმოოს ამ საქმეზე სამძებრო და საგამომძიებლო მოქმედება მხოლოდ გამომძიებლის დავალებით და ნებართვით, რომლის მითითება მისთვის სავალდებულოა.

ამასთან ერთად, ახალი კოდექსი მნიშვნელოვნად ზრდის გამომძიებლის პროცესუალურ დამოუკიდებლობას საერთოდ და მის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმის სრულად და ობიექტურად გამოძიების დარგში. ამ დებულების დამადასტურებელია კოდექსის 127 მუხლით დადგენილი შემდეგი წესი: წინასწარი გამოძიების წარმოების დროს გამომძიებელი მიიღებს გადაწყვეტილებებს გამოძიების წარმართვისა და საგამომძიებლო მოქმედებათა შესახებ დამოუკიდებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით გათვალისწინებულია პროკურორისაგან სანქციის მიღება და სრული პასუხისმგებელია მათი კანონიერი და დროული განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებებს ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, დანაშაულის კვალიფიკაციისა და ბრალდების მოცულობის შესახებ, ბრალდებულის სამართალში მისაცემად საქმის გაგზავნის ან საქმის შეწყვეტის შესახებ, გამომძიებელს უფლება აქვს წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს საქმე და თავისი საწინააღმდეგო მოსაზრებანი წერილობით. ასეთ შემთხვევაში პროკურორი ან გააუქმებს ქვემდგომი პროკურორის მითითებებს ან ამ საქმეზე გამოძიების წარმოებას დაავალებს სხვა გამომძიებელს.

საგულისხმოა, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აწესრიგებს დამამტკიცებელ საბუთთა შემოწმების და დაზუსტების ისეთ საშუალებას, როგორიც არის შემთხვევის ვითარებისა და გარემოების აღდგენა (საგამომძიებლო ექსპერიმენტი), რაც ადრე, საგამომძიებლო პრაქტიკაში თუმცა ფართოდ გამოიყენებოდა, მაგრამ საკანონმდებლო წესით რეგლამენტირებული არ იყო; ასევე ითქმის ამოსაცნობად წარდგენის წესისა და სხვა მნიშვნელოვან საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების შესახებ.

ადრე მოქმედ საპროცესო კოდექსთან შედარებით ახალ კოდექსში მნიშვნელოვნად არის შეცვლილი სამართალში მიცემის წესი. როგორც ცნობილია, ძველი საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე სამართალში მიცემის ერთად-ერთ ორგანოს წარმოადგენდა კოლეგი-

ალური სასამართლო, რომელიც ამ საკითხს წყვეტდა მოსამზადებელ (განმწესრიგებელ) სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით. ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით სამართალში მიცემის ორგანოდ კვლავ სასამართლო რჩება, მაგრამ სამართალში მიცემის ფუნქცია მიეკუთვნა კოლეგიალურ სასამართლოსთან ერთად მოსამართლესაც ერთპიროვნულად. ახალი კოდექსი აწესებს, რომ სამსჯავრო სხდომაზე საქმის განსახილველად საკმაო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე, წინასწარ არ წყვეტს რა ბრალეულობის საკითხს, გამოიტანს დადგენილებას ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, აგრეთვე ბრალდებულის მიმართ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებას, საქმე განხილულ უნდა იქნეს სასამართლოს განმწესრიგებელ სხდომაზე.

სამართალში მიცემის ახალი წესი, ცხადია, დიდათ შეუწყობს ხელს სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის დაჩქარებას, აღკვეთს ზედმეტ ფორმალობას, რასაც იწვევდა ყველა საქმის სამართალში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე განხილვა, მაშინ, როდესაც ეს აუცილებლობით როდი იყო ყოველთვის გამოწვეული.

აღსანიშნავია, რომ სამართალში მიცემის ფუნქციის მიკუთვნება მოსამართლესათვის ერთპიროვნულად როდი ნიშნავს პროცესის ამ სტადიის გაუბრალოებას. პირიქით, ახალი კოდექსი აწესებს მთელ რიგ გარანტიებს იმისათვის, რომ საკითხი ბრალდებულის სამართალში მიცემისა გადაწყდეს მოსამართლის თუ სასამართლოს მიერ მთელი სერიოზულობით, გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობით.

ახალი კოდექი ავითარებს იმ მტკიცე დებულებას, რომ სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების მთელი სიმძიმის ცენტრი სასამართლოს აკისრია, რომ საქმის საბოლოო ბედის გადამწყვეტ ორგანოს სასამართლო წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, კოდექსი ვრცლად, მთელი გარკვეულობით არეგლამენტირებს სასამართლო განხილვის წესსა და პირობებს, განსაზღვრავს სასამართლოსა და პროცესის ყველა მონაწილის უფლება-მოვალეობას, აზუსტებს მთელ რიგ საკითხებს, რაც შესაძლოა წამოიჭრას სასამართლო განხილვის სტადიაზე, კერძოთ, საკითხებს სასამართლოში ბრალდების შეცვლისა, საქმის აღძვრისა ახალ პირთა მიმართ, სამართალში მიცემულის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესაძლებლობისა, კერძო განჩინებების გამოტანის შესახებ და ა. შ.

კოდექსი, საქმეზე ჭეშმარიტების უკეთ დადგენის ინტერესებიდან გამომდინარე, სავალდებულოდ მიიჩნევს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სამართალში მიცემულის დასწრება-მონაწილეობას. გამონაკლისი ამ მტკიცე დებულებიდან, ე. ი. საქმის განხილვა სამართალში მოცემულის დაუსწრებლად, შეიძლება დაშვებული იქნას მხოლოდ მაშინ: ა) როდესაც სამართალში მიცემული სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ იმყოფება და სასამართლოში გამოცხადებას თავს არიდებს, და ბ) როდესაც საქმეზე ისეთი დანაშაულის გამო, რომლისთვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა ვერ შეეფარდება, სამართალში მიცემული შუამდგომლობს მის დაუსწრებლად საქმის განხილვის შესახებ. მაგრამ სასამართლოს უფლება აქვს სამართალში მიცემულის გამოცხადება სავალდებულოდ ცნოს ასეთ შემთხვევაშიც.

კოდექსში ვრცლად არის აგრეთვე რეგლამენტირებული სამსჯავრო გამოძიებაზე სამართალში მიცემულისა და მოწმის დაკითხვის წესი. განსხვავებით ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების (კერძოთ რსფსრ) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებით ამ საკითხის შესახებ დადგენილი წესისაგან საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ წესს თავისებურება ახასიათებს. ეს თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალით, მას შემდეგ, რაც თავმჯდომარის წინადადებით სამართალში მიცემული ჩვენებას მისცემს წაყენებული ბრალდებისა და საქმის იმ გარემოებათა შესახებ, რომელნიც მისთვის ცნობილია, დაიწყება სამართალში მიცემულის დაკითხვა ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. დაკითხვას აწარმოებენ პროცესის მონაწილენი ასეთი თანმიმდევრობით: პირველ რიგში მას დაკითხავენ პროკურორი და საზოგადოებრივი ბრალმდებელი, შემდეგ დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენლები, დამცველი. ამის შემდეგ სამართალში მიცემულს შეიძლება მისცენ შეკითხვა სამართალში მოცემულმა სხვა პირებმა და მათმა დამცველებმა. სასამართლოს შემადგენლობას (თავმჯდომარეს, სახალხო მსაჯულებს) უფლება აქვს დაკითხოს სამართალში მიცემული სამსჯავრო გამოძიების ყველა მომენტში. ასეთივეა დაახლოებით მოწმის დაკითხვის წესიც.

რსფსრ (და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკების) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით სამართალში მიცემულის და მოწმის დაკითხვას აწარმოებენ პირველ რიგში მოსამართლენი, შემდეგ ბრალმდებლები და ა. შ.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აღნიშნული წესი ვფიქრობთ უფრო მიზანშეწონილია და მაშასადამე უმჯობესიც. სამართალში მიცემულთა და მოწმის დაკითხვის ასეთი წესი უზრუნველყოფს პროცესის მონაწილეთა მეტს აქტიურობას, მეტს პასუხისმგებლობას პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპის მართებულად განხორციელებაში და მაშასადამე მეტს ობიექტურობასაც ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე უფრო მართებულად უნდა ჩაითვალოს დაკითხვის ისეთი აღნაგობა, როდესაც სასამართლოს წინაშე სამართალში მიცემულის მხილებას, მისი დანაშაულის დადგენას ქმედითათ აწარმოებს პირველ რიგში ბრალმდებელი; სწორეთ ბრალმდებელია ვალდებული დემონსტრირება უყოს სასამართლოს წინაშე ჩადენილი ქმედობის ყველა დეტალს, გამოაშკარაოს ქმედობის ჩამდენი პირის ნამდვილი სახე.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი აღნიშნული წესი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეებს ინიციატივა ერთმეორეთ და პროცესის მონაწილეთა შეჯიბრების უბრალო მაყურებლებად ხდებიან. პირიქით, სასამართლო კვლავ რჩება პროცესის წარმმართველად, მის „ბატონ-პატრონად", საქმის საბოლოო ბედის გადამწყვეტად, რაც იქედანაც დასტურდება, რომ ახალი კოდექსის ძალით მოსამართლეებს უფლება აქვთ დაკითხონ სამართალში მიცემული სამსჯავრო გამოძიების ყოველ მომენტში. ეს დებულება იმას ნიშნავს, რომ მოსამართლეებს ყოველთვის აქვთ შესაძლებლობა შეავსონ პროცესის მონაწილეთა მიერ წარმოებული დაკითხვა, წარმართონ დაკითხვა საქმის ყველა გარემოების რაც შეიძლება სრულად, ყოველმხრივად და ობიექტურად გამოკვლევის გზით და მით უზრუნველყონ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა.

ადამიანის ინტერესთა დაცვაზე ზრუნვის გამოვლინებაა ახალი კოდექსის მოთხოვნა, რომ თუ სამართალში მიცემული გამართლებული იქნა ან სასჯელისაგან განთავისუფლდა ან მას მიესაჯა ისეთი სასჯელი, რომელიც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, თუ ის პატიმრობის ქვეშ იმყოფებოდა, სასამართლომ იგი დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლოს სამსჯავრო სხდომის დარბაზშივე (328 მუხლი).

მსჯავრდადებულის დანაშაულით დაზარალებული პირის შებღალული სახელის აღდგენისა, მისი პატივისა და ღირსების დაცვისაკენ არის მიმართული კოდექსის მითითება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო მიზანშეწონილად დაინახავს, მას შეუძლია დაადგინოს რათა გამამტყუნებელი განაჩენი ეცნობოს საზოგადოებრიობას პრესის, რადიოს მეშვეობით ან იმ კოლექტივის წინაშე მისი გამოცხადების გზით, სადაც მსჯავრდადებული მუშაობს ან სხვა საშუალებით (324 მუხლი).

ამ წესის გამოყენება, უნდა ვიფიქროთ, ფრიად მიზანშეწონილია პირველ რიგში, ე. წ. კერძო ბრალდების საქმეებზე (ცილისწამება, შეურაცხყოფა საჯაროდ ან ბეჭდვითი სიტყვით) და სხვ.

ახალი კოდექსი სპეციალურ თავში ვრცლად აწესრიგებს განაჩენის აღსრულების საკითხებს, რასაც, ცნობილია, ყოველთვის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ წარსულში ჯეროვანი ყურადღება ვერ ექცეოდა. კოდექსით დადგენილია, რომ სასჯელისაგან ვადამდე და პირობით-ვადამდე განთავისუფლება, ერთი სახის სასჯელის უფრო მსუბუქი სახით შეცვლა და თავისუფლების აღკვეთის რეჟიმის შეცვლა დაიშვება მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე გარკვეული წესების დაცვით. ეს გარემოება, ცხადია, ხელს შეუწყობს სასამართლო განაჩენის სტაბილობას და დასჯა-გასწორების პრაქტიკის მართებულად განხორციელების უზრუნველყოფას.

კოდექსი დაწვრილებით არეგლამენტირებს სისხლის სამართლის საქმის საკასაციო განხილვის, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესულ განაჩენების გადასინჯვის (სასამართლო ზედამხედველობის წესით) და საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განახლების წესსა და პირობებს. კოდექსში სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპის ერთ-ერთ გამოსახულებას წარმოადგენს დებულება, რომ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის, განჩინების, დადგენილების გადასინჯვა სასამართლო ზედამხედველობის წესით სასჯელის ლმობიერების მოტივით ან იმის გამო, რომ საჭიროა მსჯავრდადებულის მიმართ გამოყენებული იქნას უფრო მძიმე დანაშაულის კანონი, აგრეთვე გამამართლებელი განაჩენისა, ან საქმის მოსპობის შესახებ სასამართლოს განჩინების ან დადგენილების გადასინჯვა დაიშვება მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მათი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (383 მუხლი).

კოდექსი უზრუნველყოფს რა მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა და განსაკუთრებით საშიშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეციდივისტთა მიმართ სასჯელის მკაცრი ღონისძიებების შეფარდებას, ამავე დროს უშვებს საზოგადოებრივი ზეგავლენის ღონისძიების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას. იმ პირებისადმი, ვინც ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაული ჩაიდინა, ვისი ქმედობა და პიროვნება არ წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ საშიშროებას.

მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული საპროკურორო ზედამხედველობის როლი სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე. შესაბამისად მოქმედი „დებულებისა სსრ კავშირში საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ“ ახალი საპროცესო კოდექსი შეიცავს მთელ რიგ ნორმებს, რომლებიც ყველა პირობას ქმნიან იმისათვის, რომ ქმედითად განხორციელდეს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, საქართველოს სსრ პროკურორის და მათდამი დაქვემდებარებული პროკურორების მიერ ზედამხედველობა სისხლის სამართლის პროცესის უკლებლივ ყველა მონაწილის მიერ კანონების ზუსტად დაცვაზე.

ამ მხრივ საგულისხმოა კერძოდ ახალი საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი, რომელიც აწესებს, რომ „პროკურორი ვალდებულია სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ყველა სტადიაში თავის დროზე მიიღოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რათა აღმოიფხვრას კანონის ყოველგვარი დარღვევა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს ეს დარღვევა...“, აგრეთვე 337 მუხლი, რომლის ძალით „პროკურორი მოვალეა გააპროტესტოს საკასაციო წესით ყოველი უკანონო ან დაუსაბუთებელი განაჩენი“ და სხვ.

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, გამსჭვალული მთლიანად სოციალისტური დემოკრატიზმის, სოციალისტური კანონიერებისა და სოციალისტური ჰუმანიზმის პრინციპებით, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომ განვითარებაში.

ჩვენთვის, პრაქტიკისა და თეორიის დარგში მომუშავე იურისტებისათვის, აუცილებლობას წარმოადგენს ახალი კოდექსის ღრმა, საფუძვლიანი შესწავლა და მისი ცხოვრებაში გამოყენების პრაქტიკის განზოგადება.

საბჭოთა მეცნიერ-იურისტთა მიერ მთელი რიგი პროცესუალური პრობლემების ღრმად შესწავლამ, შემოქმედებითად დამუშავებამ აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს სასამართლოს, პროკურატურასა და მოკვლევის ორგანოებს პრაქტიკული მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებაში, სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების, საბჭოთა სახელმწიფოს და მოქალაქეთა უფლებების ყოველმხრივ მტკიცედ დაცვის საქმეში.

მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთ მჭიდრო კავშირი იმის საწინდარია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მოწოდებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და შემდეგ მისი მთლიანად აღმოფხვრისათვის, ცხოვრებაში წარმატებით იქნება გამოყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის საკითხისათვის

პროფ. თ. წერეთელი

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა 1958 წლის საფუძვლების მიღებამდე არ იძლეოდა თანამონაწილეობის ცნების განსაზღვრებას, ხოლო თანამონაწილეთა ცალკეული სახეების (ამსრულებლის, წამქეზებლის, დამხმარის) დახასიათებისას არ მიუთითებდა მათი მოქმედების სუბიექტურ მხარეზე. ამიტომ გასაგებია, რომ თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის შინაარსს საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად აშუქებდნენ. საბჭოთა კრიმინალისტების დიდი უმრავლესობა აუცილებლად თვლიდა თანამონაწილეობისათვის განზრახი ბრალის არსებობას. პირიქით, კრიმინალისტთა მეორე, თუმცა მცირე ჯგუფი ამტკიცებდა, რომ განსაზღვრულ პირობებში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა შესაძლებელია. ამ შეხედულებას, სახელდობრ, იზიარებდნენ პროფ. ა. ტრაინინი[1] და პროფ. მ. შარგოროდსკი[2].

საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა, როგორც წესი, უარყოფდა თანამონაწილეობას გაუფრთხილებელი ბრალის დროს, თუმცა, იშვიათი გამონაკლისის სახით, უშვებდა გაუფრთხილებელ თანამონაწილეობასაც.

საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის 1958 წლის საფუძვლებში, პირველად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, გაშუქებულია დანაშაულში თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე. საფუძვლების მე-17 მუხლში ნათქვამია: „თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

მიუხედავად საფუძვლების ასეთი მითითებისა, საბჭოთა ლიტერატურაში დღესაც არიან ავტორები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა გამორიცხული არ არის და რომ ასეთი მტკიცება სრულიადაც არ ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-17 მუხლს[3]. ამასთან დაკავშირებით საკითხს დღესაც არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა.

ამიტომ საჭიროა განვიხილოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ვინმე გაუფრთხილებლად მონაწილეობას იღებს რამდენიმე პირის მიერ ჩადენილ დანაშაულში. აქ შესაძლებელია გვქონდეს რამდენიმე კომბინაცია: 1) დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლად, ხოლო მეორე პირი, რომელიც მას აქეზებს ჩაიდინოს რაიმე მოქმედება ან ეხმარება, მოქმედებს განზრახ; 2) დანაშაულის უშუალო ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო ის, ვინც ობიექტურად ხელი შეუწყო ამ მოქმედებას, მოქმედებს გაუფრთხილებლად; 3) დანაშაულის ყველა მონაწილე მოქმედებს გაუფრთხილებლად.

რაც შეეხება პირველ ორ შემთხვევას, საბჭოთა კრიმინალისტები ერთხმად

---

[1] А. Трайнин, Учение о соучастии, изд. НКЮ СССР, М., 1941, стр. 114 მისივე, Некоторые вопросы учения о соучастии. Социалистическая законность“, 1957, № 2, стр. 26—29.

[2] М. Шаргородский, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Известия высших учебных заведений. Правоведение“, 1960, № 1, стр. 91—94; Советское уголовное право. Часть общая, изд. Ленингр. университета, Л., 1960, стр. 413—421.

[3] Вопросы общей части уголовного права, изд. Ленингр. университета, Л., 1955, стр. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფენ თანამონაწილეობას ბრალის სხვადასხვა ფორმით. ასე, მაგალითად, პროფ. ა. ტრაინინი მართებულად მიუთითებდა, რომ „თანამონაწილეობა არ არსებობს მაშინ, როდესაც ამსრულებელი მოქმედებს განზრახ, ხოლო მისი დამხმარე პირები — გაუფრთხილებლად. თანამონაწილეობა არ არსებობს აგრეთვე მაშინაც, როცა მესამე პირები მოქმედებენ განზრახ, ხოლო ამსრულებელი — გაუფრთხილებლად"[1].

თანამონაწილეობა წარმოადგენს რამდენიმე პირის ერთობლივ მონაწილეობას ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაში. თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ერთიანობისათვის საკმარისი არ არის ის, რომ ყოველი მათგანის მოქმედება საზოგადოებრივად საშიში შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. დანაშაულის ერთიანობისათვის სუბიექტური მხარის ერთიანობაცაა საჭირო. ეს ერთიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება არსებობდეს, როდესაც ყველა პირის საქმიანობა შეგნებულად მიმართულია ერთი და იმავე დანაშაულებრივი შედეგისაკენ. პირიქით, მას არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი თანამონაწილე შეგნებულად წარმართავს თავის ნებას დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე, ხოლო მეორე პირი ამ შედეგს არც კი ითვალისწინებს.

გაუფრთხილებლობა ბრალის უფრო მსუბუქი ფორმაა, ვიდრე განზრახვა და, როგორც წესი, უფრო მსუბუქად ისჯება. ზოგჯერ კი კანონმდებელი სრულიად არ ითვალისწინებს გაუფრთხილებლობის დასჯადობას, მაშინ, როდესაც იგივე ქმედობა, განზრახ ჩადენილი, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. მაშასადამე ერთი და იმავე ობიექტური შემადგენლობის შესრულება ბრალის სხვადასხვა ფორმით არ მოგვცემს ერთ დანაშაულს, ერთ შემადგენლობას.

თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ დანაშაულში უარყოფს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა. „თანამონაწილეობას გაუფრთხილებელ მკვლელობაში, — ნათქვამია რსფსრ-ის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საკასაციო კოლეგიის 1924 წლის 5 მაისის განჩინებაში, — ლოგიკურად არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი".

ამიტომ თუ პირი განზრახ აქეზებს მეორე პირს ისეთი ქმედობის ჩასადენად, რომელსაც მისი წინასწარი შეცნობით მავნე შედეგი უნდა მოჰყვეს, ხოლო უშუალო ამსრულებელი მოქმედებს გაუფრთხილებლად, პირველი სუბიექტი პასუხს უნდა აგებდეს არა როგორც გაუფრთხილებელი დანაშაულის წამქეზებელი, არამედ როგორც მისი შუალობითი ამსრულებელი.

შეუძლებელია აგრეთვე საწინააღმდეგოც, ე. ი. გაუფრთხილებელი მონაწილეობა განზრახ ჩადენილ დანაშაულში. ამ დებულების საილუსტრაციოდ შეიძლება მოყვანილ იქნეს შემდეგი მაგალითი ჩვენი სასამართლო პრაქტიკიდან. პეტროსიანი ა. ო. მიცემული იყო პასუხისგებაში როგორც მკვლელობის წამქეზებელი. მკვლელი იყო მისი შვილი პეტროსიანი ა. ლ., ხოლო მოკლული — მისი რძალი — პეტროსიან-სმირნოვა.

როგორც საქმის მასალებით დადასტურდა, დედამთილი ცუდად ეპყრობოდა რძალს, არ აჭმევდა, უკრძალავდა მეზობლებთან ურთიერთობას და ყოველდღე ასმენდა თავის შვილთან (მოკლულის ქმართან). რა თქმა უნდა, დედის ასეთმა საქციელმა შესაძლებელია ერთგვარი ზეგავლენა მოახდინა შვილზე, რომელიც ხშირად ეჩხუბებოდა თავის ცოლს, ხოლო ერთხელ დიდი ჩხუბის შემდეგ — ესროლა ტყვია და მოკლა. მაგრამ ამავე დროს სასამართლოში არ დადასტურდა, რომ პეტროსიანის ქალს წაექეზებინა თავისი შვილი ცოლის მოსაკლავად. ზემოაღნიშნულის გამო სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა 1959 წლის 2 დეკემბრის დადგენილებაში მიუთითა:

„თუმცა უდავოა, რომ ა. ო. პეტროსიანმა, რომელიც სისტემატურად ლან-

[1] А. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 114.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძღავდა რძალს შვილთან, თავისი მოქმედებით შექმნა ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ამ უკანასკნელის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ამა თუ იმ პირის მოქმედება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც წაქეზება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებულია, რომ იგი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. ასეთი დამამტკიცებელი საბუთი ა. ო. პეტროსიანის მიმართ საქმეში არ მოიპოვება, რის გამოც განაჩენი მის მიმართ უნდა გაუქმდეს, ხოლო საქმე ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო უნდა მოისპოს"[1].

პროფ. ა. ტრაინინი უშვებდა სხვადასხვა სახის ბრალით თანამონაწილეობას, როგორც გამონაკლისს, დანაშაულის დაფარვის შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელმა ჩაიდინა გაუფრთხილებელი დანაშაული, ხოლო დანაშაულის ჩადენის შემდეგ ადგილი ჰქონდა მის დაფარვას. „თუ უარყოფილი იქნება თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულში, — წერდა იგი, — მაშინ აუცილებლად უარყოფილ უნდა იქნეს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დაფარვისათვის პასუხისმგებლობის შესაძლებლობა. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ზოგჯერ სხვა რამეს ვხედავთ: ქ. კუიბიშევის ლენინის რაიონის მე-14 უბნის სახალხო სასამართლოს 1939 წლის 20 აპრილის განაჩენით რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 17 და 199 მუხლებით (თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ მკვლელობაში) მსჯავრდებული იყო რ., რომელიც ცდილობდა დაეფარა შოფერ ვ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულის — გაუფრთხილებელი მკვლელობის — კვალი"[2].

პროფ. ა. ტრაინინის მიერ მოტანილი მაგალითი არაფერს არ ამტკიცებს. დაფარვა თანამონაწილეობას არ წარმოადგენს, და ამიტომ გაუფრთხილებელი დანაშაულის დაფარვა, რომელიც აუცილებლად განზრახ ბრალს გულისხმობს, ლოგიკურად დასაშვებია.

თუმცა რსფსრ-ის 1926 წლის სისხლის სამართლის კოდექსი წინასწარ შეუპირებელ დაფარვას თანამონაწილეობად თვლიდა, მაგრამ 1958 წლის საფუძვლებში ეს არასიზუსტე გამოსწორებულია და ამჟამად ასეთი დაფარვა თანამონაწილეობად აღარ ითვლება, არამედ ისჯება მხოლოდ როგორც დამოუკიდებელი დანაშაული კანონით სპეციალურად მითითებულ შემთხვევებში (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-18 მუხლი).

გვრჩება განსახილველი მესამე კატეგორიის შემთხვევები, როდესაც დანაშაულში მონაწილე ყველა პირი მოქმედებს გაუფრთხილებლად. სწორედ ასეთ შემთხვევებში აღიარებენ გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის შესაძლებლობას პროფ. ა. ტრაინინი და მისი მიმდევრები. პროფ. ტრაინინის აზრით, გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის უარყოფა გამოიწვევდა ისეთი პირის დაუსჯელობას, რომლის მოქმედება მიზეზობრივ და ბრალეულ კავშირშია დანაშაულებრივ შედეგთან. თავისი აზრის დასაბუთებისათვის პროფ. ა. ტრაინინს მოჰყავს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის 1939 წლის 10 აგვისტოს განჩინება, რომელშიც ნათქვამი იყო: „კ-მა ათხოვა სანადირო თოფი არასრულწლოვან გ.-ს, რომელმაც ეს თოფი სანადიროდ წაიღო. ნადირობის შემდეგ დასვენების დროს გ-მა გაუფრთხილებლად ხელი მოჰკიდა თოფს. თოფი უეცრად გავარდა და ტყვია მოხვდა იქვე მდგომ ბიჭს გ.-ს, რომელიც მაშინვე გარდაიცვალა. როცა კ. თოფს აძლევდა გ.-ს, მან იცოდა, რომ გ.-მ სროლა არ იცის და აუხსნა კიდეც, თუ როგორ უნდა მოეხმარა თოფი. ასეთ პირობებში კ.-ს სწორად დაედო მსჯავრი რსფსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 17—139 მუხლებით"[3].

---

[1] Бюллетень Верховного суда СССР, 1960, № 3, стр. 36.

[2] А. Трайнин, Некоторые вопросы учения о соучастии, „Социалистическая законность", 1957, № 2, стр. 28.

[3] А. Трайнин, Учение о соучастии, М., 1941, стр. 116—117.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფ. ა. ტრაინინს სწორად მიაჩნია ეს განჩინება, რომლითაც აღიარებულია გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულში. პირიქით, იგი არ ეთანხმება სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1947 წლის განჩინებას ჩ.-სა და შ.-ის საქმეზე. საქმის გარემოებანი შემდეგში მდგომარეობდა.

შოფერი ჩილიკინი შევიდა სამორიგეო ჯიხურში, რომელიც ფეხით სავალი გზის ახლოს იმყოფებოდა, და წინადადება მისცა ჯიხურში მყოფ შოფერს მასლოვს გამოეცადათ დამბაჩები, რომლებიც მას თან ჰქონდა. შოფერმა ჩილიკინმა ორჯერ გაისროლა: პირველი ტყვია ჯიხურის კედელში დარჩა შეორემ კი კედელი გახვრიტა და გარეთ გავარდა. მასლოვმა ერთხელ გაისროლა, მაგრამ მისი გასროლილი ტყვია ჯიხურის კედელს გასცდა და მიმავალ სტუდენტ ქალს პ.-ას მოხვდა. უკანასკნელი სასიკვდილოდ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ორივე შოფრის მოქმედება დააკვალიფიცირა როგორც გაუფრთხილებელი მკვლელობა. თანაც შოფერ ჩილიკინის შესახებ კოლეგიის განჩინებაში მითითებული იყო: ჩილიკინის მოქმედება, რომელმაც მოაწყო ჯიხურში დამბაჩით სროლა, მიზეზობრივ კავშირშია პ.-ს სიკვდილთან. მაგრამ ვინაიდან ჩილიკინი არ ითვალისწინებდა ადამიანის სიკვდილის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებია იგი, კოლეგიამ დააკვალიფიცირა ჩილიკინის მოქმედება არა როგოც თანამონაწილეობა მასლოვის მიერ ჩადენილ გაუფრთხილებელ მკვლელობაში მე-17 მუხლზე მითითებით, არამედ მე-17 მუხლის გარეშე პირდაპირ 139 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს გაუფრთხილებელ მკვლელობას[1].

პროფ. ა. ტრაინინის აზრით, თუ ჩ-ს მოქმედებას განიხილავთ არა როგორც მასლოვის მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამონაწილეობას, მაშინ უარყოფილ უნდა იქნეს მიზეზობრივი კავშირის არსებობა ჩ.-ს მოქმედებასა და პ.-ს სიკვდილს შორის, ვინაიდან პ. მისი ტყვიით არ მომკვდარა. „სულ სხვაა, თუ ჩილიკინს პ.-ს მკვლელობის თანამონაწილედ ჩავთვლით. ამ შემთხვევაში ჩილიკინმა, რომელმაც მოაწყო მასლოვთან ერთად სროლა, ამით შექმნა შედეგის — სტუდენტი ქალის სიკვდილის აუცილებელი პირობა, გამოიწვია იგი მასლოვთან ერთად. მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ჩილიკინი ცნობილ იქნეს დამნაშავედ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაში, ე. ი. მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩილიკინი ცნობილი იქნება თანამონაწილედ მასლოვის მიერ სტუდენტი ქალის პ.-ს მკვლელობაში“[2].

პროფ. ა. ტრაინინის დასაბუთება ეჭვს იწვევს. მიზეზობრივი კავშირის საკითხის გადაჭრა არასდროს არ შეიძლება იქნეს დამოკიდებული იმ წმინდა იურიდიულ საკითხზე, ჰქონდა თუ არა ადგილი თანამონაწილეობას. თუ ჩილიკინის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, ამაზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს ის გარემოება, იყო თუ არა იგი თანამონაწილე, ე. ი. სხვასთან ერთად გამოიწვია თუ არა მან ეს შედეგი. მიზეზობრივი კავშირის საკითხის დადებითად გადაჭრისათვის საკმარისია, თუ ეს მოქმედება წარმოადგენდა დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ტრაინინს აგრეთვე იმაშიც, თითქოს თანამონაწილეობის უარყოფის შემთხვევაში გაუფრთხილებლად მოქმედი პირების პასუხისმგებლობის დასაბუთება შეუძლებელი იყოს. თუ კ-ს მოქმედებაში, რომელმაც მისცა სანადირო თოფი არასრულწლოვანს, ან შოფერ

---

[1] „Судебная практика Верховного суда СССР“, 1948 г., вып. 11, стр. 15—16.

[2] А. Трайнин, Некоторые вопросы учения о соучастии, „Социалистическая законность, 1957, № 2, стр. 29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩილიკინის მოქმედებაში, რომელმაც წააქეზა სასროლად მასლოვი, მიზეზობრივ კავშირთან ერთად, არის ბრალეული კავშირიც შედეგთან გაუფრთხილებლობის სახით, მაშინ, ცხადია, ეს პირები პასუხს აგებენ გაუფრთხილებელი მკვლელობისათვის იმისდა მიუხედავად, თანამონაწილეებად ჩაითვლებიან ისინი, თუ დამოუკიდებელ დამნაშავეებად.

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობა დანაშაულში, ჩვენის აზრით, თანამონაწილეობის ბუნებას ეწინააღმდეგება. თანამონაწილეობა გულისხმობს რამდენიმე პირის ერთობლივ მონაწილეობას ერთი საერთო დანაშაულის ჩადენაში. ეს ერთობლივი მონაწილეობა მხოლოდ ობიექტურ სფეროში როდი არსებობს, იგი აგრეთვე ბრალის ერთობლიობით არის განპირობებული. თვითეულმა თანამონაწილემ იცის, რომ ამსრულებელი ჩადის დანაშაულს და შეგნებულად აერთიანებს თავის ნებას ერთი საერთო დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. ამგვარად თანამონაწილეობის დროს ერთი დანაშაულებრივი შემადგენლობა რამდენიმე პირის მიზანდასახული და როგორც ობიექტურად, ისე სუბიექტურად გაერთიანებული საქმიანობის შედეგად ხორციელდება. ცხადია, ასეთ ერთიანობას მხოლოდ განზრახი დანაშაულის დროს აქვს ადგილი. იგი არ არსებობს გაუფრთხილებელი დანაშაულის დროს, როდესაც ერთად მოქმედ პირებს არა აქვთ წარმოდგენა არც საკუთარი და არც ერთი-მეორის მოქმედების დანაშაულებრივი ხასიათის შესახებ.

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის აღიარება ამავე დროს ეწინააღმდეგება ამჟამად მოქმედ კანონმდებლობას, ვინაიდან, როგორც უკვე აღნიშნული იყო, საფუძვლების მე-17 მუხლის თანახმად, „თანამონაწილეობად ითვლება ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში“.

პროფ. მ. შარგოროდსკი მაინც ცდილობს დაამტკიცოს, რომ საფუძვლები ყოველთვის როდი გამორიცხავენ გაუფრთხილებელ თანამონაწილეობას. პროფ. მ. შარგოროდსკი ეთანხმება პროფ. ა. ტრაინინის მოსაზრებებს ამ საკითხში, მაგრამ საჭიროდ მიაჩნია პროფ. ტრაინინის შეხედულებაში ერთგვარი დამატება და შესწორება შეიტანოს. სახელდობრ, პროფ. შარგოროდსკის აზრით, „თანამონაწილეობა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ გაუფრთხილებელ დანაშაულში, სადაც მოქმედება ჩადენილია განზრახ, ხოლო შედეგი განხორციელდა გაუფრთხილებლობით, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში თანამონაწილეს შეგნებული აქვს ამსრულებლის ქმედობის ხასიათი“[1].

ამავე შეხედულებას ავითარებს ი. ფილანოვსკი; მისი აზრით, ვინაიდან მატერიალური დანაშაული შედგება ქმედობისა და შედეგისაგან, ამიტომ სუბიექტური მხარის ანალიზი მოცემულ უნდა იქნეს ამ ელემენტების მიმართ ცალ-ცალკე. ამისდა მიხედვით, თანამონაწილეობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, „როდესაც რამდენიმე პირი მოქმედებდა განზრახ, ხოლო გაუფრთხილებელი მხოლოდ შედეგი იყო“[2].

თავისი შეხედულების დასაბუთებისათვის პროფ. მ. შარგოროდსკის მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

ა. ბ. და გ. სეირნობენ ტყეში. ა.-მ წინადადება მისცა დანარჩენებს ცეცხლი გაეჩაღებინათ, ბ.-მ ფიჩხი შეაგროვა, ხოლო გ.-მ ცეცხლი დაანთო. ცეცხლის დანთებას შედეგად მოჰყვა ხანძარი. ამ კაზუსში, მ. შარგოროდსკის აზრით,

---

[1] М. Шаргородский, Вопросы общей части..., 1955, стр. 143; მისივე, Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, № 1, стр. 91—94.

[2] „Советское уголовное право. Часть общая, Изд. Лен-го унив-та, 1960, стр. 419—420.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს ცეცხლის განზრახ დანთება და ხანძრის გაუფრთხილებლობით გაჩენა, მაშასადამე განზრახი მონაწილეობა გაუფრთხილებელ დანაშაულში[1].

ა., რომელიც მსუბუქ მანქანაში ზის, წააქეზებს მანქანის მძღოლს შ.-ს დაარღვიოს ქალაქის ქუჩაში მოძრაობის წესები და წაიყვანოს მანქანა 100 კილომეტრის სისწრაფით. ასეთი სვლის შედეგად მანქანა დაეჯახება ქალს და გასრესს მას. შ. უნდა ჩაითვალოს ამ დანაშაულის ამსრულებლად, ხოლო ა. — წამქეზებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ა. ხელიდან დაუსხლტება მართლმსაჯულებას. აღნიშნული თანამონაწილენი დამნაშავენი არიან მოძრაობის წესების განზრახ დარღვევაში, რასაც შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით ქალის მოკვლა[2].

გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის ასეთი გაგება, პროფ. მ. შარგოროდსკის აზრით, არ ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-18 მუხლის მითითებას, რომ თანამონაწილეობად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ განზრახი ერთობლივი მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში, ვინაიდან „დანაშაული ხომ შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლად“[3].

ასეთი მტკიცების გამო, საჭიროა გავარკვიოთ, თუ როგორ ესმის 1958 წლის საფუძვლებს ბრალის ფორმების — განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნებანი და შეესაბამება თუ არა ეს გაგება შარგოროდსკის თეორიას.

არც 1958 წლის საფუძვლები, არც უფრო ადრინდელი საბჭოთა სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა და თეორია არ გვაძლევენ საფუძველს იმის მტკიცებისათვის, თითქოს მატერიალური დანაშაულის არსებობის შემთხვევაში დანაშაულის სუბიექტური მხარე უნდა იქნეს დადგენილი ცალ-ცალკე მოქმედების მიმართ და მისი შედეგის მიმართ. ბრალის დაყოფა განზრახვად და გაუფრთხილებლად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია პირის სუბიექტური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. სახელდობრ, განზრახვას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, გათვალისწინებული აქვს თავისი მოქმედების საზოგადოებრივად საშიში შ ე დ ე გ ი და სურს ეს შ ე დ ე გ ი ან შეგნებულად უშვებს მ ა ს. (იხ. საფუძვლების მე-8 მუხლი). გაუფრთხილებლობას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც პირი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის საზოგადოებრივად საშიში შ ე დ ე გ ი ს განხორციელების შესაძლებლობას და მოუფიქრებლად იმედოვნებდა მის თავიდან აცდენას, ან არ ითვალისწინებდა ასეთი შ ე დ ე გ ი ს განხორციელების შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებია და შეეძლო გაეთვალისწინებია ი გ ი (იხ. საფუძვლების მე-9 მუხლი).

პროფ. მ. შარგოროდსკი და ი. ფილანოვსკი ერთმანეთში ურევენ განზრახვას როგორც ბრალის ფორმას და მოქმედების შეგნებულ ხასიათს. თვით დანაშაულებრივი მოქმედება, იზოლირებულად, საზოგადოებრივად საშიში შედეგისაგან მოწყვეტით აღებული, როგორც საერთო წესი, წარმოადგენს შეგნებულ მოქმედებას, იმისდა მიუხედავად, თუ როგორია პირის ბრალი, ე. ი. ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი — განზრახი თუ გაუფრთხილებელი. ის, ვინც ითვალისწინებს, რომ ანთებს ტყეში ცეცხლს, არ მოქმედებს განზრახ სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით, ვინაიდან ტყეში ცეცხლის გაჩაღება თავისთავად არ წარმოადგენს დანაშაულს და არ არის გათვალისწინებული არც ერთი დანაშაულის შემადგენლობით, მაგ-

---

[1] М. Шаргородский. Некоторые вопросы общего учения о соучастии, „Правоведение“, 1960, № 1, стр. 93.

[2] იქვე. გვ. 92.

[3] იქვე, გვ. 94.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ იგი მოქმედებს შეგნებულად, ვინაიდან იცის, რომ ცეცხლს ანთებს. თუ ამ შეგნებულ მოქმედებას რაიმე საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოჰყვა, რომელსაც პირი არ ითვალისწინებდა, მაგრამ შეეძლო და უნდა გაეთვალისწინებია, აქ ადგილი ექნება არა ორი ფორმის ბრალს, — ე. ი. განზრახვას ცეცხლის დანთების მიმართ და გაუფრთხილებლობას—საზოგადოებრივად საშიში შედეგის მიმართ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გაუფრთხილებლობას. ის ვინც შეგნებულად არღვევს მოძრაობის წესებს, რასაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა, მოქმედებს არა ბრალის ორი ფორმით, არამედ ერთი ფორმით, ე. ი. გაუფრთხილებლად, თუ არ ითვალისწინებს ან არ უშვებს ამ მოქმედების შედეგად საზოგადოებრივად საშიში შედეგის განხორციელების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევაში არ ცნობს თანამონაწილეობას დანაშაულში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შირიაევისა და ვერხოვიხის საქმე. ვერხოვიხი ცნობილ იქნა დამნაშავედ მასში, რომ დაწესებულების ხელმძღვანელად მუშაობის დროს მან არასწორად გამოწერა შოფერ შირიაევის სახელზე სამგზავრო ბარათი ქ. თერმეზში წასაყვანად, ხოლო თერმეზიდან დაბრუნების წინ შოფერთან ერთად დალია 500 გრ. არაყი და ნება დართო შოფერს ავტომანქანის ძარაში რამდენიმე მგზავრი ჩაესვა. მთვრალმა შოფერმა მანქანა გადაჭარბებული სისწრაფით წაიყვანა, რის გამოც მანქანის მართვა ვეღარ შესძლო და მგზავრები მანქანიდან გადმოცვივდნენ, ხოლო მილიციონერი მამედოვი, რომელიც მანქანას შეახტა, რათა იგი გაეჩერებინა, მძიმედ დაშავდა და იმავე დღეს გარდაიცვალა. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის სასამართლო კოლეგიის 1950 წლის 10 მაისის განჩინებაში ამ საქმეზე ნათქვამია: „ვერხოვიხი არასწორად იყო ცნობილი შირიაევის დანაშაულის დამხმარედ, ვინაიდან არავითარი განზრახი დახმარება შირიაევისათვის მოძრაობის წესების ისეთ უხეშ დარღვევაში, რასაც შედეგად მოყვა უბედური შემთხვევა, ვერხოვიხს არ აღმოუჩენია“[1].

ვერხოვიხის ბრალი, როგორც მართებულად იყო მითითებული კოლეგიის განჩინებაში, — იმით გამოიხატებოდა, რომ მან, „ბოროტად გამოიყენა რა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, სამსახურებრივი საჭიროების გარეშე გამოუწერა შირიაევს სამგზავრო ბარათი, მასთან ერთად არაყი დალია და დაუშვა მთვრალი კაცი მანქანის საჭის მართვისათვის. ვერხოვიხის ეს დანაშაული კვალიფიცირებული უნდა იქნეს უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 140 მუხლის 1 ნაწილით (სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება)“[2].

ამგვარად გაუფრთხილებელი თანამონაწილეობის დაშვება ეწინააღმდეგება საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას და ამავე დროს შეუთავსებელია თანამონაწილეობის ცნებასთან.

---

[1] „Судебная практика Верховного суда СССР“, 1950 г., № 7, стр. 25—26.
[2] იქვე, გვ. 25.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობა

მ. ბიბილაშვილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდა ხელისუფლების ძირეული ორგანოების — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისა და საბჭოთა კანონიერების განხორციელების დარგში. საბჭოების მუშაობის გამოცოცხლებასა და და სამეურნეო საქმიანობაში მათს აქტიურ ჩაბმას განსაკუთრებით შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებებმა საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებისა და მასებთან მათი კავშირის განმტკიცების შესახებ. რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა და ახლა სერიოზულ საორგანიზაციო-მასობრივ ღონისძიებებს ახორციელებენ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმით მათს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში ორგმასობრივი მუშაობის მაღალი დონე სამეურნეო წარმატებათა მოპოვების პირობაა. და არ შევცდებით თუ ვიტყოდით, რომ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში ასეთ სერიოზულ წარმატებებს გურჯაანის, მახარაძის, ტყიბულის, წითელწყაროს, ზუგდიდის, ქობულეთის, ახალციხისა და ზოგიერთმა სხვა რაიონულმა საბჭოებმა სწორედ ორგმასობრივი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებით მიაღწიეს.

ამ რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთ მუშაობას წარმართავენ ფართო აქტივის მონაწილეობით წინასწარ შედგენილი სამუშაო გეგმების საფუძველზე. სესიებსა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად იხილავენ სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, სახალხო განათლების, სოფლების კეთილმოწყობისა და სხვა აქტუალურ საკითხებს. სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებისათვის საკითხების მომზადება-განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომისიები და აქტივი.

პარტიული ორგანიზაციების მხრივ ხელმძღვანელობისა და დახმარების გაუმჯობესების შედეგად რესპუბლიკის ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი გამოდის მრავალი ახალი წამოწყების ინიციატორად და მისი შესრულების ორგანიზატორად. 1957 წლის ბოლოს მახარაძის რაიონული საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასკომმა მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის რაიონულ და სასოფლო-საბჭოებს შეემუშავებინათ სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სამწლიანი გეგმა და მოსახლეობის შრომითი მონაწილეობითა და კოლმეურნეობათა თანხებით გაეჩაღებინათ ამ ობიექტების მშენებლობა. რესპუბლიკის ყველა ადგილობრივმა საბჭომ მოიწონა მახარაძელთა მოწოდება და დეპუტატებისა და აქტივის ფართო მონაწილეობით შემუშავებულ იქნა სოფლად კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის 1958—1960 წლების სამწლიანი გეგმა, რომელიც წარმატებით შესრულდა.

1959 წლის მაისში ზუგდიდის რაიონმა მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებს კოლმეურნეობათა სახსრებით გაეჩაღებინათ რესპუბლიკაში ახალი სასკოლო შენობებისა და საკლასო ოთახების მშენების სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ 1959 წელს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ზუგდიდის რაიონმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს გურჯაანის რაიონის მშრომელებმა. 1959 წლის აპრილში მათ აიღეს ინიციატივა საბჭოს ცენტრებისა და კოლმეურნეთა კარმიდამოების კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები თავიანთ მოღვაწეობაში ახლა უფრო ფართოდ იყენებენ მუშაობის ახალ ფორმებს, რაც ხელს უწყობს საბჭოების მთელი საქმიანობის გაუმჯობესებას. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ აიღო რა ვალდებულება კომუნისტური შრომის ქალაქის წოდების მოპოვებისათვის, წარმატებით იბრძვის ამ ვალდებულების შესასრულებლად, რათა რუსთავი ნამდვილად გახდეს კომუნისტური შრომისა და სანიმუშო ყოფაცხოვრების ქალაქი; ტყვარჩელის საქალაქო და ახალციხის და თელავის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მუშაობის პრაქტიკაში მტკიცედ დამკვიდრდა აღმასკომების განყოფილებათა გამგეებისა და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელების ანგარიშებით გამოსვლა უშუალოდ მშრომელთა კრებებზე, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. ანგარიშების ჩაბარების დროს მოსახლეობა უფრო ახლოს გაეცნო რაიაღმასკომისა და მისი განყოფილების მუშაობას. მოსახლეობამ ბევრი კრიტიკული შენიშვნა და საქმიანი წინადადება შეიტანა განყოფილებათა მუშაობის გაჯანსაღებისათვის. ამ კრიტიკული შენიშვნების საფუძველზე ახალციხის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ საგადასახადო პოლიტიკის არასწორად გატარების 13 შემთხვევა გაასწორა, ხოლო სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ საპენსიო კანონმდებლობის დარღვევის 7 შემთხვევა. ტყვარჩელისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და გეგეჭკორის რაიონული საბჭოების აღმასკომები პერიოდულად ატარებენ გამსვლელ გაფართოებულ სხდომებს იმ საწარმოებსა და სასოფლო საბჭოებში, რომელთა მუშაობასაც განსახილველი საკითხები ეხებათ.

კიდევ უფრო განმტკიცდა კავშირი ამომრჩევლებსა და დეპუტატებს შორის, რის შედეგადაც გაუმჯობესდა მშრომელთა განაწესების შესრულების საქმე. საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების თაოსნობით ბევრი მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა. გორის რაიონული საბჭოს დეპუტატ ა. ქუჩუკაშვილის წინადადებით სოფელ აძვის შვიდწლიან სკოლას მიუშენდა 6 საკლასო ოთახი, რამაც უზრუნველყო ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასვლა, ახალციხის რაიონის კლდის სასოფლო საბჭოს დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუტატების: ა. გამყრელიძის, ქ. ბლუაშვილისა და ს. გოგოლაძის ინიციატივით სოფელ წნისში აიგო აბანო, გაიხსნა საფერშლო პუნქტი და საპარიკმახერო; ლანჩხუთის სადაბო საბჭოს დეპუტატების: ს. ივანიკოვას, შ. გვარჯალაძის და გ. მშვიდობაძის ინიციატივით მდინარე ლაშისღელეზე აიგო კაპიტალური ხიდი; ფოთის საქალაქო საბჭოს დეპუტატ ვ. ქავჟარაძის წინადადებით ნაბადას უბანში მუშათა დასახლების ტერიტორიაზე გაიხსნა კეთილმოწყობილი პოლიკლინიკა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობაში ამ ბოლო ხანებში უფრო მეტი ადგილი ეთმობა საბჭოების როლის შემდგომი გაძლიერების საკითხებს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების სესიებზე რეგულარულად იხილება სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხები და ტარდება ქმედითი ღონისძიებანი, რათა დანაშაულებრივ და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული იქნას მთელი საზოგადოებრიობა. ადგილობრივი საბჭოები ყოველდღიურ დახმარებას უწევენ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელებისა და ამხანაგური სასამართლოების მუშაობას.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მუშაობის გარდაქმნა ახალი გაზრდილი ამოცანების შესაბამისად. არის შემთხვევები, როცა რაიონული და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ღრმად ვერ სწვდება საკოლმეურნეო ცხოვრების რთულ საკითხებს, ზერელედ ხელმძღვანელობენ მათს საქმიანობას, ვერ სწავლობენ ცალკეული კოლმეურნეობების მიხედვით სოფლის მეურნეობის ზოგიერთი დარგების ჩამორჩენის მიზეზებს, ურიგდებიან სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს.

ცნობილია, რომ საქართველოს შესანიშნავი ბუნება, მისი მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა იძლევა საუკეთესო სამუალებას იმისათვის, რომ თვითეული დასახლებული პუნქტი, წარმოება-დაწესებულების, კოლმეურნეობისა და თვით კოლმეურნეების კარმიდამოც წარმოადგენენ ორიგინალურ სანახაობას, ცოცხალ მუზეუმს მშრომელთა დასვენებისა და ესთეტიკური ტკბობისათვის. მაგრამ ეს კლიმატურ-ბუნებრივი შესაძლებლობანი რესპუბლიკის ბევრი ადგილობრივი საბჭოს მიერ ჯეროვნად არ არის გამოყენებული. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როცა ზოგიერთ რაიონში არა მარტო კოლმეურნეთა კარმიდამო, არამედ თვით სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა კანტორების კარმიდამოც კეთილმოწყობილი, გამწვანებული და შემოკავებული არ არის. ჯერ კიდევ არ არის მიღწეული, რომ ყველა სასოფლო საბჭოს კეთილმოწყობის სამუშაოები მიაჩნდეს ყოველდღიური საქმიანობის ღვიძლ საქმედ.

ნაკლოვანებებია ადგილობრივი საბჭოების ორგმასობრივ მუშაობაშიც. ზოგან ირღვევა საბჭოთა დემოკრატიზმის პრინციპები, კონსტიტუციით დადგენილ ვადებში არ ტარდება სესიები, აღმასრულებელი კომიტეტები იშვიათად აბარებენ ანგარიშებს საბჭოებს, ხოლო დეპუტატები ამომრჩევლებს, უმოქმედობას იჩენს ზოგიერთი საბჭოს მუდმივი კომისიები და სხვა.

1959—1960 წლებში სესიების მოწვევის ვადები უხეშად დაარღვიეს ლაგოდეხის, ყაზბეგის, წალკის, ბოლნისის, ლენტეხის, წალენჯიხის, ზუგდიდის რაიონულმა და ახალქალაქის, ბორჯომის, ტყიბულისა და წულუკიძის საქალა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქო საბჭოებმა, რომლებმაც, მთელი წლის მანძილზე ჩაატარეს 4—4 სესია. სესიების მოწვევის ვადები დაარღვიეს აგრეთვე სამგორის, მარნეულის, ხაშურისა და სხვა რაიონების რიგმა სასოფლო საბჭოებმა.

ზოგიერთი სასოფლო საბჭოს აღმასკომი აგრეთვე რეგულარულად არ იწვევს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს. მარნეულის რაიონის ყიზილაჯლოს და თამარისის სასოფლო საბჭოების აღმასკომები სხდომებს ხშირად დიდი დაგვიანებით იწვევენ. თამარისის სასოფლო საბჭოს აღმასკომს 1959 წელს 7 იანვრიდან 9 აპრილამდე, 27 ივნისიდან 7 სექტემბრამდე და 1959 წლის 10 ნოემბრიდან 1960 წლის 19 იანვრამდე არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია, ხოლო ყიზილაჯლოს სასოფლო საბჭოს აღმასკომს სხდომა არ ჩაუტარებია 1959 წლის 31 მარტიდან 25 ივლისამდე.

ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მუშაკებს კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ სესიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომების მოწვევის ვადების დარღვევა წარმოადგენს კოლექტიური ხელმძღვანელობის ლენინური პრინციპების დარღვევას, რადგანაც საბჭო კოლექტიური ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოა მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე.

ხელმძღვანელობის დემოკრატიული პრინციპების უხეში დარღვევაა აგრეთვე სესიების ჩატარება ქვორუმის დარღვევით, ე. ი. ისეთი სესიის ჩატარება, რომელსაც დეპუტატთა რიცხვის ორ მესამედზე ნაკლები ესწრება. ახალქალაქის რაიონის კარტიკამის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა მთელი 15 თვის მანძილზე მხოლოდ 5 სესია ჩაატარა, რომელთაგან 4 სესია ჩატარდა ქვორუმის დარღვევით. კერძოდ, მესამე სესიას 50 დეპუტატიდან დაესწრო მხოლოდ 30; მეოთხე სესიას — 24, მეხუთე სესიას — 31; მეექვსე სესიას — 27 დეპუტატი; ქვორუმის დარღვევით ჩაატარა სესიები აგრეთვე ახმეტის რაიონის ქისტაურის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1959 წლის 11 აგვისტოს და 23 დეკემბერს. ანალოგიურ შემთხვევებს სხვა რაიონების სასოფლო საბჭოებშიც აქვს ადგილი. აღსანიშნავია, რომ რაიონული საბჭოების აღმასკომებს ქვორუმის დარღვევით სესიების ჩატარების ეს ფაქტები შენიშნული არა აქვთ და სესიებზე მიღებული გადაწყვეტილებები გაუქმებული არ არის.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონსა და სასოფლო საბჭოში მოუმზადებლად და დაბალ დონეზე ტარდება სესიები, საკითხების მომზადება-განხილვაში არადამაკმაყოფილებელია დეპუტატებისა და აქტივის მონაწილეობა, გაშლილი არ არის კრიტიკა და თვითკრიტიკა, რის შედეგადაც მიღებული გადაწყვეტილებანი ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისაა.

ახალქალაქის რაიონის კარწახის სასოფლო საბჭომ სესიაზე სრულიად ზერელედ და მოვალეობის მოხდის მიზნით განიხილა აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიში. კამათში გამოვიდა მხოლოდ ერთი კაცი, მაგრამ არც მომხსენებელი და არც მოკამათე არ შეხებიან აღმასკომის მუშაობის არსებით მხარეს, არ აღუნიშნავთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, თუმცა ასეთები ბევრია, არაფერია ნათქვამი — თუ როგორი მაჩვენებლებით დაამთავრა საშეურნეო წელი მათს ტერიტორიაზე არსებულმა საბჭოთა მეურნეობამ. ამავე სასოფლო საბჭომ გასულ წელს მეოთხე სესიაზე მოისმინა საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოხსენება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ და დადგენილებაში ჩასწერა: დაევალოს მეურნეობის პირველად პარტიულ ორგანიზაციას აწარმოოს აგიტმასიური მუშაობა ბრიგადებში". ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის უცოდინარობით გამოწვეული უფლებამოსილების გადაჭარბება და სხვა არაფერი.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონულ, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებში სათანადო სიმაღლეზე არ არის დაყენებული მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისადმი კონტროლი, რის გამოც ბევრი გადაწყვეტილება შეუსრულებელი რჩება. ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა აღმასკომები ერთდაიმავე საკითხს იხილავენ რამდენიმეჯერ, ღებულობენ სტანდარტულ გადაწყვეტილებებს და არაფერს ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ როგორ იქნა შესრულებული, ანდა რატომ არ შესრულდა ამავე საკითხზე ადრე მიღებული გადაწყვეტილება. რაიონული საბჭოების აღმასკომები კონტროლს არ აწესებენ აგრეთვე ქვემდგომი საბჭოების მისამართით გაგზავნილი თავისი გადაწყვეტილებების შესრულებაზე, რის გამოც ბევრი მათგანი რეაგირებისა და განხილვის გარეშეა დატოვებული.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების 36 აღმასკომსა და 990 მუდმივ კომისიას 1960 წელს არ ჩაუბარებია ანგარიში შესაბამისი საბჭოსათვის. ანგარიშები არ ჩაუბარებია გურჯაანის, ცაგერისა და გუდაუთის რაიონულ, კასპის, ქობულეთის, ბათუმის, გაგრის საქალაქო, ლენინგორისა და წნორის სადაბო, ყვარლის რაიონის 3 და ლაგოდეხის რაიონის 2 სასოფლო საბჭოს აღმასკომს. ანგარიშების ჩაბარება პერიოდულ ხასიათს უნდა ატარებდეს, ისე რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი, მუდმივი კომისია და დეპუტატი წლის განმავლობაში ამომრჩეველთა წინაშე 2-ჯერ მაინც გამოვიდეს.

დემოკრატიზმის გამოვლინების ერთ-ერთი დამადასტურებელია საბჭოთა კანონით დაწესებული ამომრჩეველთა უფლება — აირჩიონ ახალი დეპუტატი გასული დეპუტატის ნაცვლად. ადგილობრივი საბჭოების 228 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატების ნაცვლად არჩევნები არ ჩატარებულა, ამასთან, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა აღმასკომებში ხელმძღვანელ მუშაკებად ირჩევენ არადეპუტატებს. 1960 წელს რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში არჩეულია არადეპუტატები თავმჯდომარეებად — 72, თავმჯდომარის მოადგილეებად — 14 და მდივნებად — 62 კაცი.

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცებისა და საბჭოს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით განხორციელების მიზნით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციების შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან იქმნება სხვადასხვა დარგის მუდმივი კომისიები. ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების უკანასკნელი მოწვევის არჩევნების დროს შეიქმნა 5.152 მუდმივი კომისია, რომლებშიაც გაერთიანებულია 31.800 დეპუტატი და 40.300 აქტივისტი. მარტო გასულ წელს ამ კომისიების მიერ მომზადებული იქნა და სესიებისა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად შეტანილია 19 ათასამდე საკითხი.

მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევა მცხეთის რაისაბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისია, რომელიც დებულების შესაბამისად ატარებს სხდომებს. სხდომებზე იხილავს აქტუალურ საკითხებს და შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად სათანადო ღონისძიებების დასახვის მიზნით საკითხები შეაქვს სესიის და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად. გასული წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 ოქტომბერის სესიაზე განხილული იქნა კომისიის მიერ მომზადებული საკითხი რაიონის კოლმეურნეობებში ცხოველთა გამოზამთრებისათვის მზადყოფნის მდგომარეობის შესახებ. სესიამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რამაც ხელი შეუწყო მდგომარეობის გამოსწორებას.

მაგრამ ამ მხრივ ყველგან ერთნაირი მდგომარეობა როდია. სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს კულტსაგანმანათლებლო, ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს 1960 წელს არც ერთი საკითხი არ შეუტანიათ სესიაზე ან აღმასკომის სხდომაზე განსახილველად, ხოლო წლის მეორე ნახევარში ამ საბჭოს მუდმივ კომისიებს არავითარი მუშაობა არ გაუწევიათ. გასულ წელს საკითხები არ მოუმზადებია აგრეთვე გუდაუთის რაიონული საბჭოს საბიუჯეტო, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის კომისიებს.

* * *

დამთავრდა 1959 წელს არჩეული მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების უფლებამოსილების ვადა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიმდინარე წლის 19 მარტს მოეწყო ახალი არჩევნები.

არჩევნები, რომელიც მოეწყო ადგილობრივი საბჭოების 41.149 საარჩევნო ოლქში, ჩატარდა რესპუბლიკის მშრომელთა შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. აღსანიშნავია, რომ არჩევნებზე ამომრჩეველთა 99,99 პროცენტი გამოცხადდა; კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა.

ქართველმა ხალხმა ადგილობრივ საბჭოებში წარგზავნეს საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებსაც უნარი შესწევთ აამაღლონ საბჭოების მუშაობის დონე. დეპუტატთა შორის ქალებია 18.427, უპარტიოები 23,141, მუშები 4.270 და კოლმეურნეები 20.271.

არჩევნები წარმოადგენდა საბჭოების მუშაობის სახალხო დათვალიერებას, მათი მოღვაწეობის ყოველმხრივ შემოწმებას.

ახლადარჩეულმა საბჭოებმა თავისი მოღვაწეობა დაიწყეს შესანიშნავ დროს. მიმდინარე წელს ჩატარდება სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობები, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებათ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

აუცილებელია ახალ მოთხოვნილებების შესაბამისად უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კონტროლის კომისია სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების საღარაჯოზე

ნ. ერქომაიშვილი

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

რესპუბლიკის საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ათასობით კოლექტივი შესანიშნავ შრომით ნიმუშებს გვიჩვენებს, ვალდებულებას კისრულობს ვადამდე შეასრულოს შვიდწლიანი გეგმით დასახული გრანდიოზული ამოცანები. შეიძლება ბევრი მაგალითის მოყვანა მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის შრომითი გმირობის შესახებ, რომლებიც წარმატებით იღწვიან შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ წარმატებებს არ შეუძლია და არც უნდა დაფაროს ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ზოგიერთი საწარმოს, მშენებლობის, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ისეთ ფაქტებს, როცა ცალკეული თანამდებობის პირი ანგარიშს არ უწევს კანონის მოთხოვნას,არღვევს სახელმწიფო დისციპლინას, რითაც დიდი ზიანი მოაქვს სახელმწიფოსათვის.

„პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის საკითხი, — ამბობდა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე,— — ეს არის საფუძველთა საფუძველი პარტიული და სახელმწიფო აპარატის ყველა მუშაკის მოღვაწეობაში. ჩვენში არ უნდა იყვნენ ისეთი მუშაკები, რომლებიც მიიღებენ რა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, მსჯელობენ: მინდა შევასრულებ, მინდა არ შევასრულებ.რაკი გადაწყვეტილება მიღებულია, არავის არა აქვს მისი დარღვევის უფლება. თუ ვინმე არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას, მას შეუძლია შეიტანოს თავისი აზრი ცენტრალურ კომიტეტში, მთავრობაში ან უმაღლეს საბჭოში, ხოლო სანამ დადგენილება ან კანონი არ შეცვლილა, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ მით, მკაცრად დავიცვათ ისინი“.

ახალ პირობებში, წარმოებისა და მშენებლობის გარდაქმნისა და მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან დაკავშირებით, საბჭოთა კონტროლის კომისიას ევალება მეტად საპასუხიმგებლო ამოცანები — შეამოწმოს სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულება,შეისწავლოს სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა და მუშაობა, თვალყური ადევნოს ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის განხორციელებას, ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა სწორ და მიზანშეწონილ ხარჯვას, იბრძოლოს ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების, ვიწრო უწყებრივი მიდგომისა და კუთხურობის გამოვლინებათა წინააღმდეგ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საბჭოთა კონტროლის კომისიამ ამ მიმართებით მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელა, შეამოწმა ბევრი სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციის, აგრეთვე საბჭოთა ორგანოების საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანობა. შემოწმებები ტარდებოდა მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მონაწილეობით.

შემოწმებამ გვიჩვენა დიდი ხარვეზები: დადგენილ იქნა რიგ საწარმოებში ელექტროენერგიის გადახარჯვა, გამომჟღავნებულ იქნა წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების პრინციპების უხეში დარღვევა, სამივლინებო სახსრების ზედმეტად ხარჯვა, არაკანონიერი სამსახურებრივი შეთავსებანი, რკინიგზის ვაგონების გაცდენა ნორმის ზევით, უხეში დარღვევა პირუტყვის მიღებისა და შენახვის საქმეში, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის შემთხვევები და სხვა.

საილუსტრაციოთ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. წარმოების საკითხის შემოწმების კომისიის კონტროლიორთა ჯგუფმა შეამოწმა ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში და ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემაში ჯერ კიდევ სწორად არ წარმოებს ელექტროენერგიის მოხმარების დაგეგმვა და კონტროლის განხორციელება მის შესრულებაზე. ხშირად საწარმოები აღწევენ, რომ მიიღონ ელექტროენერგიის მოხმარების გადიდებული გეგმები. ამის შედეგად, ელექტროენერგიის გამფლანგველურ მოხმარების მიუხედავად, ანგარიშების მიხედვით იქმნება მოჩვენებითი კეთილდღეობის შთაბეჭდილება.

ელექტროენერგიის მოხმარებისადმი გამფლანგველურ დამოკიდებულების ფაქტებს ადგილი ჰქონდა ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში, „ჭიათურმარგანეცის“ ტრესტში, ქარხანა „ცენტროლიტში“ და სხვ. შემოწმების შედეგების მიხედვით საბჭოთა კონტროლის კომისიამ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაუშვეს ელექტროენერგიის გამფლანგველური მოხმარება, უხეშად დაარღვიეს ელექტროდანადგარების მოწყობისა და ექსპლუატაციის წესები, აგრეთვე არ უზრუნველყვეს ელექტროენერგიის ანგარიშგება, დაადო მკაცრი დისციპლინარული სასჯელები.

შემოწმების პროცესში გატარდა კონკრეტული ღონისძიებანი, კომისიის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ელექტროენერგიის მოხმარება, გაუმჯობესდა ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია და ელექტროენერგიის მოხმარების აღრიცხვა.

ამ განყოფილების მუშაკებმა გამოავლინეს აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების სპეციალიზაცია და კოოპერირება და შეიქმნა ახალი სპეციალიზებული ქარხნები, ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სპეციალიზაციისა და კოოპერირების დიდი შესაძლებლობები. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველვყოთ საწარმოთა და მშენებლობათა სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი განვითარება წარმოების ახალი ტექნოლოგიის, მექანიზაციის, საწარმოო პროდუქტების ავტომატიზაციის გამოყენებით.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც იჩენენ უდისციპლინობას, დაუდევრობას, უგულისყუროდ ეკიდებიან სახელმწიფოებრივ ინტერესებს. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში უშვებენ დიდი ნომენკლატურის ნაწარმს, რომლის დამზადების ტექნოლოგია მკვეთრადაა დარღვეული. აქ ასრულებენ აგრეთვე სამუშაოებს, რომლებიც საწარმოს პროფილს არ შეესაბამება, რაც გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, პროდუქციის თვითღირებულებაზე.

ქარხანაში — „თბილხელსაწყოები" მთელი რიგი ტექნიკური პროცესები და დეტალების გამოშვება სრულდებოდა დაბალი შრომისნაყოფიერების პირობებში, ხელითაც კი, — რის შედეგადაც ადგილი აქვს ნედლეულისა და შრომის ზედმეტ ხარჯვას.

მრეწველობის საკითხების შემოწმების განყოფილებამ შეისწავლა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალურ აპარატსა და მის სისტემაში შემავალ საწარმოებში მივლინების თანხების ხარჯვის სისწორე. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის საბჭოს ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის გამოყოფილი სამივლინებო ხარჯები წლითიწლობით იზრდება. 1959 წელს 1958 წელთან შედარებით მივლინების რაოდენობა გაიზარდა 28,3 პროცენტით, ხოლო 1960 წლის I კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 77,4 პროცენტით.

ქ. მოსკოვში მივლინებულ თანამდებობის პირთა 58 პროცენტმა დაარღვია ის წესი, რომლის მიხედვითაც მოსკოვში მივლინება არ უნდა აღემატებოდეს 10 დღეს.

მთავრობის არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, რომ სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ საწარმოებს არ დაეშვათ მივლინებით წარმომადგენლების გაგზავნა საწარმოებსა და გასასაღებელ კანტორებში ნედლეულის გამოგზავნის „დასაჩქარებლად", ზოგიერთი ხელმძღვანელი კვლავ აგრძელებს ამ დაგმობილ პრაქტიკას, ბოროტულად არღვევს სახელმწიფო დისციპლინას და არაკანონიერად ხარჯავს მნიშვნელოვან სახელმწიფო ფულად სახსრებს.

ასე მაგალითად, გასული წლის მარტში სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მოსკოვის ქარხნებში „ელექტროიზოლიატორი", „მოსკაბელი" მივლინებულ იქნა „წამოჭრილ აზრთა სხვადასხვაობის მოსაწესრიგებლად" მ. ნ. ფირალოვი, რომელიც ფაქტიურად ჩამოსული იყო იმისათვის, რომ დაეჩქარებინა საიზოლიაციო მასალების და ზოგიერთი სხვა ელექტროხელსაწყოების გამოგზავნა.

ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ ამავე მიზნით მოსკოვში მიავლინა უფროსი საქონელმცოდნე ვ. პაპალაძე, ტექნიკური კონტროლის განყოფილების ოსტატი ა. კარპოვიჩი, საქონელმცოდნე ბ. ფარულავა და სხ. კიდევ მეტი. ამ ქარხნის დირექტორმა ტ. ღიბრაძემ და მთავარმა ბუღალტერმა ბ. ბაგინსკიმ ჩაიდინეს ალმაშფოთებელი უკანონობა. ქარხნის ხარჯზე მოსკოვში მათ ყავდათ მუდმივი წარმომადგენელი ვინმე ა. ლისტეროვი, ამასთან, ამ უკანასკნელს ხელფასს უწერდნენ მისი ცოლის მ. ლისტეროვის სახელზე, რომელიც ფიქტიურად ირიცხებოდა სამუშაოზე ქუთაისის ელექტრომექანიკურ ქარხანაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საბჭოთა კონტროლის კომისიამ მთელ რიგ თანამდებობის პირებს, რომლებმაც დაუშვეს ასეთი ხასიათის დარღვევები, დაადო დისციპლინარული სასჯელები, ხოლო ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორს ტ. ღიბრაძეს და ამავე ქარხნის მთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ ბუღალტერს ბ. ბაგინსკის დაეკისრათ უკანონოდ გახარჯული ფულის გადახდაც.

მშენებლობისა და კომუნალური მეურნეობის საკითხების შემსწავლელი განყოფილების კონტროლიორთა ჯგუფმა გამოარკვია, რომ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, ზოგიერთი სამინისტრო და უწყება არ უზრუნველყოფენ დღე-ღამის განმავლობაში ვაგონების დროულად დატვირთვასა და განტვირთვას, რის გამოც სახელმწიფო განიცდის მნიშვნელოვან ზარალს.

1959 წელს,მხოლოდ ორ სადგურში, თბილისსა და ნავთლუღში რკინიგზის ვაგონების მოცდენამ შეადგინა 475.582 საათი, რაზედაც გადახდილ იქნა ჯარიმა 797.600 მანეთი. აქედან საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიზეზით 230.000 მანეთი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიზეზით 270.000 მანეთი და სხვა.

შემოწმების შედეგად საბჭოთა კონტროლის კომისიამ რკინიგზის ვაგონების მოცდენისათვის დამნაშავე პირებს დაადო სათანადო სასჯელი, უშუალოდ შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირებს კი დაეკისრათ ფულის ანაზღაურებაც.

ამავე განყოფილებამ „სახმშენთან“, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკურ კანტორასთან ერთად გამოავლინა ცალკეული შემთხვევები, როდესაც სახალხო მეურნეობის საბჭოსა და სამინისტროების სისტემაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები უხეშად არღვევენ შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მიღების დაწესებულ წესს, უშვებენ სამუშაოთა მოცულობის ან საცალო ღირებულების ფასების გადიდებას, რაც იწვევს სამშენებლო ორგანიზაციების მხრივ მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანხების უკანონოდ მიღებას.

სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის რესპუბლიკური კანტორის ცნობებით 1960 წლის 1 კვარტალში ფასების ხელოვნური გადიდებით დამკვეთთა მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის ოდენობამ მილიონნახევარს გადააჭარბა.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ დამნაშავე პირებს სათანადო სასჯელი დაადო.

ზემოთმოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი ჯერ კიდევ ისენს უყაირათობას, დაუდევრად, მფლანგველურად უდგება სახელმწიფო სახსრების ხარჯვას. ეკონომიის რეჟიმის განხორციელებისადმი კონტროლი კვლავ არის საბჭოთა კონტროლის კომისიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. მომავალშიც მკაცრი ზომები იქნება მიღებული იმისათვის, რომ აღმოიფხვრას ზედმეტობა სახელმწიფო სახსრების ხარჯვის დროს.

სოფლის მეურნეობის საკითხების შემოწმების განყოფილებამ შეასწავლა მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესრულება, კერძოდ დადგენილებისა — „საქართველოს სსრ ბუნებრივი საძოვრების პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“, „მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარებისა და ღვინის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს სსრ-ში“, „კოლხიდის დაბლობის ამოშრობილი მიწების ათვისების შესახებ“ და სხვ. შესწავლილი იქნა აგრეთვე მთელი რიგი კოლმეურნეობები.

შემოწმების შედეგად დროულად იქნა გამოვლინებული ნაკლოვანებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მომავალშიც არ შევასუსტოთ კონტროლი სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ფაქტიური შესრულებისადმი.

ჩვენს რესპუბლიკაში ცოტა როდი არიან მოწინავე კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობები, სოფლის მეურნეობის ნოვატორები ,რომლებიც გვიჩვენებენ მაღალი შრომისნაყოფიერების ნიმუშებს, მაგრამ ამასთან ერთად სამწუხაროდ გვხვდებიან ისეთი „მუშაკებიც“, რომლებიც არ გრძნობენ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი და უშვებენ საბჭოთა კანონების დარღვევებსაც.

ასე მაგალითად, საბჭოთა კონტროლის კომისიის უფროსმა კონტროლიორმა შ. კვარაცხელიამ და კონტროლიორმა ზ. დუდაურმა შეამოწმეს 1960 წელს გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობის წევრთა განცხადება თავმჯდომარის ბ. გაგნიძისა და კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ი. ხახაშვილის უკანონო მოქმედებათა შესახებ. გამოირკვა, რომ აქ უხეშად ირღვეოდა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება, კოლმეურნეობაში ადგილი ჰქონდა სხვა ბოროტმოქმედებასაც. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. გაგნიძე სისტემატურად არღვევდა საკოლმეურნეო დემოკრატიას, მიწათსარგებლობის წესებს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე იჩენდა შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი, რის შედეგადაც კოლმეურნეობის ბუღალტერმა შ. ამირანაშვილმა და მოანგარიშე ზ. თანდიშვილმა ფიქტიური უწყისებით მიითვისეს 70.000 მანეთზე მეტი თანხა.

ბ. გაგნიძის დანაშაულებრივი დაუდევრობის შედეგად 16 კაცმა მიითვისა და ხანგრძლივი დროით სარგებლობდა საკოლმეურნეო მიწებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საბჭოთა კონტროლის კომისიის წარდგენით საკითხი განიხილა პარტიის გორის რაიონულმა კომიტეტმა, რომელმაც ბ. გაგნიძისა და სხვა დამნაშავე პირთა საქმე გადასცა პროკურატურას დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხების შემოწმების განყოფილებამ შეისწავლა სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „საქხორცმრეწვის“ საქმიანობა. როგორც შემოწმებამ გამოარკვია, ტრესტის მხრივ არასაკმაო ხელმძღვანელობისა და უკონტროლობის შედეგად, ზუგდიდის, ზესტაფონის, დუშეთის „ცხოველდამზადების“ სარაიონთაშორისო კანტორებში, აგრეთვე თბილისის ხორცკომბინატში და სხვ. პირუტყვის მიღებისა და შენახვის საქმეში ადგილი ჰქონდა სერიოზულ დარღვევებს, რითაც იქმნებოდა პირობები ბოროტმოქმედებათა ჩადენისათვის.

საბჭოთა კონტროლის კომისიამ დაადო სათანადო სასჯელი ამ საქმეში დამნაშავე პირებს.

საბჭოთა კონტროლის კომისია, ახორციელებს რა თავის საქმიანობას სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, ადგილებზე ასწორებს ნაკლოვანებებს, რომლებიც გვხვდება საბჭოთა, სამეურნეო და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობის შემოწმებისას, იღებს ზომებს მომავალში მათი თავიდან აცილებისათვის. ამ მიზნით მასალები შემოწმების შედეგებზე, როგორც წესი, ეგზავნებათ განსახილველად შესაბამის საბჭოთა-სამეურნეო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს.

იმ შემთხვევაში, როდესაც შემოწმების შედეგად ვლინდება ბოროტმოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებანი, საბჭოთა კონტროლის კომისია მასალებს აგზავნის პროკურატურაში. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ხშირად პროკურატურის ორგანოები აჭიანურებენ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგჯერ სასამართლოები სათანადო ყურადღებით, მოფიქრებულად არ უდგებიან სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას.

ასე მაგალითად: საბჭოთა კონტროლის კომისიამ პროკურატურას გადაუგზავნა მასალები არტელ „ენერგიის“ მუშაკების ფეიქრიშვილისა და სხვათა მიერ მომხმარებელთა მოტყუების შესახებ 40.163 მანეთის ოდენობით. საქმე განიხილა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლომ, რომელმაც 1960 წლის 6 იანვარს გამოიტანა ასეთი დადგენილება: „ფეიქრიშვილი ხელახლა აღსაზრდელად გადაეცეს არტელ „ენერგიის“ კოლექტივს“, ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული, მისი „პირველი ნასამართლობა“ და ხნოვანება 60 წელი“!!!

საბჭოთა სახელმწიფოში სისხლის სამართლის რეპრესია რათქმა უნდა არ არის მთავარი საშუალება დამნაშავეობასთან ბრძოლაში. ამჟამად სულ უფრო იზრდება საზოგადოებრიობის როლი ამ საქმეში, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს რაიმე შეღავათი გავავრცელოთ და მკაცრად არ დავსაჯოთ დამნაშავენი, რომლებიც ამას იმსახურებენ.

აქვე გვინდა შეგჩერდეთ ერთ საკითხზე, რომელიც სასამართლო-პროკურატურის ორგანოების ყურადღებას საჭიროებს. ხშირად სასამართლოები იხილავენ რა გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეებს, უყურადღებოდ ტოვებენ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხს.

ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა „საქკურორტვაჭრობის“ ბორჯომის განყოფილების საწყობის თანამშრომლის ჟუჟუნაძის სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა დანაშაულებრივი გულგრილობის შედეგად 37.000 მანეთის საქონლის დანაკლისში. სასამართლომ თავისი განაჩენით ჟუჟუნაძე სცნო დამნაშავედ და სათანადო სასჯელი მიუზღო. სამოქალაქო სარჩელი კი განუხილველი დასტოვა. საბჭოთა კონტროლის კომისიის ჩარევის შედეგად საქართველოს სსრ პროკურატურამ ზედწესით გააპროტესტა განაჩენი, პროტესტი მიღებულ იქნა 1960 წლის იანვრის ბოლოს და საქმე ხელახლა გასარჩევად გადაეგზავნა სხვა სახალხო სასამართლოს. საქმის განმეორებით გარჩევისას სამოქალაქო სარჩელი მთლიანად იქნა დაკმაყოფილებული. უნდა აღინიშნოს, რომ ჟუჟუნაძის დასჯა და ზარალის ანაზღაურება 2 წლის მანძილზე გრძელდებოდა.

საბჭოთა კონტროლის კომისიის მუშაკები მომავალშიც პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირით ყველაფერს გააკეთებენ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის.

ქალთა უფლებები საბჭოთა კავშირში

დოც. ე. ნვიძე

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ჩვენში ყველა მშრომელს მიანიჭა თავისუფლება და თანსწორუფლებიანობა განურჩევლად სქესისა, რელიგიური რწმენისა, ეროვნული და რასობრივი კუთვნილებისა. თავისი შექმნის პირველსავე დღეებში საბჭოთა სახელმწიფომ გააუქმა ძველი კანონები, რომლებიც ქალს ოჯახსა და საზოგადოებაში მორჩილებასა და დამამცირებელ მდგომარეობაში ამყოფებდნენ და იგი უფლებრივად მამაკაცთან გაათანასწორა.

რევოლუციამდელ რუსეთში ყველა დასაქმებული ქალებიდან 80 პროცენტი მუშაობდა შინამოსამსახურედ, მხოლოდ 13 პროცენტი მრეწველობასა და მშენებლობაზე, ხოლო 4 პროცენტი განათლებასა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით. მრეწველობაში მომუშავე ქალების ხელფასი მუშა მამაკაცის ხელფასის 51,5 პროცენტს შეადგენდა. განსაკუთრებით მძიმე და უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მეფის რუსეთის აღმოსავლეთ რაიონების ქალები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და სავსებით დამოკიდებული იყო მამაკაცზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხალხთა მეურნეობაში ქალის შრომა დიდ როლს ასრულებდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალთა შრომა ახლაც ნაკლებად ფასობს მამაკაცის შრომასთან შედარებით. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებითაც ქალისა და მამაკაცის შრომის ანაზღაურების განსხვავება საფრანგეთში შეადგენს 38 პროცენტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 37 პროცენტს, ესპანეთში—40 პროცენტს, იაპონიაში—42 პროცენტს, პორტუგალიაში—50 პროცენტს, ხოლო ინგლისში — 60 პროცენტს. ქალები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან თეთრ რასას ორმაგ დაჩაგვრას განიცდიან. ამერიკის შეერთებულ შტატებში ზანგი ქალის საშუალო ხელფასი თეთრი ქალის ხელფასის მხოლოდ 41 პროცენტს უდრის. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ქალები კოლონიურ და დამოუკიდებელ ქვეყნებში.

ჩვენს ქვეყანაში ქალი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა ქალს მამაკაცთან ერთად თავისი განსაკუთრებული უფლებრივი მდგომარეობის გამო თვალსაჩინო წვლილი შეაქვს სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების საქმეში. საბჭოთა კავშირის მუშა-მოსამსახურე ქალთა რაოდენობა შეადგენს 26 მილიონს, ანუ მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვის 47 პროცენტს. მრავალი ქალი ხელმძღვანელობს საწარმოს, დაწესებულებას, მუშაობს ინჟინრად, ტექნიკოსად, ოსტატად, ბრიგადის ხელმძღვანელად, საამქროს უფროსად და ა.შ. უკვე 1957 წლის დასაწყისისათვის ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგენდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების 50 პროცენტს, სახალხო მეურნეობაში დასაქმებული უმაღლეს და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტების საერთო რაოდენობის 60 პროცენტს. დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან 70 პროცენტი, ხოლო მთლიანად ექიმთა ორი მესამედი ქალები არიან. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს 7 ათასამდე ექიმი ქალი, 32 ათასზე მეტი ქალი პედაგოგი, 3 ათასამდე ქალი ემსახურება ქართულ ხელოვნებას.

1959 წლის მონაცემებით სსრ კავშირში სამეცნიერო ძალების 36 პროცენტს ქალები შეადგენენ, 700-ზე მეტ ქალს მინიჭებული აქვს აკადემიკოსის, აკადემიის ნამდვილი წევრის, წევრ-კორესპონდენტის და პროფესორის წოდება. მათ შორის არიან სამართლის მეცნიერების დარგში ნაყოფიერად მომუშავე ქალები: უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ხადიჩა სოლომანოვა, პროფესორები ეკატერინე ფლეიშიცი, თინათინ წერეთელი, რაისა ხალფინა და სხვ.

სსრ კავშირში იურისტების საერთო რიცხვის 32 პროცენტს ქალები შეადგენენ, სახალხო მოსამართლეთ ჩვენში არჩეულია 2.335, ხოლო სახალხო მსაჯულად 234.202 ქალი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 137-ე მუხლის მიხედვით ქალები მამაკაცების თანაბრად სარგებლობენ უფლებით აირჩიონ დეპუტატები და არჩეულ იქნან დეპუტატებად მშრომელთა დეპუტატების ყველა საბჭოში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი მოწვევის დეპუტატად არჩეულია 366 ქალი, ანუ დეპუტატების საერთო რიცხვის 27 პროცენტი. მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში 1.718 ქალი ანუ 32 პროცენტი. 700 ათასზე მეტი ქალი არჩეულია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატად. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უკანასკნელი მოწვევის დეპუტატად არჩეულია 166 ქალი, ანუ 30 პროცენტი.

ზემოთმოყვანილი ციფრები ნათლად გვიჩვენებენ საბჭოთა დემოკრატიისა და ქალთა ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობის მაღალი დონის შესახებ სოციალისტურ საზოგადოებაში. საბჭოთა ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივ — პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი ღვაწლი და დამსახურება ისევე ფასდება, როგორც მამაკაცებისა. ასი ათასობით ქალი შრომითი მიღწევებისა და წარმატებებისათვის დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენითა და მედლებით, 2.619 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 24 ქალი დაჯილდოებულია მეორე ოქროს მედლით, ხოლო 75 ქალს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება. მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში ლენინური და სტალინური პრემიები მიენიჭა 749 ქალს. ზოგიერთ მათგანს ეს პრემიები მინიჭებული აქვს რამოდენიმეჯერ.

ქართველმა ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში აღზარდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა შესანიშნავ ქალთა მთელი არმია. მრეწველობის მოწინავეთა შორის მთელ ჩვენს მრეწველობაში ფართოდ არიან ცნობილი მქსოველები ეთერ სოლომონია, ნინო ამოსოვა, ელენე გეგელაშვილი და სხვ. სახელმოხვეჭილი კოლმეურნე ქალთა რიგებს ამშვენებენ: ელენე ნატროშვილი, ტატიანა ჩხაიძე, თამარ ყუფუნია, სოფიო დელიბაშვილი, მარიამ არძინბა და მრავალი სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედი საბჭოთა კანონმდებლობით მრავალშვილიანსა და მარტოხელა დედებს ეძლევათ ყოველთვიური დახმარება. ამჟამად სახელმწიფოსაგან დახმარებას ღებულობს 7 მილიონზე მეტი მრავალშვილიანი და მარტოხელა დედა. ჯერ კიდევ 1958 წელს მრავალშვილიანსა და მარტოხელა დედებს სახელმწიფო დახმარების სახით მიეცათ 5,3 მილიარდი მანეთი. საქართველოს სსრ სახალხო შეურნეობის 1961 წლის გეგმის შესაბამისად სოციალური დაზღვევის, სოციალური უზრუნველყოფის და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარებაზე გამოყოფილია 94,6 მილიონი მანეთი. „გმირი დედის“ საპატიო წოდება 1944 წლიდან 1959 წლამდე მინიჭებული აქვს 62.000 ქალს, ხოლო ჩვენს რესპუბლიკაში — 1.281 ქალს. მრავალი დედა დაჯილდოებულია სახელოვანი დედის ორდენითა და დედობის მედლით.

* * *

საბჭოთა ხელისუფლებამ ყველა პირობა შექმნა იმისათვის, რომ ქალებს მიეღწიათ მამაკაცებთან ეკონომიური, შრომითი თანასწორუფლებიანობისათვის და საზოგადოებრივ-საწარმოო შრომაში შეუზღუდველი შესაძლებლობისათვის.

„ჩვენ გვინდა, რომ მუშა ქალმა,—აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი,—მუშა მამაკაცთან თანასწორობა მოიპოვოს არა მარტო კანონით, არამედ ცხოვრებაშიც“[1].

მამაკაცებთან ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავის ფართო გამოხატულებას პოულობს საბჭოთა შრომის კანონმდებლობაში, რომლის ნორმებიც თანაბარი ძალით ვრცელდება როგორც მუშა-მოსამსახურე მამაკაცებზე, ისე ქალებზე. ქალებს შრომითი ურთიერთობის სფეროში, მათი ორგანიზმის ფიზიოლოგიურ თავისებურებათა და დედობრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით ენიჭებათ მთელი რიგი უპირატესობანი და შეღავათები.

შრომითი უფლებრივი ურთიერთობის ისეთი საკითხები, როგორიცაა ქალების სამუშაოზე მიღება, გადაყვანა, მივლინება, სამუშაოდან დათხოვნა, შესვენება შრომის პროცესში, შვებულებები და სხვ. ქალთა შრომის დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე რეგლამენტირებულია განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი პზრუნველობით.

შრომის კანონთა კოდექსი კრძალავს ქალის შრომის გამოყენებას განსაკუთრებით სამძიმო და მავნე ხასიათის საწარმოებში და მიწისქვეშა სამუშაოებზე. ქალთათვის დადგენილია სიმძიმეთა გადაზიდვის ზღვრული ნორმებიც. კერძოდ, 18 წლისაზე უფროსი ასაკის ქალებს შეუძლიათ ხელით გადაიტანონ სწორ ზედაპირზე 20 კგ. ტვირთი, ხელით გადატანის დროს საზიდით ორ ქალს ერთად შეუძლიათ გადაიტანონ 50 კგ. ტვირთი და ა. შ.

საზეგანაკვეთო სამუშაოებზე არ დაიშვებიან ქალები ორსულობის მეოთხე თვიდან, აგრეთვე ქალები, რომელთაც ჰყავთ ძუძუმწოვარა ბავშვები, ძუძუს წოვების მთელ პერიოდში. აღნიშნულ პირებს არც ღამით მუშაობა შეიძლება დაევალოთ. თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 133-ე მუხლისა, ქალის გაგზავნა მივლინებაში მისი ორსულობის მეოთხე თვიდან დაუშვებელია მისი თანხმობის გარეშე.

იმ დედებს, რომელთაც ძუძუმწოვარი ბავშვები ჰყავთ, სამუშაოს საერთო შესვენების გარდა ეძლევათ დამატებითი შესვენება ბავშვის გამოსაკვებად. აღნიშნული შესვენების ვადები განისაზღვრება შრომის შინაგანაწესით.

---

[1] ვ. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ 447.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორსულობასთან დაკავშირებით მუშა ან მოსამსახურე ქალები სპეციალურ შვებულებაში წასვლამდე შეიძლება გადაყვანილ იქნან უფრო მსუბუქ სამუშაოზე და მუშაობის უკანასკნელი 6 თვის მიხედვით მათ ენახებათ წინანდელი ხელფასი. ორსულობისა და მშობიარობისათვის მუშა-მოსამსახურე ქალებს დაწესებული აქვთ სპეციალური შვებულება, რომლის ხანგრძლიობა შეადგენს 112 კალენდარულ დღეს (56 დღე მშობიარობამდე და 56 დღე მშობიარობის შემდეგ). არანორმალური მშობიარობის ან ორი და მეტი ბავშვის დაბადების შემთხვევაში კი მშობიარობის შემდეგ შვებულების ხანგრძლიობა განისაზღვრება 70 კალენდარული დღით. ქალის სურვილისამებრ შეიძლება ამ სპეციალურ შვებულებას შეეფარდოს აგრეთვე მისი კუთვნილი ყოველწლიური მორიგი შვებულებაც. მორიგი შვებულება შეიძლება მიეცეს ქალს მისი სურვილის მიხედვით სპეციალურ შვებულებაში წასვლამდე, ან ამ შვებულების დამთავრებისა და გამოყენების შემდეგ, განურჩევლად იმისა, მიაღწია თუ არა მან შვებულების მიღების უფლებას.

მომუშავე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო დახმარების მიღების უფლება აქვთ მუშაობის სტაჟის განურჩევლად, მუშაობის სტაჟის მიხედვით განისაზღვრება მხოლოდ დახმარების ოდენობა.

გარდა სპეციალური შვებულებისა (ორსულობისა და მშობიარობის გამო) მუშა-მოსამსახურე ქალებს ამ შვებულებისა და მორიგ შვებულების გამოყენების შემდეგ, უფლება აქვთ სამ თვემდე ვადით მოითხოვონ დამატებითი უხელფასო შვებულება. დამატებითი შვებულება ითვლება, როგორც საერთო, ისე განუწყვეტელი მუშაობის სტაჟში.

ორსული და მარტოხელა ქალებისათვის სსრ კავშირში დადგენილია სხვა გარანტიებიც. ასე, მაგალითად, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და ისიც სათანადო პროფკავშირული ორგანოების თანხმობით დაიშვება ორსული და იმ მარტოხელა დედების დათხოვნა, რომელთაც ჰყავთ ბავშვები 1 წლის ასაკამდე. მუშა-მოსამსახურე ორსულ ქალს (ორსულობის დადგენის მომენტიდან), აგრეთვე იმ დედას, რომელსაც ჰყავს ბავშვი ერთი წლის ასაკამდე, უფლება აქვს გადავიდეს სხვა სამუშაოზე თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განუწყვეტელი შრომის სტაჟის შენარჩუნებით.

ორსულობის მოტივით სამუშაოდ ქალის მიღებაზე უარის თქმა ან მეძუძური დედის სამუშაოდ მიღებაზე უარის თქმა, ან მათთვის ამ მოტივებით ხელფასის შემცირება, ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას თანამდებობის იმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ მუშებისა და მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის უფლებით.

კაპიტალისტური და დამოკიდებული ქვეყნების ქალთა მებრძოლ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ ბევრი რამ სჭირდებათ იმისათვის, რომ მიაღწიონ ისეთ მაღალუფლებრივ დონეს, რაც ქალებს აქვთ მინიჭებული საბჭოთა კანონმდებლობით.

თვალისახვევა, წამაგება, სახელმწიფოს მოგყუება— უმძიმესი დანაშაულია

მ. თოფურიძე,
საქართველოს სსრ პროკურორი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა ფართო ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისათვის. ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის განსაკუთრებით ღრმაშინაარსიანმა და მკაფიო სიტყვამ პლენუმზე, მისმა გამოსვლებმა, საქმიანმა და კრიტიკულმა შენიშვნებმა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ზონალურ თათბირებზე დახმარება გაუწია სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს ღრმა ანალიზი გაეკეთებიათ თავიანთი მუშაობისათვის, გამოევლინებიათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაუშრეტელი რეზერვები, დაესახათ გზები იმ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესასრულებლად, რომელიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახა სოფლის მეურნეობის მუშაკებს.

იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და შვიდწლედის მესამე წლის ვალდებულებანი, საჭიროა მთელი ძალით, თანმიმდევრულად ვიბრძოლოთ მათი შესრულებისათვის.

იანვრის პლენუმის დადგენილების განხორციელების საქმეში პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად დიდი როლი აკისრია პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს. საჭიროა საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით დავსაჯოთ სოფლის მეურნეობის ის ვაი მუშაკები, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით თვალს უხვევენ პარტიასა და ხალხს, ხელოვნურად ზრდიან მაჩვენებლებს, ამასაც არ ჯერდებიან და თავიანთ ბინძურ ხელებს უფათურებენ ხალხის დოვლათში. საკოლმეურნეო სოფლებში ჯერ კიდევ ცოტა როდი არიან შემორჩენილნი ზარმაცები და უქნარები, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და საკოლმეურნეო მინდვრებში მუშაობას ამჯობინებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ივაჭრონ ქალაქის ბაზრებში.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ხშირად საკოლმეურნეო ქონების დატაცება-მითვისებაში მონაწილეობენ არა მარტო ცალკეული კოლმეურნეები, არამედ ამას ზოგჯერ ჯგუფური ხასიათი აქვს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის სათავეში გაძვრებიან ხოლმე შემთხვევითი ადამიანები და საქმოსნები, რომლებიც ხელს ითბობენ ხალხის დოვლათზე. დავასახელებ ზოგიერთ მაგალითს.

კ. სეფერიანი მუშაობდა რა გაგრის რაიონის სოფელ „სიხარულის“ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, უხეშად არღვევდა საკოლმეურნეო წესდებას. მან კოლმეურნეობის მიწის ნაკვეთი კოლმეურნეობის გამგეობის წევრთა შეთანხმების გარეშე თვითნებურად დაურიგა იმ პირებს, რომლებიც კოლმეურნეობაში არ იყვნენ გაერთიანებული და სისტემატურად ეწეოდნენ სხვა და სხვა ქალაქებში სპეკულაციას. იმისათვის, რომ დაემალა ჩადენილი აბრეშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის პარკის სახელმწიფო გეგმის შესრულებაში, კ. სეფერიანმა თვალთმაქცობას მიმართა. იგი დაუკავშირდა გაგრის აბრეშუმის პარკის დამზადების სარაიონო კანტორის მუშაკს ვინმე პ. კუციას და მისი მეშვეობით კოლმეურნეობის ფულით შეიძინა 1.222 კილოგრამი აბრეშუმის პარკი. ამის შემდეგ გაგრის რაიაბრეშუმის № 1 პუნქტის გამგის ი. ქუთელაიას მეშვეობით მიიღო 24 ფიქტიური ქვითარი თითქოსდა აღნიშნული აბრეშუმის პარკი სახელმწიფოს ჩააბარა კოლმეურნეობა „სიხარულის“ 24-მა კოლმეურნემ. ამ „ოპერაციის“ ჩატარებით კ. სეფერიანმა ჯერ ერთი ხელი მოითბო ამ საქმეზე, და მეორეც, აბრეშუმის პარკის ჩაბარების სახელმწიფო გეგმაც „შეასრულა“.

კ. სეფერიანმა დაუშვა საკოლმეურნეო დემოკრატიის უხეში დარღვევა. კოლმეურნეობას 1960 წელს სრულიად არ გამოუკვეთია აბრეშუმის ჭია. ხოლო ვითომდა ჩაბარებული 1.222 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ღირებულება 39. 817 მანეთი (ძველი ფულით) გაგრის რაიაბრეშუმის კანტორამ გადაურიცხა კოლმეუნერობა „სიხარულის“ გამგეობას, რომელიც ხელზე მიიღო თვითონ კ. სეფერიანმა.

სახელმწიფოს მოტყუებისა და თვალის ახვევის მავნე პრაქტიკას ჰქონდა ადგილი აგრეთვე თერჯოლის რაიონის სოფელ კვახჭირის კოლმეურნეობის ფერმის გამგის ა. სულამანიძის მხრივ. ა. სულამანიძის საიდუმლოება მდგომარეობდა იმაში, რომ რძის წველადობის ხელოვნური ზრდით საგრძნობლად ითბობდა ხელს საკოლმეურნეო ქონებაზე. „სულამანიძის ფერმა“ ასე ეძახდნენ კვახჭირში იმ ფერმას, რომელიც მას ებარა და ეს თითქმის ასეც იყო. ამ ფერმაში ირიცხებოდა ექვსი თვის ასაკამდე 34 სული ხბო. ა. სულამანიძემ კი მთელი წლის მანძილზე რძის ხარჯვა უჩვენა 51 სულ ხბოზე, რითაც რძის წველადობის რაოდენობა ხელოვნურად გადიდდა 1891 კილოგრამით. იგი ამასაც არ დასჯერდა და ერთ სულ ხბოზე ნაცვლად დაწესებული 220 კილოგრამი რძისა, დახარჯულად აჩვენებდა 483 კილოგრამ რძეს. სახელმწიფოს მოტყუების მოყვარული ა. სულამანიძე მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

თერჯოლის რაიონში სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი სოფელ კვახჭირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. კაკაურიძე და სოფელ სიმონეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. სულამანიძე, რომლებიც ნაცვლად ამისა, რომ უზრუნველეყოთ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმის შესრულება, თვალთმაქცობის გზას დაადგნენ. მათ კოლმეურნეობას შეაწერეს ფულადი გადასახადი და ამ გზით შეგროვილი ფულით კვახჭირის სასოფლო საბჭოს მიერ კერძოდ შესყიდულ იქნა 370 კილოგრამი ერბო, ხოლო სიმონეთის სასოფლო საბჭოს მიერ 204 კილოგრამი ერბო, რაც შემდეგ ჩააბარეს ქუთაისის რძის ქარხანას. აი როგორ „შეასრულეს“ მათ სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის გეგმა.

ზესტაფონის რაიონის სოფელ ვაჭევის საბჭოთა მეურნეობის ღვინის ქარხნის მატერიალურ პასუხისმგებელმა მუშაკმა ა. მაღლაკელიძემ საგრძნობლად მოითბო ხელი თავისი თანამდებობით. ღვინის ქარხნის ტერიტორიაზე ა. მაღლაკელიძეს საკუთარი ქვევრები ჰქონდა. როდესაც რთველის დროს კოლმეურნეები ქარხანას ყურძენს აბარებდნენ, იგი იპარავდა ჩაბარებულ ყურძენს, ნაწილს კოლმეურნეებისაგან აიფად ყიდულობდა, შემდეგ ქარხნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესით წურავდა, აყენებდა ღვინოს, რის რეალიზაციასაც ახდენდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში. რევიზიის დროს 1960 წლის იანვარს აღნიშნულ ქარხანაში ბ. მაღლაკელიძეს თავის საკუთარ 9 ქვევრში აღმოაჩნდა 1.112 დეკალიტრი ღვინო.

ვინმე ს. კუჭუხიძემ თავისი შემოსავლის წყაროდ ცოცხალი საქონლის ყიდვა-გაყიდვა აირჩია. იგი დანაშაულებრივ კავშირში იყო თბილისის კოოპვაჭრობის ცოცხალი საქონლის საწყობის გამგე შ. ამაშუკელთან, რომელიც ხელს უცლიდა მეგობარს. აი ერთი მაგალითი მათი „მოღვაწეობიდან". გასული წლის აგვისტო-სექტემბერში ს. კუჭუხიძემ ზესტაფონის რაიონის სხვადასხვა სოფლებში კოლმეურნეებისაგან ნაღდ ანგარიშზე შეიძინა 21 სული მსხვილფეხა პირუტყვი, წონით კილოგრამი 8 მანეთად. შესყიდული საქონელი ავტომანქანებით ჩამოიყვანა თბილისში და ამაშუკელის დახმარებით კოოპვაჭრობას ჩააბარა 9-10 მანეთად. ა. კუჭუხიძე მსხვილფეხა პირუტყვის შეძენას წინდახედულად აკეთებდა. დანაშაულის კვალი რომ მიეჩქმალა, პირუტყვის მეპატრონეებისაგან იღებდა მინდობილობებს, შემდეგ კოოპვაჭრობიდან ღებულობდა პირუტყვის ღირებულებას და გარიგების მიხედვით ფულს აბარებდა პირუტყვის მფლობელს 7-8 მანეთს კილოგრამზე, მოგებას კი თვითონ იდებდა ჯიბეში.

კოლმეურნეთა ნდობას ბოროტად იყენებდა მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის რძის საზიდი ავტომანქანის მძღოლი კ. ელჩიევი, რომელიც დანაშაულებრივ საქმიანობაში დაკავშირებული იყო ვინმე გ. კურტანაძესთან. როგორც კი კ. ელჩიევი მეურნეობიდან სართიჭალის რძის მიმღებ ქარხნისათვის ჩასაბარებლად მიიღებდა რძეს. იგი გაუვლიდა სართიჭალაში მცხოვრებ გ. კურტანაძეს სახლში, ტვირთს შეიმსუბუქებდა, თითქმის ნახევარ რძეს გადაუსხამდა მას და ნახევარს კი აბარებდა რძის მიმღებ ქარხანას. მოპარულ რძეს გ. კურტანაძე ყველად აქცევდა და ბაზარზე სპეკულანტურ ფასებში ყიდდა. აღებულ ფულს კი ერთმანეთში ინაწილებდნენ.

მიმდინარე წლის 9 იანვარს კ. ელჩიევმა მუხროვანის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობისაგან მიიღო 1.152 კილოგრამი რძე. მან ჩვეულებრივ შეუარა თავის მეგობარ გ. კურტანაძეს და ტვირთი „შეიმსუბუქა", მაგრამ სახელმწიფო ქონების მიმთვისებლები ადგილზე იქნენ შეპყრობილი. კ. ელჩიევს ავტომანქანაში 419 კილოგრამით ნაკლები რძე აღმოაჩნდა, რომელიც გ. კურტანაძესათვის ქონდა დატოვებული.

თელავის რაიონის სოფელ ართანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ბოლარემ იგივე საწყობის გამგემ ი. ჯიბუტმა 1961 წლის თებერვალში დაიტაცა კოლმეურნეობის კუთვნილი 4826 მანეთი (ფულის ახალი ნიშნებით). დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ი. ჯიბუტმა მოიგონა ვერსია თითქოს მისთვის უცნობმა პირებმა გატეხეს სალარო და დაიტაცეს ფული. პროკურატურის მიერ ი. ჯიბუტი დაპატიმრებულია და უახლოეს დროში საქმე წარიმართება სასამართლოში.

საგარეჯოს რაიონში ჯერ კიდევ საკმაოდ არიან პარაზიტული ელემენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო სოფლის ხორცმეტები, რომლებიც არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას არ ეწევიან და ცდილობენ ხელი მოითბონ ხალხის დოვლათზე. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან ამ რაიონის სოფელ შიბლიანში მცხოვრებლები ი. კოლოტაძე და ა. გელიკაშვილი, რომლებიც წლების მანძილზე არსად არ მუშაობდნენ, დროსტარებას და ქეიფს კი არ იკლებდნენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ისინი ქურდობას ეწეოდნენ. ი. კოლოტაძე და ა. გელიკაშვილი დაუკავშირდნენ გურჯაანის რაიონის სოფელ კოტონის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმის მწყემსს ი. ხუროშვილს და მისი დახმარებით ფერმიდან დედაღორი მოიპარეს.

სახალხო სასამართლომ ი. კოლოტაძეს, ა. გელიკაშვილს და ი. ხუროშვილს 6-6 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

კიდევ უფრო „ფართო" საქმიანობას ეწეოდა სოფელ ნინოწმინდას მცხოვრები ო. ივანიაშვილი. მან საიდანღაც იშოვა ავტომანქანის ნაწილები და ააწყო სატვირთო ავტომანქანა, რომელსაც იყენებდა მგზავრების გადასაყვანად და ბნელი საქმიანობისათვის. გასული წლის დეკემბერში იგი იმ დროს დააპატიმრეს, როდესაც მანქანით მიქონდა სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოდან" მოპარული 2 ტონა სიმინდი.

ზ. ორველაშვილი მუშაობდა სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალური საწყობის გამგედ. მ/წ თებერვალში საწყობიდან ფარულად გაზიდა და მიითვისა 34 ლიტრი არაყი, 120 კილოგრამი თაფლი და ორი ცალი საბარგო ავტომანქანის საბურავი, რის შემდეგ შეეცადა მოეწყო საწყობის გაქურდვის სიმულაცია.

გ. ორველაშვილი მხილებულია. იგი აყვანილია პატიმრობაში და მალე წარსდგება სასამართლოს წინაშე.

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური შავნიადაგიანი ზონის ოლქების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ქალაქ ვორონეჟში 1961 წლის 11 თებერვალს ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობდა: „ჩვენში უქნარებისათვის საფუძველი არ არის. ჩვენში არავის არა აქვს უფლება სხვის ხარჯზე იცხოვროს. ჩვენ ვახორციელებთ სოციალიზმის ძირითად პრინციპს — „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს". საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სოფლის მშრომელებმა არ დაინდონ ისინი, ვინც სპეკულაციით ცხოვრობენ.

ყოველ რესპუბლიკაში უნდა იფიქრონ, რომ მკაცრი კანონები მიიღონ ასეთი პირების შიმართ".

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ დიად ზეიმს — საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავს, კიდევ უფრო დაირაზმებიან სკკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებათა განსახორციელებლად, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიდებული ამოცანების შესასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველვყოთ უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვა

შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში დღითიდღე ვითარდება ტექნიკა, სახალხო მეურნეობაში ინერგება ავტომატიკა, ადამიანის ენერგია იცვლება ელექტროენერგიით და სხვა, რაც კიდევ უფრო ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას. განუწყვეტელი ტექნიკური პროგრესის პირობებში არ შეიძლება იმის დავიწყება, რომ საჭიროა შრომის პროცესში უსაშიშროების ტექნიკის დაცვა, რათა ადგილი არ ექნეს რაიმე დაბრკოლებასა და უბედურ შემთხვევას.

ლაგოდეხის თამბაქოს საფერმეტაციო ქარხანაში (დირექტორი ვ. უნგიაძე) უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვის საკითხი კარგად დგას. მუშა-მოსამსახურეებს ამ საკითხზე სისტემატურად უტარდებათ საუბრები. ახლად მიღებულ მუშებს უტარებენ სათანადო ინსტრუქტაჟს, საამქროებში არის გამაფრთხილებელი ნიშნები ხანძარსაწინააღმდეგო ზომებისა და უსაშიშროების წესების დაცვის შესახებ, წესრიგშია მოყვანილი ელექტრო მეურნეობა და სხვა. ამ საქმეს კარგად ხელმძღვანელობს ქარხნის მთავარი მექანიკი ვ. ხუბაშვილი. მაგრამ რაიონის ზოგიერთ საწარმოსა და კოლმეურნეობაში ამ მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა, რასაც მოსდევს უბედური შემთხვევები.

ლაგოდეხის სოფლის კოოპერატივის პურის საცხობში სათანადოდ არ იყო დახურული ელექტროდენის ჩამრთველი, წესრიგში არ იყო მოყვანილი ცომის საზელი, რის გამო პურის მცხობელებს ხელი ეშლებოდათ ნორმალურ მუშაობაში. აღნიშნულ პურის საცხობში 1960 წლის 15-ოქტომბერს მუშაობის დროს ელექტროდენის გამომრთველზე შეხებისას ელექტროდენით გარდაიცვალა პურის მცხობელი ა. გვიმრაძე.

სოფ. უზუნთალის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სახერხ ქარხანაში შრომის უსაშიშროების წესების დაუცველობის შედეგად კოლმეურნე კულამალი ქაზიმოღლის მუშაობის დროს ხერხმა ხელები მოკვეთა. ამ საკითხზე შეტანილი იქნა წარდგინება საქართველოს კ პ ლაგოდეხის რაიკომში და კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. აღაჯანოვს დაედო სათანადო სასჯელი.

სოფელ ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის ელექტრომონტიორს ს. გრიშენკოს სოფელ სვობოდნოეში ელექტროქსელი გაყვანილი ქონდა არასტანდარტული დიამეტრის ელექტრომავთულზე, დამპალ და უვარგის ბოძებზე. თავისი სახლის ეზოში გაწყვეტილი ელექტრო მავთული არ აღადგინა თავის დროზე, რასაც 1960 წლის 11 სექტემბერს ხელით შეეხო მოქ. ვ. აბრამოვი და მაღალი ძაბვის დენით გარდაიცვალა. ს. გრიშენკო მიეცა პასუხისგებაში და იგი მსჯავრდებულია.

რაიპროკურატურის წარმოებაში არსებულ ამ კატეგორიის საქმეებზე, როგორც წესი, ხდება შრომის დაცვის ტექნიკური ინსპექტორების მოწვევა დასკვნისათვის.

იმის შემდეგ, რაც მოხდა მტს-ების რეორგანიზაცია და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა კოლმეურნეობებს გადაეცა, პასუხისმგებლობა ტექნიკის სწორად გამოყენებისა და მისი სწორი ექსპლოატაციისათვის ეკისრება კოლმეურნეობათა გამგეობებს. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ტრაქტორებს იყენებენ არა დანიშნულებისამებრ, ხშირად მათი გამოყენება ხდება ტრაქტორისტების, ან სხვა პირთა პირადი საჭიროებისათვის, ამასთან ტრაქტორებზე ზოგჯერ მიმბმელად მუშაობენ არასრულწლოვანი პირები. ადგილი აქვს ცალკეული პირების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ ტრაქტორების მართვას ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს და სხვა.

სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტმა დ. მიქაუტიძემ ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის დროს ტრაქტორი გადაატარა მოქ. ზ. ცერცვაძეს, რომელიც იქვე გარდაიცვალა. დ. მიქაუტიძე პასუხისგებაში მიეცა და მსჯავრი დაედო.

ტრაქტორისტმა ა. ყალაბეგაშვილმა გასული წლის 27-მაისს კერძო პირის კუთვნილი ხის მორი მოიტანა სახერხ ქარხანაში. იგი ტრაქტორს მართავდა ნასვამ მდგომარეობაში ყოფი, ავითარებდა გადაჭარბებულ სისწრაფეს, ტრაქტორზე დასვა სამი პირი, რომელთაგან ტრაქტორიდან გადმოვარდა ო. ყალაბეგაშვილი და მიღებული დაზიანების გამო რამდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. ტრაქტორისტი ა. ყალაბეგაშვილი მიცემული იქნა პასუხისგებაში და სასამართლოს განაჩენით შეეფარდა სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა.

უშიშროების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის წესების შესახებ არსებული დებულების თანახმად კოლმეურნეობებში შრომის დაცვის ორგანიზაცია და ტრაქტორებზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე, ძალოვან დანადგარებზე, აგრეთვე სხვა დამხმარე საწარმოებში შრომის ნორმალური პირობების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა ეკისრება კოლმეურნეობის გამგეობას. კოლმეურნეობის გამგეობა შრომის დაცვის მთელ პრაქტიკულ საქმიანობას აკისრებს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, ან გამგეობის ერთერთ წევრს, რომელიც განაგებს ტექნიკის საკითხებს და პასუხისმგებელია მუშაობის ამ უბანზე კოლმეურნეობაში. გამგეობა ნიშნავს პასუხისმგებელ პირებს უსაშიშროების ტექნიკის მდგომარეობაზე ცალკეულ საწარმოო უბნებში, რის შესახებაც გამგეობა რეგულარულად ისმენს საკითხს და სახავს სათანადო ღონისძიებებს.

დებულების თანახმად კოლმეურნეობებსა და სტს-ში უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვაზე ზედამხედველობა ეკისრება სოფლის მეურნეობის ინსპექციის სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექტორს.

ლაგოდეხის რაიონის პროკურატურის მიერ შესწავლილი იქნა რაიონში უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვის საკითხი, ამასთან, ანალიზი გაუკეთდა რაიპროკურატურის წარმოებაში ამ კატეგორიის საქმეებს და სათანადო წარდგინება იქნა შეტანილი საქართველოს კ პ ლაგოდეხის რაიკომში. ეს საკითხი 1960 წლის 22 დეკემბერს განხილული იქნა პარტიის რაიკომის ბიუროზე კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, აგრეთვე წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელების თანდასწრებით და დაისახა სათანადო ღონისძიება უსაშიშროების ტექნიკის წესების დაცვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამავე საკითხზე რაიონულ გაზეთ „გამარჯვების დროშა“-ს 1960-წლის 18 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა სტატია.

დიდი ადგილი ეთმობა ამ საკითხს აგრეთვე რაიპროკურატურის მუშაკების მიერ წარმოებებსა და კოლმეურნეობებში მოხსენებებისა და საუბრების ჩატარების დროს.

უსაშიშროების ტექნიკისა და შრომის დაცვის ყველა წესი განუხრელად უნდა შესრულდეს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ადამიანების მაღალნაყოფიერი და სასარგებლო შრომა, უბედურ შემთხვევათა თავიდან აცილება.

ა. ვაიტაძე

ლაგოდეხის რაიონის პროკურორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდავქმნათ საალსრულებო მოქმედება საალიმენტო საქმეებზე

სასამართლოს გადაწყვეტილების დროულად და სრულად აღსრულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. გადაწყვეტილებათა აღსრულების გაჭიანურება სცემს სასამართლოს ავტორიტეტს, ლახავს მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილების აღსრულებას საალიმენტო საქმეზე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი. სასამართლო მოვალეა გადაწყვეტილების გამოტანის მეორე დღესვე აღმასრულებელი ფურცელი ალიმენტის გადახდევინებისათვის შესასრულებლად გადასცეს იმავე რაიონის სასამართლოს აღმასრულებელს, თუ მოვალე იმყოფება იმავე რაიონში, სადაც საქმის განხილვა მოხდა, ხოლო თუ მოვალე სხვა რაიონში იმყოფება, დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ქვემდებარე სასამართლოს და ამის შესახებ აცნობოს მაძიებელს.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლო ახორციელებს ღონისძიებებს, რათა შემცირებულ იქნეს საჩივრები ალიმენტის მიუღებლობაზე. საქმეებიდან დროულად იცემა აღმასრულებელი ფურცლები და სააღსრულებო წარმოებაში მიღებისთანავე შეტყობინება ეგზავნება მაძიებელს. გარკვეული დროის შემდეგ შეკითხვა ეგზავნება მაძიებელს, ხომ არა აქვს პრეტენზია ალიმენტის შესახებ.

თუ წინათ ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოში შემოდიოდა ბევრი საჩივარი ალიმენტის გადაუხდელობის თაობაზე, ამჟამად საჩივრები მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს იმის შედეგია, რომ სისტემატურ კონტროლზე გვყავს აყვანილი წარმოება-დაწესებულებათა ბუღალტრები. იმათ მიმართ, ვინც რეგულარულად არ გზავნის ალიმენტს, ვიღებთ სათანადო ზომებს.

მაგალითად: ტყიბულის №1 ავტოსატრანსპორტო კანტორის ბუღალტერს პ. კუპრაშვილს მიესაჯა ერთი წლით იძულებითი მუშაობა. იმავე ორგანიზაციის საანგარიშო ნაწილის ბუღალტერი ნ. ბოჭორიშვილი დაჯარიმებულ იქნა 100 მანეთით (ძველი ფულით) ალიმენტის არასწორად და დაგვიანებით გაგზავნისათვის. დასჯილ იქნა ავრეთვე ბუხურის გეოლოგიური აპარატის ბუღალტერი კ. დათუკიშვილი, ტყიბულის შახტამონტაჟის ბუღალტერს ნ. ბალიშევს ბრძანებით დაედო ადმინისტრაციული სასჯელი ალიმენტის დაგვიანებით გაგზავნისათვის და სხვ.

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლო გადამჭრელ ზომებს იღებს ალიმენტის ურჩი გადამხდელების მიმართ. პ. ბოჭორიშვილს, ბ. ბუაძეს, ვ. კირკიტაძეს სათანადო სასჯელები დაედოთ ალიმენტის გადახდისაგან თავის არიდებისათვის.

ტყიბულის რაიპროკურატურას გადაცემული აქვს ალიმენტის გადახდისაგან თავის ამრიდებელ ი. კუსკოვის და ნ. ლუტიკოვის მასალები მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისაცემად. ამას წინად ისინი წარსდგნენ სასამართლოს წინაშე და სათანადოდ დაისაჯნენ.

მიუხედავად მიღებული ზომებისა, ჩვენს საქმიანობას ამ დარგში მაინც ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებანი. ტყიბულის სასამართლოს მუშაკები იბრძოლებენ, რათა უმოკლეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და გარდაქმნან თავიანთი მუშაობა იმგვარად, რომ ადგილი არ ექნეს ალიმენტის მიუღებლობისათვის საჩივრებს.

ბ. ბუბაშვილი

ტყიბულის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იურიდიულ კონსულტაციებში ადვოკატთა დატვირთვისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განიხილა საკითხი — საქართველოს სსრ იურიდიულ კონსულტაციებში ადვოკატთა დატვირთვისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

შემოწმებით გამოირკვა, რომ იურიდიულ კონსულტაციებში ადვოკატთა შორის საქმეების განაწილება უმთავრესად წარმოებს კლიენტთა მიერ ადვოკატთა პერსონალური მოთხოვნით. მარტო 1960 წლის განმავლობაში ქ. თბილისის იურიდიულ კონსულტაციებში, სადაც 331 ადვოკატია გაერთიანებული, 1960 წლის მონაცემების მიხედვით პერსონალური მოთხოვნის საფუძველზე საქმეთა საწარმოებლად გაცემულ ორდერთა რაოდენობა 84 პროცენტს შეადგენს, ხოლო 16 პროცენტი კი პერსონალური მოთხოვნის გარეშეა გაცემული.

გასულ წელს არათანაბარი იყო ადვოკატთა დატვირთვა. მაგალითად, თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის წევრმა, ადვოკატმა ვ. ჭიჭინაძემ 1960 წელს აწარმოა 119 საქმე და მისმა თვიურმა გამომუშავებამ შეადგინა 1670 მანეთი, მაშინ როცა ამავე კონსულტაციის ადვოკატმა ა. კორძახიამ ამავე პერიოდში მხოლოდ 10 საქმე აწარმოა.

ასეთ შემთხვევებს ადგილი ქონდა ქ. თბილისის ოქტომბრის, ლენინის, 26 კომისრების, კალინინის და რესპუბლიკის ზოგიერთი ქალაქების იურიდიულ კონსულტაციებში.

სხდომაზე ხაზი გაესვა იმას, რომ საქმეთა განაწილების ასეთი პრაქტიკა არასწორია. ხშირია შემთხვევები, როდესაც პერსონალური მოთხოვნის საფუძველზე საქმეებს აწარმოებენ ისეთი ადვოკატები, რომლებიც თავიანთი კვალიფიკაციით მაღლა არ დგანან მინიმალური დატვირთვის მქონე ადვოკატებზე. ამავე დროს ცალკეული ადვოკატების მიერ საქმეთა დიდი რაოდენობით წარმოება უარყოფით გავლენას ახდენს საქმის წარმოების ხარისხზე.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ იურიდიულ კონსულტაციებში, სადაც ადვოკატებს ნაკლები გამომუშავება აქვთ, კონსულტაციის გამგეები თვით აწარმოებენ საქმეებს საკმაო რაოდენობით.

საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი და იურიდიული კონსულტაციების გამგეები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ და კონტროლს არ აწესებენ საქმეთა განაწილების რეგულირებაზე. არის შემთხვევები, როდესაც ადვოკატები კლიენტებს იურიდიულ კონსულტაციაში საქმის გაფორმების გარეშე უკავშირდებიან და ეწევიან გამოძალვას. მაგალითისათვის დასახელებულ იქნა ადვოკატ ი. მამალაძის საქციელი, რომელიც ადვოკატურის რიგებიდან გარიცხულ იქნა იმის გამო, რომ მან მოქ. ე. კოკრეკს თაღლითურად გამოსტყუა 810 მანეთი (ძველი ფულით) და თანაც სამოქალაქო საქმის განხილვა ხელოვნურად გააჭიანურა ერთ წელზე მეტხანს.

იურიდიული კომისიის სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე გაზეთ „იზვესტიის“ 1961 წლის 24 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ფელეტონი „მაგიური სიტყვა“. ფელეტონში წამოჭრილი საკითხები შეეხება საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ შემუშავებულ იქნა ღონისძიება ზემოთაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეიერვერკი

ორსასიანი ანეში

მკითხველებს ვთავაზობთ იმპროვიზირებულ სცენას სამ მოქმედებად, რომლის მთავარი გმირია ადვოკატი ვლადიმერ იოსების ძე თენეიშვილი, 50-მდე წლის სიმპატიური სახის მამაკაცი, მისთვის დამახასიათებელი ჩვევებით. ლაპარაკის დროს მოსაუბრეს (თუ ის კლიენტია) სახეში შესცინინ, უყვარს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების ხმარება.

პირველი მოქმედება იწყება მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოში. დილის 10 საათია. სასამართლო სხდომის დარბაზში ხალხი შეკრებილა. პროცესის დაწყებას ელოდება. დარბაზის შუაგულში ორი ქალი საუბრობს.

— რაღა მეშველება, ჩემი ქმრის ადვოკატი უნდა ჩამოსულიყო თბილისიდან... საქმესაც არ იცნობს. არა, ისევ პროცესი უნდა გადავადებინო. თუმცა მოიცა, აგერ კარებში რომ დგას, ხრომის ტყავიანი ყვითელი დიდი პორტფელი რომ უჭირავს ხელში, ის არ არის? — ქალი მივარდება კარებში გაჩერებულ ვ. თენეიშვილთან, რომელიც ოლიმპიური სიმშვიდით მაღალი ხარისხის პაპიროსს ნება-ნება აბოლებს და თანაც დარბაზში შეკრებილთ ქედმაღლურად ათვალიერებს.

— რა გვიქნი ბატონო, რატომ დაგვღუპე. ჩემი მეუღლის, არჩილ ყორდანიას პროცესი დღეს არის დანიშნული, საქმესაც არ იცნობთ, პროცესზე როგორ გამოხვალთ.

ადვოკატი პაპიროსის ბოლს ჰაერში რგოლებად უშვებს და როგორც იქნა კადრულობს ხმის ამოღებას.

— როგორ გეტყობათ, რომ კარგად არ მიცნობთ. ჩემთვის მაგას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ. მხოლოდ ეს კი მოამზადეთ... — და თენეიშვილი ღიმილით თითებს ათამაშებს.

მალე პროცესიც იწყება.

მოსამართლე კითხულობს საბრალდებო დასკვნას კონსტანტინე პეტრეს ძე ბულიგინისა და არჩილ ყაისარის ძე ყორდანიას ბრალდების გამო, რომელთაც ყალბი დოკუმენტების შედგენით სახელმწიფო თანხები მიითვისეს.

...სიტყვა ეძლევა ბრალდებულ ყორდანიას დამცველ ვ. თენეიშვილს.

ვ. თენეიშვილი დგება. უზარმაზარ ყვითელ პორტფელში ხელებს აფათურებს, სათვალეები მოიერგო, დამსწრეთ მრავალმნიშვნელოვნად გადახედა, ჭიქაში წყალი დაისხა, ყელსახვევი გაისწორა, ცალი ხელით კათედრას დაეყრდნო, ოდნავ ჩაახველა და დაიწყო.

— ღრმად პატივცემულო მოსამართლენო!

გაგიგონიათ დიდი აკაკი ჭავჭავაძის ნათქვამი „თქმა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლად“, და ეს სწორედ ჩემ მარწმუნებელ ა. ყორდანიაზე შეიძლება ითქვას. მე დამცველი გახლავართ და როგორც სამართლისა და ჭეშმარიტების ქადაგი მოწოდებული ვარ დავეხმარო სასამართლოს სიმართლის დადგენაში. ვუსმენდი სასამართლოს პროცესს და ვფიქრობდი, ნუთუ ჩემმა მარწმუნებელმა დანაშაული ჩაიდინა. არა და არა პატივცემულო მოსამართლენო. მართალია ა. ყორდანია და ვ. ბულიგინი ერთად მუშაობდნენ მახარაძის კეთილმოწყობის კანტორაში მხატვრებად, ყალბი ანგარიშების შედგენით ითვისებდნენ სახელმწიფო თანხებს, მაგრამ დამზადებული ყალბი ბეჭდები და შტამპები ხომ ვ. ბულიგინს უნახეს, რაც შეეხება ყორდანიას ხელმოწერას ფულის მიღებაზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ვ. ბულიგინს შეეძლო ხელი მოეწერა ყორდანიას ნაცვლად?

— დიდად პატივცემულნო მოსამართლენო! ერთი შეხედეთ ყორდანიას სპეტაკ შუბლს. განა ის დამნაშავეა, სრულიადაც არა. დამნაშავე მხოლოდ ვ. ბულიგინია.

— მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას. იმედია სასამართლო სწორად განსჯის სამართალს და ა. ყორდანიას კვლავ მიეცემა შესაძლებლობა გააგრძელოს თავისი შემოქმედება.

ვ. თენეიშვილმა ჭიქიდან წყალი მოსვა და თან აქეთ-იქით მიიხედ მოიხედა როგორი შთაბეჭდილება მოვახდინეო.

სასამართლომ მართლაც გაიზიარა ვ. თენეიშვილის სიტყვის ნაწილი სამართლის სწორად განსჯის შესახებ და ა. ყორდანიას და ვ. ბულიგინს ღირსეული სასჯელი მიუზღო სახელმწიფო თანხების მითვისებისათვის .

მეორე მოქმედებას გადავყავართ თბილისში. საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომათა დარბაზში. კასაციით ირჩევა ჟორდანიასა და ბულიგინის საქმე.

სიტყვა კვლავ ადვოკატ თენეიშვილს ეძლევა. იგი ადგენს ა. ჟორდანიას დასაცავ ორდერს №177839. კვლავ იგივე სცენა. ვ. თენეიშვილი ბრტყელმეტყველობს, ა. ჟორდანია „მამა აბრამის ბატკნად“ გამოიყვანა.

— სიტყვა ეძლევა ბრალდებულ ვ. ბულიგინის დამცველს. — აცხადებს სასამართლოს თავმჯდომარე.

სიტყვის სათქმელად კვლავ ვ. თენეიშვილი ემზადება.

— თქვენ ხომ დაამთავრეთ. ახლა ბრალდებულ ბულიგინის დამცველის ჯერია. მიმართავს სასამართლოს თავმჯდომარე ვ. თენეიშვილს.

— დიახ, მე გახლავართ ბრალდებულ ვ. ბულიგინის დამცველი. აი ორდერიც №177895.

ეს როგორ, იკითხავს შეცბუნებული მკითხველი. ა. ჟორდანიასა და ვ. ბულიგინს შორის ხომ წინააღმდეგობაა. ისინი ერთმანეთს აბრალებენ ყალბი საბუთების შედგენას. მაგრამ ნუ ჩქარობთ მკითხველო, მოვუსმინოთ თვითონ ვ. თენეიშვილს.

— კვლავ ღრმად პატივცემულნო მოსამართლენო! — ჩვეული რიხით ოქროპირობს თენეიშვილი. — ჩვენთვის მთავარია ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა. ვინ არის ბულიგინი? მხატვარი, შემოქმედი, რომელიც მოექცა ჟორდანიას გავლენის ქვეშ. მართალია მას უნახეს ყალბი ბეჭდები და შტამპები, მაგრამ ვინ დაამზადა იგი? აი რა უნდა გაარკვიოს სასამართლომ და თანაც ფულის მიღების აქტებზე ხომ ა. ჟორდანია აწერს ხელს.

— მე მოვითხოვ ბულიგინის სრულ გამართლებას და ნამდვილი დამნაშავის დასჯას.

მკითხველს თავს აღარ ვაწყენთ იმით, თუ რა აღშფოთება გამოიწვია პროცესზე დამსწრე მოქალაქეებში ადვოკატ ვ. თენეიშვილის გამოსვლამ. მისი პორტრეტის და საქმიანობის სრულყოფისათვის საკმარისია ის, რომ თენეიშვილმა თავის ყოფილ კლიენტებს ლ. სლაბოდინსკაიას, მ. ბერულავას, ი. თარბას, ს. ცქვიტირიას, შ. ზუხბიას, გ. შელეგიას, ჯონჯუასა და სხვებს სხვადასხვა დროს „საქმის გაკეთებისათვის“ რამოდენიმე ათი ათასი მანეთი (ძველი ფულით) დასტყუა.

ამბობენ, ადვოკატ ვ. თენეიშვილის სამუშაო კაბინეტში საწერ მაგიდაზე ბერძნული მითოლოგიის „სამართლის ღმერთის“ თემიდას პატარა ქანდაკება დგასო. თემიდა თვალებაკრული, ხელში ხმლითა და სასწორით დგას და ვ. თენეიშვილი მას თავის მფარველად მიიჩნევსო.

მესამე მოქმედების დამთავრებისათვის სიტყვა თბილისის კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს ეკუთვნის, რომელიც განიხილავს ადვოკატ ვ. თენეიშვილის „მოღვაწეობას“.

არა გვგონია რომ ვ. თენეიშვილს ამჯერად თემიდამ უშველოს.

ვნახოთ...

ზ. მესენგისერი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 689

1960 წლის 3 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შეფარდების წესის“ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს დებულება „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შეფარდების წესის“ თაობაზე.

2. წინადადება მიეცეთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დახმარება გაუწიონ მოსახლეობას იმ მხრივ, რომ მოეწყოს ქუჩის კომიტეტები და საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისიები სახლმმართველობებთან იქ, სადაც ისინი ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 3 ოქტომბრის № 689
დადგენილებით

დებულება

„ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების შეფარდების წესის“ თაობაზე

1. „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების 1 მუხლის შესაბამისად, საქართველოს სსრ ქალაქებსა და საქალაქო დაბებში მცხოვრები სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქეები, რომლებიც განზრახ არიდებენ თავს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, შეიძლება გასახლებულ იქნან მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მოქალაქეთა საერთო კრებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მილიციის დაწესებულებების შუამდგომლობით ვადით 6 თვიდან 2 წლამდე.

2. გასახლება არ შეიძლება შეუფარდდეს ავადმყოფებს მათი შრომის უუნარობის დროისათვის, I, II და III ჯგუფების ინვალიდებს, პენსიონერებს, აგრეთვე 55 წლისაზე მეტი ასაკის მამაკაცებს, 50 წლისაზე მეტი ასაკის ქალებს და დიასახლისებს.

3. ამ დებულების 1 მუხლში აღნიშნულ პირთა გამოვლინებას, იმ გარემოებათა შემოწმებას, რომლებიც ადასტურებენ, რომ ისინი ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას, აწარმოებენ ქუჩის კომიტეტები, სახლმმართველობებთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მილიციის დაწესებულებები.

4. მასალებს დამრღვევთა გასახლების შესახებ განსახილველად გადასცემენ:

ა) მოქალაქეთა საერთო კრებებს — ქუჩის კომიტეტები და ხელშემწყობი კომისიები;

ბ) საწარმოთა, დაწესებულებათა, მშენებლობათა და სხვ. კოლექტივების საერთო კრებებს — პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები.

მილიციის დაწესებულებანი უშუალოდ თვითონ ამოწმებენ დამრღვევთა შესახებ არსებულ მასალებს.

5. ქუჩის კომიტეტი, სახლმმართველობასთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შეამოწმებენ რა ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ პირებზე შემოსულ მასალებს, არა უგვიანეს 10 დღისა მოიწვევენ მოქალაქეთა ან საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაკთა საერთო კრებებს.

6. საერთო კრებებზე გასახლების საკითხი განიხილება სრულწლოვან მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქეთა უმრავლესობის თანდასწრებით. შუამდგომლობა გასახლების შესახებ მიიღება ღია კენჭისყრით უბრალო უმრავლესობით.

ის პირი, რომლის გასახლების საკითხის განხილვა ხდება, გამოძახებული იქნება კრებაზე უწყებით, რომელიც მას ხელწერილქვეშ ჩაბარდება.

იმ შემთხვევაში, თუ გამოძახებული პირი არ გამოცხადდა კრებაზე არასაპატიო მიზეზით, მასალა განხილული იქნება მის დაუსწრებლად.

7. საერთო კრებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს კრების პრეზიდიუმი.

საერთო კრებები ტარდება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს შესაბამისი აღმასკომის წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

8. მასალების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ და იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა მათში მოყვანილი ფაქტები, საერთო კრების გადასაწყვეტად დაისმება დამრღვევისადმი ისეთი ზემოქმედების ზომის შეფარდების საკითხი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების 1 მუხლით. საერთო კრებები იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ანტისაზოგადოებრივი საქციელის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის განზრახ არიდების და პარაზიტული ცხოვრების ფაქტი, მიიღებენ გადაწყვეტილებებს, რომ აღიძრას შუამდგომლობა მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე დამრღვევის გასახლების შესახებ.

კენჭისყრის წინ დამრღვევი უნდა გავიდეს კრებიდან.

9. ქუჩის კომიტეტი, სახლმმართველობასთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის ხელშემწყობი კომისია ან საწარმოს, მშენებლობის, დაწესებულების პროფესიული კავშირის საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტები მთელ მასალას საერთო კრების ოქმთან ერთად სამი დღის ვადაში წარუდგენენ განსახილველად მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

10. მილიციის დაწესებულება დეტალურად შეამოწმებს მოქალაქეთა განცხადებას და სხვა მასალებს, რომლებიც ამ დებულების 1 მუხლში აღნიშნულ პირებს შეეხება, და შემოწმების მთელ მასალას თავისი შუამდგომლობით გასახლების შესახებ განსახილველად უგზავნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. გასახლების შესახებ შუამდგომლობას მილიციის დაწესებულება გააფორმებს დადგენილებით.

11. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შემოსულ შუამდგომლობას გასახლების შესახებ განიხილავს სამი დღის ვადაში დამრღვევის გამოძახებით.

იმ შემთხვევაში, თუ დამრღვევი არ გამოცხადდა არასაპატიო მიზეზით, საკითხი შეიძლება განხილულ იქნას მის დაუსწრებლად.

12. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შეამოწმებს, თუ რამდენად სწორი და დასაბუთებულია შუამდგომლობა დამრღვევის გასახლების შესახებ და შემოწმების შედეგების შესაბამისად გამოიტანს გადაწყვეტილებას გასახლების თაობაზე აღძრული შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის უარყოფის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ აღმასრულებელი კომიტეტი ცნობს, რომ საერთო კრების მიერ გასახლების შესახებ შუამდგომლობის აღძვრისას დარღვეულია ამ დებულების მე-5, 6, 7 და 8 მუხლებით დადგენილი წესი, მასალას დააბრუნებს ხელახლა განსახილველად.

13. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი თავის გადაწყვეტილებას გასახლების შესახებ შესასრულებლად გაუგზავნის მილიციის დაწესებულებას, რომელიც დააკავებს დამრღვევს და გაგზავნის მას გასახლების ადგილზე. იმავდროულად გააფრთხილებს დამრღვევს, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი თავს აარიდებს მისი გასახლების შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების შესრულებას, მის მიმართ გამოყენებული იქნება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების მე-4 მუხლი.

გასასახლებელ პირს უნდა მიეცეს დრო (მაგრამ არა უმეტეს ხუთი დღისა) თავისი პირადი საქმეების მოსაგვარებლად.

14. „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების 1 მუხლში აღნიშნული დამრღვევნი გასახლების ვადას იხდიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებულ ადგილებში.

15. იმ პირთა რეგისტრაცია და მათდამი მეთვალყურეობა, რომლებიც გასახლების ვადას იხდიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით, ეკისრება მილიციის დაწესებულებებს გასახლების ადგილზე.

გასახლებულთა შრომითი გამოყენება და მათი საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობა ევალება იმ საწარმოების, მშენებლობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, სადაც გაგზავნილი არიან დამრღვევნი, ხოლო ამისადმი კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასკომები გასახლების ადგილზე.

16. მილიციის დაწესებულებებს ამ პირთა პასპორტში, რომლებიც გასახლების ვადას იხდიან, შეაქვთ შეზღუდვები „არა აქვს გასახლების ადგილიდან გასვლის უფლება“, ხოლო შემდეგში, გასახლების ვადის მოხდის ან „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების მე-3 მუხლის წესით ვადამდე განთავისუფლების შემდეგ მოხსნიან ამ შეზღუდვას და გამოუცვლიან პასპორტს.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულების 1 მუხლში აღნიშნულ პირთა მასალები ინახება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებში.

18. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებით გასახლებულ პირებს გასახლების ადგილზე მუშაობა ჩაეთვლებათ საერთო შრომის სტაჟში.

იმ შემთხვევაში, თუ გასახლებულ პირს არ გააჩნია სახსრები გასახლების ადგილზე გამგზავრებისა და გზაში კვებისათვის, ამ ხარჯებს გასწევენ მილიციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესებულებები. აღნიშნული ხარჯების ღირებულება დაუკავდება გასახლებულს ხელფასიდან მუშაობის ადგილზე.

19. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე გასახლებულ პირს, მას შემდეგ, რაც იგი მოიხდის გასახლების ვადის ნახევარს, მაინც შეუძლია აღძრას გადაწყვეტილების გამომტანი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა გასახლების ვადის შემდგომი მოხდისაგან ვადამდე განთავისუფლების შესახებ. მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს შეუძლია დააკმაყოფილოს ასეთი შუამდგომლობა, თუ წარდგენილი იქნება დადებითი დახასიათება გასახლების ადგილებში ყოფაქცევისა და შრომითი საქმიანობის შესახებ.

ბოროტმოქმედი ქვეყნებში

ზანგი გავშვებით ვაჭრობა

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტოს კორესპონდენტი ქ. ჯერსი — სიტიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) იუწყება, რომ ნიუ-ჯერსისა და რამდენიმე მეზობელ შტატში „ადმოჩენილია კარგად ორგანიზებული და უაღრესად ხელსაყრელი ვაჭრობა შავკანიანი ბავშვებით“.

იმოწმებს რა გუძონის ოლქის პროკურორის თანაშემწეს, კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში მარტო ქ. ჯერსი-სიტში გაყიდეს დაახლოებით 80 ბავშვი.

იუწყებიან, რომ ბანდა, რომელიც ბავშვებით ვაჭრობდა, მათ ჰყიდდა 3 ათას დოლარად თითოს.

ავიაკამპანია „ერ ფრანსი“ და რემბრანდტი

საფრანგეთის ავიაკამპანია „ერ ფრანსი“ სამართალში იქნა მიცემული, მაგრამ დიდი საჰაერო კატასტროფისათვის კი არა, არამედ ქურდობისათვის, რომელიც მოხდა ინვალიდების მოედნის აეროვოგზლიდან ორლის აეროდრომამდე ბარგის გადატანის დროს.

დაიკარგა ბატონ გალამბერის შავი ტყავის ჩემოდანი, რომელიც დაზღვეული იყო 12 მილიონ ძველ ფრანკად. ჩემოდნის პატრონმა ბატონმა გალამბერმა განაცხადა, რომ მასში იყო მანეს მიერ შესრულებული დებიუსის პორტრეტი, რენუარის ნატურმორტი, რემბრანდტის ავტოპორტრეტი.

პოლიციამ ოპერატიულობა გამოიჩინა და ერთერთ სარდაფში აღმოაჩინა აღნიშნული ჩემოდანი. მაგრამ პატრონმა ვერ მიიღო ვერც დაკარგული სურათები და ვერც სადაზღვევო კომპენსაცია.

გაურკვეველი პროფესიის მქონე ვინმე მიშელ ვალანდონთან, აეროპორტის თანამშრომელ პოლ კიარულისა და სურათებით მოვაჭრე გასტონ როსესთან ერთად საბრალდებო სკამზე დაჯდა ნახატების პატრონიც. თურმე „ქურდობა“ ინსცენირებული იყო იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნულ პირებს მიეღოთ სადაზღვევო თანხა.

მარიგუანიდან ბოროტმოქმედე ბისაკენ

როგორც „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის“ საგენტო იუწყება ვაშინგტონიდან, სენატის სპეციალურმა კომისიამ, სენატს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდა ამერიკელთა დიდი ნაწილი ეტანება ნარკოტიკებს და უაღრესად გარყვნილია.

დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ბანდიტთა ბრბოებში ახალგაზრდობის მონაწილეობას და ნარკოტიკის ფართოდ გავრცელებას შორის პირდაპირი კავშირია. ახალგაზრდებს შორის, რომლებიც მსჯავრდებული არიან ავტომანქანების გატაცებისათვის, ჯიბგირობისათვის, გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულისათვის, დაახლოებით ერთი მესამედი ნარკომანებია.

ქვეკომისიის ცნობით, მარტო ერთი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის დაპატიმრებულია ორი მილიონი ახალგაზრდა ამერიკელი, აქედან 500 ათასი სამართალში იქნა მიცემული მძიმე დანაშაულისათვის.

კანონი არის კანონი

...მაგრამ ყოველთვის შეიძლება მას გვერდი აუარო, გადაწყვიტა ერთმა დანიელმა ყასაბმა. საქმე იმაშია, რომ ძეხვი დანიაში უფრო იაფია, ვიდრე ნორვეგიაში. ნორვეგიელები ცდილობენ დანიიდან წაიღონ ძეხვი, მაგრამ ნორვეგიული საბაჟო წესების მიხედვით მათ აქვთ უფლება უბაჟოდ გაიტანონ მხოლოდ ერთი ცალი დანიური ძეხვი, შეზღუდვა დადგენილია მხოლოდ და მხოლოდ ცალობაზე და არა წონაზე. ეს გაითვალისწინა დანიელმა მეძეხვემ ტაკობ ენსენმა, რომელიც მოსაზღვრე სადგურ აალბორგში საქმიანობს. ნორვეგიელი ტურისტების სასიამოვნოდ, (რასაკვირველია, იგი ზრუნავს თავის შემოსავალზე) მან კარგა ხანია, რაც დაიწყო ხუთმეტრიანი სიგრძის ძეხვების კეთება.

სილის გაწნევის ფასი

პარიზელმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა ბერნარ გევოტმა დაწერა, რომ „პიანინოზე დამკვრელი სტანისლავ ნედელსკი უსწორდება შოპენს“. მსგავს კრიტიკაზე პიანისტმა უპასუხა... სილის გაწნევით, რის გამოც გევოტმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

დაზარალებულმა კრიტიკოსმა კომპენსაცია მოითხოვა სილის გაწნევისათვის ოცი ათასი ახალი ფრანკის რაოდენობით.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ორი ათასი ფრანკიც საკმაოა. ამრიგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საფრანგეთში დადგენილია სილის გაწნევის ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

თბილისში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის

ამას წინათ, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწვია ქალაქის მილიციის მუშაკთა პარტიული აქტივის კრება, რომელსაც დაესწრნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების თანამშრომლები.

ქალაქ თბილისის მილიციის ორგანოების მუშაობის გასული წლის შედეგებისა და 1961 წელს დანაშაულობათა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი **ა. ძრიელიშვილი.**

— გასულ წელს მილიციისა და პროკურატურის მუშაკებმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლა. ბრძოლის ავანგარდში კომუნისტები იყვნენ. **დამახასიათებელია** უ. ბარდაველიძის, ზ. კერესელიძის, ნ. ვარდანაშვილის, გ. ხიდიშელის, ბ. მესხის, ა. კვირკველიას, ო. მჭედლიძის, პ. ხომერიკის, ს. მამულოვის, შ. პოდაროვის, ვ. მირიანაშვილის და სხვათა მუშაობა, რომლებმაც თავიანთი ოპერატიულობითა და სამსახურის ჩინებულად შესრულებით არაერთგზის ისახელეს თავი.

— თუ ჩვენი ქალაქის ქუჩებსა და პროსპექტებზე, მოედნებსა და სანაპიროებზე, — ამბობს მომხსენებელი, — თანდათანობით მყარდება სათანადო საზოგადოებრივი წესრიგი, ამაში თავისი წვლილი შეაქვს არა მარტო მილიციის მუშაკებს, არამედ სახალხო რაზმელებსაც,

ამხ. ა. ძრიელიშვილი აკრიტიკებს ავტომეურნეობათა ხელმძღვანელებს და მიუთითებს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არსებობს ქუჩებში მოძრაობის წესების დაცვისა და მძღოლთა შორის დისციპლინის განმტკიცების საქმეში.

დასასრულს მომხსენებელმა ილაპარაკა მილიციის პირად შემადგენლობას შორის პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ და აღუთქვა აქტივს, რომ მილიციის თბილისის სამმართველო და რაიონულ განყოფილებათა კოლექტივები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები— მინიმუმამდე შეამცირონ დანაშაულობანი.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი.

საქართველოს სსრ პროკურორმა **მ. თოფურიძემ** აღნიშნა, რომ კრება დიდ სარგებლობას მოუტანს საერთო საქმეს. პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის მუშაკებს ერთი ამოცანა აქვთ დაკისრებული და ურთიერთშორის კავშირის განმტკიცება მეტად სასარგებლოა. კარგი იქნება თუ რაიონის პროკურორი, მოსამართლე და მილიციის უფროსი თვეში ერთჯერ მაინც შეიკრიბებიან და განიხილავენ ჩადენილ დანაშაულობათა ხასიათსა და წარმოშობის მიზეზებს, რომ შემდგომში გამოვლინებულ დანაშაულობათა აღკვეთის მიზნით წარიმართოს მუშაობა და მსგავსი დანაშაულობანი აღარ განმეორდეს. ყურადღების ღირსია სახალხო რაზმელების საქმიანობა. აუცილებელია ამ მიმართებით მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.

საინტერესო აზრი გამოთქვა ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსმა **ვ. გობეჯიშვილმა**, რომელმაც წინადადება წამოაყენა, რომ ყველა საწარმოში შეიქმნას მუშა-მოსამსახურეთა გარკვეული ჯგუფები, რომელთაც უფლება ექნებათ შეამოწმონ სახალხო დოვლათის დაცვის მდგომარეობა.

ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ **გ. შეწირულმა** თქვა: — სასამართლოში ხშირად ისეთ პირებზე შემოდიან შუამდგომლობით, რომელთაც მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი. მან დაასახელა ქალაქ თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის მაგალითი, როდესაც ამ ფაბრიკის მუშაკებმა მოითხოვეს ისეთი პირების თავდებქვეშ გადაცემა, რომლებმაც 160 ათასი მანეთის ზარალი მიაყენეს სახელმწიფოს, ამასთან, ამხ. გ. შეწირულმა წინადადება წამოაყენა საჩვენებელი პროცესების მოწყობის შესახებ.

მილიციის სამმართველოს პარტბიუროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდივანმა ამხ. **ქ. გიორგაძემ** გააკრიტიკა იმ რაიგანყოფილებათა უფროსები, რომლებიც იშვიათად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით პირადი შემადგენლობისა და საზოგადოებრიობის წინაშე.

— ქალაქ თბილისის მილიციის პირადი შემადგენლობის უმრავლესობა, — ამბობს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს **უფროსი ამხ. გ. შელია,** — პატიოსნად ასრულებდა და ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, სწორედ ამიტომ იყო, რომ შარშან ასობით ოფიცერმა და მილიციის რიგითმა მუშაკმა სხვადასხვა სახის ჯილდოები და წახალისება დაიმსახურა. შორს წაგვიყვანდა იმ სასარგებლო და კარგი ოპერატიული საქმიანობის ჩამოთვლა, რომელიც თბილისის მილიციის მუშაკებმა შეასრულეს, თუმცა უნდა შევნიშნო, რომ ჩვენ, მილიციის მუშაკები ჯერ კიდევ ვალში ვართ პარტიის, მთავრობისა და ხალხის წინაშე. ქალაქ თბილისში ადგილი ჰქონდა სისხლის **სამართლის ისეთ** დანაშაულობებს, როგორიცაა მკვლელობები, ძარცვები, ქურდობა, ხულიგნობა, გაუპატიურება, სატრანსპორტო შემთხვევების ზრდა ადამიანთა მსხვერპლით და სხვ. ხოლო დანაშაულთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაუხსნელი დარჩა. ეს ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს და გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

დასასრულს ამხ. გ. შელია ლაპარაკობს სახალხო რაზმელების, საზოგადოებრიობის, ამხანაგური სასამართლოების მუშაობის, პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მილიციის ორგანოებისადმი დახმარების გაუმჯობესების ღონისძიებებზე და დაასკვნის, რომ ქალაქ თბილისის სამმართველოსა და მასზე დაქვემდებარებული მილიციის რაიონულ განყოფილებათა მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს მთელი მუშაობა და მიღწეულ იქნას ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრა.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს და სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული განყოფილების გამგე **მ. ვეფხვაძე,** ქალაქის მილიციის სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსი **ი. მუმლაძე,** ლენინის რაიონის მილიციის უბნის რწმუნებული **გ. ხიდიშელი,** მილიციის სტალინის რაიგანყოფილების უფროსი **უ. პაპუაშვილი** და საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის მეორე მდივანი **ნ. ბერიძე.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **გ. გეგეშიძემ,** რომელმაც აქტივის მუშაობა შეაჯამა, ილაპარაკა იმ უდიდეს შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობაზე, რომელმაც მოიცვა მთელი ჩვენი ქვეყანა პარტიის მორიგი XXII ყრილობის შესახვედრად მზადებასთან დაკავშირებით.

— ყრილობის შესახვედრად მზადების დღეები დაემთხვა სასიხარულო მოვლენას — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. დღეს, — ამბობს ამხ. გ. გეგეშიძე, — ყოველი თბილისელი ძალისა და თავისი შესაძლებლობის დაუზოგავად იბრძვის პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული დიდი მიზნების განსახორციელებლად და ყოველი მათგანი მილიციისა და პროკურატურის მუშაკებისაგან სამართლიანად მოითხოვენ სიმშვიდეს, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას.

შეეხო რა იმ სერიოზულ მუშაობას, რომელიც ჩატარებულია დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ამხ. გ. გეგეშიძემ თქვა:

— ქალაქის მილიციის მუშაკებს აქვთ უნარი, ცოდნა და გამოცდილება, რათა დაამყარონ სანიმუშო წესრიგი და ეს უნდა გააკეთონ მათ.—შემდეგ იგი ეხება კადრების საკითხს და აღნიშნავს იმ ყურადღებას და მხარდაჭერას რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და თბილისის კომიტეტი უწევენ თბილისის მილიციას. — თუმცა მილიციის ორგანოებში ჯერ კიდევ არიან ისეთი პირები, — ამბობს ამხ. გ. გეგეშიძე,—რომლებიც ნდობით ვერ სარგებლობენ და ვერ პასუხობენ მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. კადრებს უნდა დავეხმაროთ, უნდა აღვზარდოთ და გავუფრთხილდეთ მათ, მაგრამ საჭირო არ არის ხშირად ისე გადავაადგილოთ მუშაკები ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე, როგორც საჭადრაკო ფიგურები. ამას კარგი შედეგი არ მოაქვს მუშაობაში.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. გ. გეგეშიძე რწმენას გამოთქვამს, რომ თბილისის მილიციის მუშაკები გაამართლებენ ნდობას და წარმატებით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს.

აქტივის კრებამ განხილულ საკითხზე დასახა სათანადო ღონისძიება.

პ. სახეჩიძე,
გაზეთ „საბჭოთა მილიციელის“ რედაქტორის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პროფესორ ალ. ვაჩეიშვილის წიგნის „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანის“ განხილვა

პროფესორ ალ. ვაჩეიშვილის წიგნმა „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“, რომელიც გასული წლის მიწურულში გამოქვეყნდა, მკითხველთა დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი სამართალმცოდნეობის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას — სასჯელს ეხება. შრომაში განხილულია საბჭოთა და ბურჟუაზიული თეორიები სასჯელის შესახებ.

ამასწინათ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ მოაწყო ამ წიგნის განხილვა.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მეცნიერმუშაკებმა, სტუდენტებმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოსა და პროკურატურის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომლებმა და სხვ.

მოხსენებით გამოვიდა დოცენტი ბ. ფურცხვანიძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შრომა წარმოადგენს ერთერთ სერიოზულ ნაშრომს სასჯელის შესახებ, ავტორი კეთილსინდისიერად აშუქებს სასჯელის შესახებ წამოჭრილ პრობლემებს, კრიტიკულად განიხილავს წარსული დროისა და თანამედროვე მოაზროვნეებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით იურისპრუდენციის განვითარების საქმეში.

წიგნის ღირსებასთან ერთად ბ. ფურცხვანიძემ გამოთქვა შენიშვნებიც. კერძოდ, აღნიშნული იქნა, რომ შრომაში მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა შეხედულებებს. თეორიები და შეხედულებები საბჭოთა სისხლის სამართლის შესახებ მეექვსე თავშია განხილული, იმის ნაცვლად, რომ წინა რიგში ყოფილიყო წამოწეული. ბურჟუაზიული სკოლებისა და მიმდინარეობათა მიმოხილვა საკმარისი იქნებოდა თუნდაც წიგნის ვრცელ შესავალში. შემდეგ ბ. ფურცხვანიძემ აღნიშნა, რომ წიგნში სხვადასხვა ადგილებზე გვხვდება ავტორთა ერთი და იმავე აზრის განმეორებები, ნაშრომი გადატვირთულია უცხოური ტერმინებით ისე რომ არაა განმარტებული შესატყვისი ქართული გამოთქმებით.

მოხსენებისა და შრომის ირგვლივ გაიმართა კამათი. სიტყვით გამოსულმა ყველა ამხანაგმა ალ. ვაჩეიშვილის შრომა დაახასიათა როგორც სერიოზული მოვლენა, ამასთან ერთად მათ გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები.

დოც. ბ. ხარაზიშვილი დაეთანხმა მომხსენებელს, რომ საბჭოთა იურიდიული მეცნიერება ბურჟუაზიულ თეორიებთან შედარებით მკრთალად არის გადმოცემული, შრომაში ადგილი აქვს განმეორებებს ზოგიერთი თეორიებისა და სკოლების განხილვისას. ბ. ხარაზიშვილის აზრით ავტორი არაა სწორი, როდესაც იგი თავის შრომაში ლოკის, ფოიერბახის და სხვა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა ფორმულებს აკრიტიკებს.

ჯ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ პროფ. ალ. ვაჩეიშვილის შრომა სასჯელის შესახებ პირველი ცდაა ქართულ ენაზე. მისი აზრით შრომაში მოცემულია „სასჯელის“ თეორიული ფუნდამენტი, წიგნის ღირსება მოიმატებდა თუ კერძო შემთხვევებსაც ექნებოდა ადგილი.

დ. ცინცაძემ თქვა, რომ იურიდიული სკოლების შესახებ ნაწერები გამოქვეყნებულია ან გასულ საუკუნეში ანდა უცხო ენებზე და ამიტომ დღემდე ძნელად ხელმისაწვდომი იყო. პროფ. ალ. ვაჩეიშვილის შრომით ეს ხარვეზი გამოსწორებულია. წიგნში სრულყოფილად არის განხილული რევოლუციამდელი რუსი მოაზროვნეებისა და საბჭოთა ეპოქის იურისტ მეცნიერთა შეხედულებანი. შრომაში, განსაკუთრებით მის ვრცელ შესავალში, უხვად არის გამოყენებული მარქსისტულ-ლენინური შეხედულებანი სამართლის შესახებ. ამასთან, მან შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ სასჯელისა და

ბოროტყოფილი ქვეყნებში

ზანგი ბავშვებით ვაჭრობა

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს კორესპონდენტი ქ. ჯერსი — სიტიდან (ნიუ-ჯერსის შტატი) იუწყება, რომ ნიუ-ჯერსისა და რამდენიმე მეზობელ შტატში „აღმოჩენილია კარგად ორგანიზებული და უაღრესად ხელსაყრელი ვაჭრობა შავკანიანი ბავშვებით“.

იმოწმებს რა გუძონის ოლქის პროკურორის თანაშემწეს, კორესპონდენტი იუწყება, რომ უკანასკნელ ოთხ წელიწადში მარტო ქ. ჯერსი-სიტში გაყიდეს დაახლოებით 80 ბავშვი.

იუწყებიან, რომ ბანდა, რომელიც ბავშვებით ვაჭრობდა, მათ ჰყიდდა 3 ათას დოლარად თითოს.

ავიაკამპანია „ერ ფრანსი“ და რემბრანდტი

საფრანგეთის ავიაკამპანია „ერ ფრანსი“ სამართალში იქნა მიცემული, მაგრამ დიდი საჰაერო კატასტროფისათვის კი არა, არამედ ქურდობისათვის, რომელიც მოხდა ინვალიდების მოედნის აეროვოგზლიდან ორლის აეროდრომამდე ბარგის გადატანის დროს.

დაიკარგა ბატონ გალამბერის შავი ტყავის ჩემოდანი, რომელიც დაზღვეული იყო 12 მილიონ ძველ ფრანკად. ჩემოდნის პატრონმა ბატონმა გალამბერმა განაცხადა, რომ მასში იყო მანეს მიერ შესრულებული დებიუსის პორტრეტი, რენუარის ნატურმორტი, რემბრანდტის ავტოპორტრეტი.

პოლიციამ ოპერატიულობა გამოიჩინა და ერთერთ სარდაფში აღმოაჩინა აღნიშნული ჩემოდანი. მაგრამ პატრონმა ვერ მიიღო ვერც დაკარგული სურათები და ვერც სადაზღვევო კომპენსაცია.

გაურკვეველი პროფესიის მქონე ვინმე მიშელ ვალანდონთან, აეროპორტის თანამშრომელ პოლ კიარულისა და სურათებით მოვაჭრე გასტონ როსესთან ერთად საბრალდებო სკამზე დაჯდა ნახატების პატრონიც. თურმე „ქურდობა“ ინსცენირებული იყო იმ მიზნით, რომ ზემოაღნიშნულ პირებს მიეღოთ სადაზღვევო თანხა.

მარიგუანიდან ბოროტმოქმედ ბისაკენ

როგორც „იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის“ სააგენტო იუწყება ვაშინგტონიდან, სენატის სპეციალურმა კომისიამ, სენატს წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ახალგაზრდა ამერიკელთა დიდი ნაწილი ეტანება ნარკოტიკებს და უაღრესად გარყვნილია.

დოკუმენტურად დამტკიცებულია, რომ ბანდიტთა ბრბოებში ახალგაზრდობის მონაწილეობას და ნარკოტიკის ფართოდ გავრცელებას შორის პირდაპირი კავშირია. ახალგაზრდებს შორის, რომლებიც მსჯავრდებული არიან ავტომანქანების გატაცებისათვის, ჯიბგირობისათვის, გაუპატიურებისა და სხვა დანაშაულისათვის, დაახლოებით ერთი მესამედი ნარკომანებია.

ქვეკომისიის ცნობით, მარტო ერთი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის დაპატიმრებულია ორი მილიონი ახალგაზრდა ამერიკელი, აქედან 500 ათასი სამართალში იქნა მიცემული მძიმე დანაშაულისათვის.

კანონი არის კანონი

...მაგრამ ყოველთვის შეიძლება მას გვერდი აუარო, გადაწყვიტა ერთმა დანიელმა ყასაბმა. საქმე იმაშია, რომ ძეხვი დანიაში უფრო იაფია, ვიდრე ნორვეგიაში. ნორვეგიელები ცდილობენ დანიიდან წაიღონ ძეხვი, მაგრამ ნორვეგიული საბაჟო წესების მიხედვით მათ აქვთ უფლება უბაჟოდ გაიტანონ მხოლოდ ერთი ცალი დანიური ძეხვი, შეზღუდვა დადგენილია მხოლოდ და მხოლოდ ცალობაზე და არა წონაზე. ეს გაითვალისწინა დანიელმა მეძეხვემ ტაკობ ენსენმა, რომელიც მოსაზღვრე სადგურ აალბორგში საქმიანობს. ნორვეგიელი ტურისტების სასიამოვნოდ, (რასაკვირველია, იგი ზრუნავს თავის შემოსავალზე) მან კარგა ხანია, რაც დაიწყო ხუთმეტრიანი სიგრძის ძეხვების კეთება.

სილის გაწნევის ფასი

პარიზელმა მუსიკალურმა კრიტიკოსმა ბერნარ გევოტმა დაწერა, რომ „პიანინოზე დამკვრელი სტანისლავ ნედელსკი უსწორდება შოპენს“. მსგავს კრიტიკაზე პიანისტმა უპასუხა... სილის გაწნევით, რის გამოც გევოტმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

დაზარალებულმა კრიტიკოსმა კომპენსაცია მოითხოვა სილის გაწნევისათვის ოცი ათასი ახალი ფრანკის რაოდენობით.

სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ორი ათასი ფრანკიც საკმაოა. ამრიგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ საფრანგეთში დადგენილია სილის გაწნევის ფასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანაშაულის ურითერთ დამოკიდებულებას მცირე ადგილი (მხოლოდ 12 გვერდი) აქვს დათმობილი. თავი „ბურჟუაზიული თეორიები სასჯელის შესახებ“ საჭიროდ ცნო შეცვლილიყო სათაურით „ბურჟუაზიული თეორიები და მათი კრიტიკა“, რადგან დ. ცინცაძის აზრით ამ თავში არა მარტო ამ თეორიების გადმოცემაა, არამედ მოცემულია მათი კრიტიკული განხილვაც მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა პროფესორმა ალ. ვაჩეიშვილმა აღუთქვა სხდომის მონაწილეებს, რომ რიგ გამოთქმულ შენიშვნებს აუცილებლად გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

სხდომის დასასრულს სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი გ. ინწკირველი. მან წიგნი დაახასიათა როგორც სერიოზული შენაძენი, ამასთან დაეთანხმა გამოსული ამხანაგების ზოგიერთ შენიშვნას.

შ. ესიტაშვილი.

* * *

ავტორი და მკითხველები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო სისტემატურად აწყობს მეცნიერ-იურისტთა მიერ ახალგამოცემული შრომებისა და წიგნების საჯარო განხილვას.

ერთი ასეთი საჯარო განხილვა მიეძღვნა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის ახლახან გამოსულ წიგნს „დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ (საბჭოთა სისხლის სამართლის მიხედვით).

მოხსენებით გამოვიდა დოცენტი ბ. ხარაზიშვილი.

— ბ. ფურცხვანიძის წიგნი „დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ“ უაღრესად აქტუალური თემისადმია მიძღვნილი. ჩვენს ქვეყანაში ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობის ხელუხლებლობა მთელი საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, ადამიანის პიროვნება, მისი სიცოცხლე და ხელუხლებლობა მტკიცედაა დაცული საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

—ავტორის მიზანი, — განაგრძობს ორატორი, — დაადგინოს ის პირობები, რომელთა არსებობისას საქმე გვექნება პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ უმძიმეს დანაშაულთან სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ, და მასში ბრალეული პირისათვის სისხლის სამართლის მოქმედი სათანადო ნორმის შეფარდება — მიღწეულია. ბ. ფურცხვანიძის ამ ნაშრომს წითელ ზოლად გასდევს, რომ აღნიშნული პირობების დადგენა ძირითადად შესაძლებელია მიღწეულ იქნეს დანაშაულის შედგენილობის აუცილებელი ელემენტების სწორი იურიდიული ანალიზის საფუძველზე, რაც იმის საფუძველია, რომ არ იქნეს დაშვებული შეცდომა ქმედობის დაკვალიფიცირების საქმეში.

— ბ. ფურცხვანიძე თავის წიგნში ვრცლად და საინტერესოდ განიხილავს პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის ორ მთავარ და მძიმე სახეს, სახელდობრ — დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ.

— წიგნის ღირსება აგრეთვე იმაში მდგომარეობს, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ ავტორი სრულყოფილად განიხილავს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საკითხებს სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების კანონმდებლობაში.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა იმ უზუსტობაზე, რაც დაშვებულია ბ. ფურცხვანიძის წიგნის 48-ე და 87-ე გვერდებზე და ამის ირგვლივ გამოთქვა შენიშვნები.

— ბ. ფურცხვანიძეს მეტად კეთილშობილი და საპატიო საქმე განუზრახავს, — ამბობს სიტყვით გამოსული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის კონსულტატი მ. იაკობაშვილი, — შეექმნა ნაშრომი, სადაც ნაჩვენები იქნებოდა თუ როგორი ყურადღებითა და მზრუნველობით ეკიდებიან ჩვენს ქვეყანაში ადამიანის პიროვნებას; ამ მხრივ ავტორის მიზანი მიღწეულია. შემდეგ მ. იაკობაშვილი ვრცლად შეჩერდა და კარგი შეფასება მისცა საკითხს, რომელიც ბ. ფურცხვანიძეს აქვს განხილული თავის წიგნში „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე“.

იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ დოცენტმა გ. ინწკირველმა ბ. ფურცხვანიძის აღნიშნულ ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა. — ქართულ იურიდიულ ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერატურას, — ამბობს გ. ინწკირველი, — ბ. ფურცხვანიძის წიგნის სახით მნიშვნელოვანი ნაშრომი შეეძინა. ავტორს მთელი გულისყურითა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით უმუშავნია. შედეგიც კარგია. წიგნი ბაზარზე გამოსვლისთანავე გაიყიდა. ბ. ფურცხვანიძის წიგნი ნიადაგ სახმარი იქნება, როგორც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ასევე ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული ფრონტის მუშაკებისათვის.

დასარულ სიტყვით გამოვიდა წიგნის ავტორი ბ. ფურცხვანიძე, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას აღუთქვა, რომ გამოთქმულ შენიშვნებს გაითვალიწინებს წიგნის ხელმეორედ გამოცემისას.

ზ. მ.

საბჭოთა კანონების პროპაგანდის ახალი ფორმები

კითხვა-პასუხის საღამო რუსთავში

საბჭოთა კანონების დარღვევისა და დამნაშავეობის გამოვლინების წინასწარ აღკვეთას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. არასწორ გზაზე დამდგარი ადამიანის დროულად გამოსწორება, საზოგადოების, ცალკეულ მოქალაქეთა დაცვა ზიანისაგან, რომელიც შეიძლება მათ მიაყენოს ამა თუ იმ დანაშაულმა — ამჟამად არის პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოთა მუშაკების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

პროკურატურის, მილიციისა და სასამართლოს ბევრ მუშაკს სწორად ესმის ეს ამოცანა: ყოველმხრივ აძლიერებს თავის საქმიან ურთიერთობას სახალხო რაზმელებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, საწარმოო კოლექტივებთან, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მოწინავე ნაწილთან, მარჯვედ და დროულად იღებს საჭირო ზომებს დამნაშავეობის აღკვეთის მიზნით.

ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კანონების პროპაგანდას მშრომელებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მრავალნაირი ფორმების გამოყენებით. წარმოიშვა კანონების პროპაგანდის ერთ-**ერთი ისეთი კარგი ფორმა,** როგორიცა კითხვა-პასუხების საღამოთა ჩატარება, სადაც პროკურორები გამოდიან მოხსენებებით, საუბრებით, განმარტავენ საბჭოთა საკანონმდებლო აქტებს.

ამ ცოტა ხნის წინათ ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტებისა და დირექციის ორგანოს — გაზეთ „მეტალურგის“ 1961 წლის 28 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა განცხადება: „3 აპრილს, საღამოს 7 საათზე, მეტალურგთა კულტურის სასახლეში შედგება კითხვა-პასუხის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკები. მშრომელებმა შეკითხვები მათთვის საინტერესო საკითხებზე უნდა შეიტანონ წერილობით საამქროების პროფკავშირის კომიტეტებში 30 მარტამდე“.

გარდა ამისა, ქარხნის საამქროებში გამოკრულ იქნა განცხადებანი ამ საღამოს ჩატარების შესახებ. ამ ღონისძიების ჩატარების გაადვილების მიზნით განცხადებების გვერდით ჩამოკიდებულ იქნა სპეციალური ყუთები შეკითხვების შესაგროვებლად. რუსთავის მეტალურგებისაგან მიღებული შეკითხვები ჩაბარდა რესპუბლიკის პროკურატურას, აქ ეს საკითხები წინასწარ შეისწავლეს და მოამზადეს კონკრეტული პასუხები. საღამოს ჩატარების დღეს კვლავ გახსნილი იქნა ყუთები, სადაც აღმოჩნდა ბევრი შეკითხვები.

საღამოს 7 საათზე მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეიკრიბნენ მუშები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ამხანაგურ სასამართლოთა თავმჯდომარეები, პროფკავშირული და პარტიული მუშაკები. კრებას დაესწრნენ მშრომელები ქალაქის სხვა საწარმოებიდანაც. კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კპ რუსთავის ქალაქკომის პირველი მდივანი შ. თითბერიძე, ქარხნის პარტკომის მდივანი გ. ჟამიერაშვილი, ქარხკომის თავმჯდომარე ა. სურგულაძე, ქარხნის დირექტორის მოადგილე ი. კოგდანი, საქართველოს სსრ პროკურორი მ. თოფურიძე, პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ზ. ბასიშვილი, სამოქალაქო-სასამართო განყოფილების პროკურორი გ. ცირამუა, ქალ. რუსთავის პროკურორი მ. გიორგობიანი და სხვები.

გახსნა რა საღამო ამხ. გ. ჟამიერაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვა: საქართველოს სსრ პროკურატურის მუშაკების ჩამოსვლა რუსთავში კითხვა-პასუხის საღამოს ჩასატარებლად კარგი წამოწყებაა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს შეხვედრა კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ჩვენს საერთო საქმეს — დამნაშავეობასთან ბრძოლას, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

საღამოზე ინტერესით მოისმინეს რესპუბლიკის პროკურორის მ. თოფურიძის გამოსვლა, რომელმაც განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დანაშაულებრივ გამოვლინებებთან ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობაზე.

სოციალისტურ საზოგადოებაში შექმნილია ყველა ობიექტური პირობა და შესაძლებლობა დამნაშავეობის სავსებით აღმოფხვრისათვის,— თქვა მომხსენებელმა, — სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან წარმატებით ბრძოლის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დროულად და სრულად იქნას გახსნილი დანაშაულობანი, დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ დარჩეს გაუხსნელი.

შემდეგ ამხ. მ. თოფურიძემ აღნიშნა, რომ 1960 წლის განმავლობაში რუსთავში გაუხსნელი იყო „რუსთავვაჭრობის“ მაღაზიებში ჩადენილი 6 ქურდობა დაახლოებით 100 ათასი მანეთის თანხით (ძველი ფულით), ბინის 2 ქურდობა, ავტომანქანების რამდენიმე დაჯახება მოქალაქეებზე, აგრეთვე დანით დაჭრის მთელი რიგი შემთხვევები. ჯერ კიდევ გაუხსნელია ქალაქმრეწვკომბინატის ავეჯეულობის მაღაზიის დარაჯის კ. ლიპკინის მკვლელობა, რომელიც ჩადენილია 1961 წლის 6-7 იანვარს ღამით. ჯერ კიდევ სუსტადაა დაყენებული ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ. შემთხვევითი როდია, რომ განსაკუთრებით საშიშ დანაშაულთა 80 პროცენტი ჩადენილია სიმთვრალის დროს. რაზმელები თუმცა მორიგეობენ, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ ქალაქის ცენტრში, განაპირა უბნებსა და ქუჩა-ბანდებში ისინი იშვიათად დადიან. საჭიროა ჯერვანი ყურადღება მიექცეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას ამ ადგილებში.

ამხ. მ. თოფურიძემ მოიყვანა სოციალისტური საკუთრების დატაცების, მოტყუების და ანგარებითი ხასიათის სხვა დანაშაულის ფაქტები, გააცნო მშრომელებს, თუ როგორ მიმდინარეობს ბრძოლა ასეთი დანაშაულის წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სისხლის სამართლის დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტერესები მოითხოვენ ბოლო მოეღოს დანაშაულთა აღმოფხვრისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. საჭიროა მთელი საზოგადოებრიობის ქმედითი, შეურიგებელი და გადამწყვეტი ბრძოლა დამნაშავეობასთან.

ამხ. მ. თოფურიძემ პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესახებ.

დასასრულს ამხ. მ. თოფურიძემ აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საქმიანობა გამსჭვალულია ზრუნვით ადამიანებზე და ჩვენ, პროკურორებს, გვევალება დავიცვათ მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები ყოველგვარი ხელყოფისაგან.

პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჟამიერაშვილმა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაკთა სახელით მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პროკურატურას საღამოს მოწყობისათვის.

მ. მირზოევი,

საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების პროკურორი.

* * *

საუბრები, ლექციები მშრომელებისათვის

ქართველი ხალხი ემზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის აღნიშვნისათვის. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად ენერგიულად იბრძვიან ზესტაფონის რაიონის მშრომელებიც. გასულ სამეურნეო წელს გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ზესტაფონელებმა. დიდი მიღწევები აქვთ მოპოვებული მრეწველობის, ტრანსპორტის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებს.

რაიონის საერთო წარმატების ფონზე სამარცხვინო ლაქად ჩანს ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი უღირსი წევრის ამორალური გამოხდომები. არავისთვის არაა უცხო, რომ საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში — ქუჩებში, მოედნებზე, კინო-თეატრში, კულტურის სახლში, რკინიგზელთა და მეტალურგთა კლუბებში, რესტორნებში და სხვ. თითქმის ყოველდღიურად, ზოგჯერ დღეში რამდენჯერმეც კი ხდება სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კომბინირებული“ მეთოდით უნდა ხორციელდებოდეს. ოჯახი, სკოლა, მშობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, წარმოება-დაწესებულებების აქტივი უფრო მჭიდრო ურთიერთობაში უნდა იყვნენ და საერთო მიზნისათვის წარმართონ ერთობლივი მოქმედების მახვილი.

საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომმა თავის ბიუროზე მსჯელობის საგნად გახადა რაიონში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხები. აზრი გამოთქვეს პარტიულმა, საბჭოთა, პროკურატურის, მილიციის, სასამართლოს მუშაკებმა, სკოლის დირექტორებმა, დამსახურებულმა მასწავლებლებმა და სხვა. ვისაც აღელვებთ ჩვენი ახალგაზრდობის აწმყო და მომავალი. საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის გადაწყვეტილებით პარტიული აქტივის ძალებით რეგულარულად, წინასწარშედგენილი გრაფიკით იკითხება ლექცია-მოხსენებები აქტუალურ საკითხებზე, კინო-თეატრში, კლუბებში, კულტურის სახლში სპექტაკლების, კონცერტებისა და კინო-სეანსების დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, უკვე მოგვცა პირველი დადებითი შედეგები.

წესრიგის დამრღვევის საამკარაოზე გამოტანა, საზოგადოების წინაშე დამნაშავის შერცხვენა, მათთვის სწორი გზის ჩვენება, აი, რას ითვალისწინებს ზესტაფონის რაიონის პარტიული აქტივის წევრთა ყოველი გამოსვლა.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრიობის ფართო ნაწილის დახმარებით, უშუალო მონაწილეობითა და ზემოქმედებით უახლოეს ხანში დამყარდეს მტკიცე, სტაბილური საზოგადოებრივი წესრიგი.

ა. ფოცხვერაშვილი

* * *

საინტერესო ლექცია

ამ დღეებში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ფარქოსაძემ, საღამოზე, რომელიც მოეწყო გორცის სახელობის კულტურისა და დასვენების სახლში, წაიკითხა ლექცია ახალი კოდექსების შესახებ.

ამხ. ვ. ფარქოსაძე დაწვრილებით შეჩერდა იმ პირობებზე, რომლებმაც განაპირობა ახალი კოდექსების შემუშავება. აღნიშნა, რომ, მიუხედავად სოციალისტური სახელმწიფოს მძლავრი წინსვლისა, ჩვენში ჯერ კიდევ არიან უქნარა ელემენტები, რომლებიც ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არღვევენ საბჭოთა კანონიერებას, ჩადიან დანაშაულს, ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

ლექტორმა ხაზი გაუსვა საზოგადოებრიობის დიდ მნიშვნელობას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუთითა, რომ ახალ კოდექსში სპეციალური მუხლებია გათვალისწინებული დანაშაულობასთან მთელი საზოგადოებრიობის ბრძოლის აუცილებლობის შესახებ, ილაპარაკა იმ ფორმებზე, რითაც ხორციელდება ამ საქმიანობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კოდექსების შემუშავების დროს დიდი ყურადღება მიექცა საბჭოთა სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მრავალწლიანი ნაყოფიერი მუშაობის დადებით პრაქტიკას და გამოცდილებას.

ვ. ფარქოსაძემ ახალი კოდექსები დაახასიათა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა ქართულ საკანონმდებლო ცხოვრებაში, რომელიც უფრო ეფექტიურად იბრძოლებს სოციალისტური მართლწესრიგის დარღვევების, ახალი ანტისაზოგადოებრივი ელემენტების საშიშ გამოხდომების წინააღმდეგ.

ლექცია დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი. ლექტორმა ამომწურავი პასუხი გასცა შემოსულ მრავალ შეკითხვას.

შეხვედრა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძესთან

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თანამშრომლებმა შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს პოეტ ირაკლი აბაშიძეს, რომელიც დამსწრეთ ესაუბრა ქართველ მეცნიერთა დელეგაციის მოგზაურობის შესახებ პალესტინაში.

— ქართველ მეცნიერთა დელეგაციაში, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს ირაკლი აბაშიძე, — ჩემთან ერთად შედიოდნენ გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მეცნიერები, აკადემიკოსები აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი. იერუსალიმში ჩვენი ყოფნის პერიოდი მთლიანად მივუძღვენით ჯვრის მონასტრის შესწავლას, რომელიც მიჩნეულია იმ ადგილად, სადაც შოთა რუსთველი მისულა, გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ. ჩვენ გულდასმით გამოვიკვლიეთ და შევისწავლეთ ჯვრის მონასტრის შენობა და სენაკები, გადავიღეთ ძველი ფრესკების გამოსახულებანი, რომლებიც რაღაც სასწაულით ჯერ კიდევ შემორჩენილან და დაფარულნი არიან ახალი საღებავებით. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა სვეტმა, რომელზედაც გადმოცემით უნდა ყოფილიყო დახატული შოთა რუსთველის პორტრეტი და სვეტის ძირში კი შოთა რუსთველის საფლავი. როდესაც სპეციალური ქიმიური საშუალებებით სვეტს მოვაცილეთ საღებავები, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის ორ ზეაღმართულ ფიგურას შორის გამოჩნდა რუსთაველის დიდებული პორტრეტი, დაჩოქილ და ხელებაპყრობილ მდგომარეობაში წარწერით „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან ამინ რუსთველი“.

— ქართველ მოღვაწეთა მოგზაურობამ პალესტინაში, რომლის შედეგად გამოვლინებულ იქნა შოთა რუსთველის პორტრეტი დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. რუსთველოლოგიაში გადაიშალა ახალი, საინტერესო ფურცელი. ეს ფურცელი კიდევ შეივსება ახალი საინტერესო ცნობებით, ჩვენი ერის პოეტური გენიის მარგალიტ შოთა რუსთველის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომიძემ მადლობა გადაუხადა ირაკლი აბაშიძეს საინტერესო და შინაარსიანი საუბრის ჩატარებისათვის.

ზ. ჟუთათელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა და ბიბლიოგრაფია

საუკრადღებო წიგნი ქართული სამართლის ისტორიიდან[1]

შრომა წარმოადგენს აქამდე სრულიად შეუსწავლელი 11 ხელნაწერი კანონპროექტის მოკლე მიმოხილვას.

სარეცენზიო ნაშრომში მკვეთრად არის წარმოსახული ძეგლის განსაკუთრებით საყურადღებო მხარე — კრიტიკული დამოკიდებულება გვიანფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისადმი. კანონპროექტების შესავალ ნაწილებში პირუთვნელად მხილებულია ადმინისტრაციისა და მართლმსაჯულების დაქსაქსულობა და მრავალი სხვა ნაკლი, სასულიერო პირთა ანგარება, ვაჭრობის მოუწესრიგებლობა, სამეურნეო ცხოვრების წინსვლისათვის აუცილებელი პირობების უქონლობა, საოჯახო და საერთო ქონებრივ ურთიერთობათა ჩამორჩენილობა და სხვ.

როგორც ძეგლში ასახულ სამართლებრივ სინამდვილეს, ისე გასატარებელ რეფორმებსა და ღონისძიებებს ნაშრომის ავტორი იხილავს იმ დროის მოქმედ სამართალთან და სხვა კანონპროექტებთან დაპირისპირებით, აგრეთვე რუსულ ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სხვა სამართალთან დაკავშირებით, რამდენადაც ეს სამართალი კანონპროექტების ავტორს რიგ შემთხვევაში ამოსავალ წყაროდ ემსახურება.

სარეცენზიო შრომიდან ჩანს, რომ „ჰსჯულვილება“ ქართული სამართლის ისტორიის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია. მასში უხვად მოიპოვება მასალა საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხის გასაშუქებლად, მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა ის ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ძეგლში არის საინტერესო მასალა მოსახლეობის აღწერის შესახებ, თვით იმ პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედვას ასეთ აღწერას.

ამასთანავე, ძეგლში ფრიად საყურადღებო ცნობებია შემონახული საქალაქო ცხოვრების შესახებ საქართველოში. ფეოდალური ქალაქების შესახებ ცნობები მცირე რაოდენობით არის შემონახული და ჩვენთვის ამჟამად საინტერესო ძეგლი ამ ხარვეზს რამდენადმე ავსებს.

მართალია, „ჰსჯულვილება“ პროექტებს წარმოადგენს, მაგრამ ამ ძეგლის საშუალებით შესაძლებელია მოქმედი სამართლის შესწავლაც. ამასთანავე ძეგლი საუკეთესო წყაროს წარმოადგენს იმის გასარკვევად, თუ განვითარების როგორ გზას ადგა ქართული პოლიტიკური და იურიდიული აზროვნება XVIII საუკუნის II ნახევარში. XVIII საუკუნის მიწურულში სამართლის მრავალი პროექტი შეიქმნა. ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ საქართველოს მაშინდელი მესვეურების აზრით ფეოდალურ საქართველოს ძველი გზით სვლა არ შეეძლო, რომ საჭირო იყო კარდინალური ცვლილებები საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. საკვლევი ძეგლი განსაკუთრებით იმ მხრივაც იქცევს ყურადღებას, რომ მასში ასახულია ახალი მიმართულება, ახალი გეზი.

ასეთი შესანიშნავი ძეგლი ყურადღების გარეშე იყო დღემდე. აკად. ივ. ჯავახიშვილს მოკლეთ აქვს მოცემული ამ ძეგლის ხელნაწერის აღწერა და მას დავით ბაგრატიონისეულად თვლის. სარეცენზიო შრომის ავტორის აზრით, ძეგლი არ არის შედგენილი დავითის მიერ, ის უნდა ეკუთვნოდეს ვაჭართა ფენის წარმომადგენელს, „მოქალაქეთაგანს“ (გვ. 17). ძეგლი შედგენილი უნდა იყოს XVIII საუკუნის ბოლოს.

ავტორი ასაბუთებს, რომ ფეოდალურმა სამართლის წიგნებმა არ იცის დარგობრივი დაყოფა, რომ „ჰსჯულვილება“ სათაურის მიხედვით თითქოს სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს უნდა შეიცავდეს, სინამდვილეში კი ის სამართლის მრავალ დარგს ეხება (გვ. 13-22).

სარეცენზიო შრომის ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ „ჰსჯულვილება“ განსაკუთრებული ზრუნვის საგნად ხდის „სამოქალაქო ბრუნვის“ მოწესრიგებას: „ჰსჯულვილების“ ავტორი ერთობ შეშფოთებულია იმით, რომ ქალაქის მოხელეებმა არ იციან თავიანთი მოვალეობა, ისინი

[1] დ. ფურცელაძე „სამოქალაქოს ჰსჯულვილება XVIII საუკუნის მიწურულის კანონპროექტთა კრებული“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა, 1960, 103 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთის ფუნქციებში ერევიან, შური და მტრობა აქვთ ურთიერთთან და სხვა. ამიტომ „ჰსჯულვილების“ ავტორი საჭიროდ სცნობს მტკიცედ შემუშავებული დებულების მიხედვით საქალაქო ცხოვრების მოწესრიგებას (გვ. 24). „ჰსჯულვილების“ ავტორი ჩივის, რომ ასეთივე უწესრიგობა გამეფებულია სოფლის მართვა-გამგეობაში (გვ. 25). ამის გამო საჭიროდ მიაჩნია ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციის გარდაქმნა.

ავტორი, საკვლევი ძეგლის მიხედვით, დაწვრილებით ჩერდება სამემკვიდრო ქონების დაცვის საკითხზე მემკვიდრეების მცირეწლოვანების დროს, აგრეთვე შვილების პასუხისმგებლობის საკითხზე მშობლების ვალისათვის და არკვევს ამის შესახებ „ჰსჯულვილების“ შემდგენის შეხედულებას (გვ. 29).

დ. ფურცელაძე მართებულად შენიშნავს, რომ „ჰსჯულვილება“ საჭიროდ სცნობს საეკლესიო საქმეებში აქტიურად ჩარევას ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების სასარგებლოდ (გვ. 100-102).

სარეცენზიო შრომის ავტორს, გვიანფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით შესწავლილი აქვს სასამართლო ორგანიზაცია და „ჰსჯულვილების“ ანალიზის შედეგად აყენებს მეტად საყურადღებო საკითხებს.

პირველ ყოვლისა, გლეხებს „ჰსჯულვილების“ მიხედვით უფლება ჰქონიათ საქმის გასარჩევად მიემართათ მდივანბეგებისათვის თბილისში. მდივანბეგები ვალდებული იყვნენ გაერჩიათ დაინტერესებული პირის საქმე, რისთვისაც ისინი გამოიძახებდნენ სასამართლოში მეორე მხარეს.

ამასთანავე. ძეგლის მიხედვით მდივანბეგები „თავ-თავისთვის, თავიანთ სახლებში“ არჩევდნენ საქმეებს და „ჰსჯულვილების“ შემდგენი მოითხოვს ამის ამოკვეთას (გვ. 25). ძეგლში მდივანბეგების დაწესებულება „მდივანხანად“ არის წოდებული.

გამოკვლევის ავტორი სავსებით მართებულად აღნიშნავს, რომ „დივანხანა“ ერეკლე 11-ის მიერ შემოღებულ „მსაჯულთ შეკრებულობა“ უნდა იყოსო (გვ. 26). ამასთანავე, დ. ფურცელაძე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მდივანბეგი სასამართლო საქმეებს „თავ-თავისთვის, თავიანთ სახლებში“ არჩევდნენ; ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით კი სასამართლო ფეოდალურ საქართველოში კოლეგიალური იყო (გვ. 26).

ამასთანავე, „ჰსჯულვილებაში“ მდივანბეგების მიერ საქმეების „თავ-თავისთვის, თავიანთ სახლებში“ გარჩევა იმგვარ კონტექსტშია მოცემული, რომ ძეგლის შემდგენელს ასეთი გარჩევა კანონის საწინააღმდეგოდ მიაჩნია. მიუხედავად ამისა, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ძეგლი ადასტურებს, რომ ასეთ გარჩევას ადგილი ჰქონია. ასეთ შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, რომ მდივანბეგს საქმე კოლეგიალურად გაერჩია. ძეგლის გამოთქმაც — „თავ-თავისთვის“, „თავიანთ სახლებში“ უნდა ჰგულიმსხმობდეს მდივანბეგის მიერ საქმეების ერთპიროვნულად გარჩევას.

თუ ეს ასეა, მაშინ გამოსარკვევია, თუ რა საქმეები ექვემდებარება მდივანბეგის ერთპიროვნულ გარჩევას. ალბათ, ეს საერთოდ წვრილი საქმეები იყო.

ყველა თქმულის შემდეგ, მდივანბეგის ერთპიროვნულ ქვემდებარეობის საკითხი შესწავლას მოითხოვს და დ. ფურცელაძემ მართებულად და დროულად დასვა ის.

სარეცენზიო შრომის ავტორის დასკვნით „ჰსჯულვილების“ მიხედვით „ნათლად ჩანს არათუ ერთიანი სასამართლო ორგანიზაციის უქონლობა, არამედ იურისდიქციის დაქუცმაცება, აღრეულობა და რამდენადმე მწყობრი სასამართლო განსჯადობის დაუწესებლობაც“ (გვ. 27).

სასამართლოს კომპეტენციისა და ქვემდებარეობის საკითხი ფეოდალურ საქართველოში მასალის სიმცირის გამო შეუსწავლელია. სარეცენზიო შრომის ავტორის მიერ ამ მხრიკ ფრიად საყურადღებო მასალაა მოტანილი და ტერიტორიული და განსაკუთრებით კი, საგნობრივი ქვემდებარეობის საკითხის შესახებ საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. ავტორი არკვევს, რომ „სამძღვრის“ სასამართლოს ექვემდებარება სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენელთა, სხვადასხვა შინაარსის საქმეები („რაზედაც რომე იყოს“ წერია ძეგლში), აგრეთვე ვალის შესახებ საქმეები და სხვა.

სარეცენზიო შრომის ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ „ჰსჯულვილების“ შემდგენს სასამართლო ორგანიზაციაში იმ სიახლის შეტანა სურს, რომ სასამართლოს არჩევითობის პრინციპზე აგებას ვარაუდობს (გვ. 60). ამასთანავე, „ჰსჯულვილების“ შემდგენის ახალი სიტყვა პროგრესისაკენ მიმართული იმაში გამოიხატა, რომ მოითხოვა სასამართლოს შემადგენლობაში გლეხთა მდიდარი ნაწილის წარმომადგენლების შეყვანა (გვ. 60, 62-63).

ძეგლის შემდგენი ჩივის, რომ სასამართლო ფუნქციებს ასრულებდნენ არა მარტო მდივანბეგები, როგორც სახელმწიფოს მიერ სათანადო ფუნქციით აღჭურვილი მოხელეები, არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედ საერთოდ დიდი მოხელეები და მათი კაცებიც კი (გვ. 25).

სარეცენზიო შრომის ავტორი ყურადღებას მართებულად აქცევს იმ გარემოებას, რომ „ჰსჯულვილება“ სათავისო საკუთრების განვითარებას ცდილობს. ძეგლის ასეთი მიდრეკილება ჩანს ძმების გაყრის დროს ქონების გაყოფისა და ვალის განაწილების საკითხის გადაწყვეტისას. „ჰსჯულვილების“ შემდგენის აზრით, მომქმედ სამართალში გაუყრელი ძმების ქონებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისას არ არის სათანადოდ დაცული გამრჯელი, მომჭირნე ძმის ინტერესები. „ჰსჯულვილების“ ავტორი ჩივის, რომ „ჩვენს საბრძანებელსა შინა ბედოვლათი უკეთესს სამართალს იშოვნის, ვიდრემც თუ კეთილიო“ (გ. 30). თავისთავად აქ ბედოვლათის ცნებაა საყურადღებო, რომლის შინარსი იმაში მდგომარეობს, რომ პიროვნება უყაირათოა, არ არის დამზოგველი. ბედოვლათი ვალებს ოოლად იღებდა იმ იმედით, რომ საშოვარზე წასული ძმა ქონებას შეიძენდა და გაყრის წესით უყაირათო ძმას ამ ქონებაში წილი ჰქონდა. კანონპროექტების ავტორიც სწორედ იმას მოითხოვს, რომ გაყოფის დროს მხედველობაში იქნეს მიღებული მომჭირნე ძმის ინტერესი, რომელიც დაცული იქნება თუ მას კეთილმონაგარ ქონებაში არ ექნება წილი უყაირათო ძმას. „კერძო ინიციატივის წახალისება და კეთილშენაძენ ქონებაზე ინდივიდუალური საკუთრების განმტკიცება“ არის „ჰსჯულვილების“ ავტორის მისწრაფება, მართებულად დაასკვნის დ. ფურცელაძე (გვ. 34). ამასთანავე, „ჰსჯულვილება“ მიისწრაფვის „ინდივიდუალური სავალო პასუხისმგებლობის დამკვიდრებისაკენ“ (გვ. 33).

ნასყიდი და საერთოდ კეთილშენაძენი საკუთრება გვიანფეოდალურ საქართველოში ე. წ. სათავისო საკუთრებას შეადგენდა, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ საკუთრების სხვა სახეებთან შედარებით ის უფრო თავისუფალია ფეოდალური შეზღუდვისაგან და ამდენად თავისი არსით უფრო პროგრესული იყო.

სარეცენზიო შრომის ავტორი ძეგლის ანალიზის საფუძველზე ეხება საკითხს ე. წ. მეშჩანების შესახებ, რომ ისინი ქალაქის მოსახლეობის დაბალ ფენას წარმოადგენდნენო (გვ. 43, 63, 69). მეშჩანების საკითხი ქართულ სინამდვილეში პირველად სარეცენზიო შრომაშია დასმული.

სამეცნიერო ლიტერატურაში დ. ფურცელაძემ პირველმა მიაქცია იმ გარემოებას ყურადღება, რომ გვიანფეოდალურ პერიოდში, ახალი საზოგადოებრივი ეკონომიური ფორმაციის ნიადაგის მომზადების ხანაში გამომუშავდა სახელმწიფოს ქვეშევრდომის ცნება, პირველ ყოვლისა, იმიგრაციასთან დაკავშირებით (გვ. 54).

ამასთანავე, სარეცენზიო შრომის ავტორის შენიშვნით, „ჰსჯულვილება“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმიგრაციის საკითხს და ამასთან დაკავშირებით ითვალისწინებს ისეთ ზომებს, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის გამრავლებას (გვ. 46-49).

ავტორი დაწვრილებით იხილავს მოურავის უფლება-მოვალეობას, მის სამოსამართლო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს და აღნიშნავს „ჰსჯულვილების“ შემდგენის ცდას მიმართულს მოურავის უფლებათა შეზღუდვისაკენ. ძეგლის მიხედვით მოურავს თავის განკარგულებით შეუძლია მხოლოდ 3 დღით დააპატიმროს ბრალდებული, რომლის შემდეგ, ალბათ, ეს ან უნდა გაეთავისუფლებია, ან კიდევ სასამართლოსათვის გადაეცა. ამასთანავე, მოურავს ებარა სატუსაღო („ტუცახანა“), რომელშიც პატიმრები იმყოფებოდნენ სასამართლოს განკარგულებით (გვ. 68-69).

ძეგლის მიხედვით მოურავის სახელოს მიმართ ის სიახლეა გათვალისწინებული, რომ მიზანშეწონილად არის მიჩნეული ქალაქ თბილისის გარეუბნების მოურავის თანამდებობის დაწესება, რომელსაც უნდა დაექვემდებაროს გარეუბნის სოფლების მცხოვრებნი (გლეხები) განურჩევლად ბატონისა (გვ. 72).

დ. ფურცელაძე მართებულად აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში „ჰსჯულვილების“ შემდგენი ისწრაფვის ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას ფეოდალური სეპარატიზმის აღმოკვეთით (გვ. 72).

ავტორი ავლენს ახალ სახელოებს, რომლის დაწესებაც ჰქონდა გათვალისწინებული „ჰსჯულვილების“ შემდგენს.

სარეცენზიო შრომაში დაწვრილებით არის განხილული საოჯახო-ქონებრივი ურთიერთობის საკითხები გვიანფეოდალურ ქართულ სამართალში (გვ. 29-34).

სარეცენზიო შრომაში ძეგლის მიხედვით შესწავლილია მეტად საყურადღებო ტერმინები — იურიდიული შინაარსისა. მაგალითად: მდივანხანა — სასამართლო დაწესებულების მნიშვნელობით (გვ. 26), ჯურუმი — ჯარიმა (გვ. 29), ბედოვლათი — უყაირათო (გვ. 29-30), საუფროსო, საუმცროსო (გვ. 31), მეშჩანი (გვ. 43), სამძღვრის სასამართლო (გვ. 55). სენატი (გვ. 57), ქალაქის სასამართლო (გვ. 61). ვექილი (გვ. 63), მანიფესტი (გვ. 62), უქაზი (გვ. 62),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუცახანა (გვ. 18), სამეფო ღერბი (გვ. 71), სამეფო სამუშაო როგორც სასჯელის სახე (გვ. 86), მუჯალმა (გვ. 92), მკვიდრი მამული (გვ. 94), სათავისო (გვ. 32), ქვეშევრდომი (გვ. 54) და სხვა.

სარეცენზიო შრომის ავტორმა „ჰსჯულვილების“ ანალიზის შედეგად ქართული სამართლის ისტორიისათვის საყურადღებო რიგი ახალი საკითხისა წამოაყენა:

1) ფეოდალური საქართველოს ადმინისტრაციული დაყოფა.

2) წოდებრივ-წარმომადგენლობითი მონარქიის იდეები „ჰსჯულვილებაში“.

3) ქალაქისა და სოფლის მოურავების ფუნქციები.

4) სასამართლოს ორგანიზაცია ქალაქად და სოფლად.

5) არჩევითობის პრინციპი სასამართლო და სამეურვეო ორგანოებში.

6) ახალი სახელოები ქალაქად და სოფლად.

7) მეურვეობა და წარმომადგენლობა.

8) მემკვიდრეების პასუხისმგებლობა შვილების ვალისათვის.

9) იმიგრაციისათვის შექმნილი თუ შესაქმნელი ახალი რეჟიმი.

10) მოსახლეობის აღწერის ახალი პრინციპები.

11) ქვრივი დედის მოვალეობანი შვილებისადმი.

12) გამნიავებლის თავისებური ცნება.

13) ხელისუფლების ცენტრალიზაცია სახელმწიფო ორგანოების გარდაქმნის გზით.

14) ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაცია.

15) ქვეშევრდომის ცნება გვიანფეოდალურ საქართველოში.

16) ნაშრომში ძეგლის მიხედვით გამოვლენილი და შესწავლილია დღემდი უცნობი მრავალი იურიდიული ტერმინი.

შეუძლებელია ერთ შრომაში ყველაფრის გადაწყვეტა, მაგრამ სარეცენზიო შრომის ავტორის მიერ მრავალი საკითხი დასმულია და გადაჭრილია კიდეც, მრავალი დასმულია მხოლოდ, მრავალი კიდევ შეიძლება დაისვას სარეცენზიო შრომის შემდეგ და ამ შრომის საფუძველზე.

ამგვარად, სარეცენზიო შრომა მრავალმხრივ საყურადღებოა და მისი გამოქვეყნება ფრიად სასარგებლო საქმეა ქართული ისტორიოგრაფიისათვის, აგრეთვე ფრიად სასარგებლო იქნება „ჰსჯულვილების“ გამოქვეყნებაც. „ჰსჯულვილება“ ისეთი ძვირფასი განძია ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად, რომელიც თამამად შეიძლება გვერდში ამოვუყენოთ XVIII საუკუნის ქალაქის გარიგებანი და ... ვით და იოანე ბაგრატიონების პროექტებს.

სარეცენზიო შრომა იწვევს შემდეგ შენიშვნებს:

1) ავტორი წერს: „ჰსჯულვილება“ „თუ არ ვცდებით, დღემდე უყურადღებოდ არის დარჩენილიო“ (გვ. 5). სავსებით გარკვეულია, რომ ძეგლი დღემდე არ არის გამოცემული და არც არავის მის შესახებ გამოკვლევა დაუწერია; ამიტომ „თუ არ ვცდებით“ აქ სრულიად ზედმეტია, მან შეიძლება მკითხველს აფიქრებიოს, რომ რაღაც გამოკვლევა ამ ძეგლზე მაინც არის დაწერილი.

2. სარეცენზიო შრომის ავტორის აზრით „სითარხნე — ამ შემთხვევაში გადასახადებისაგან განთავისუფლება“ არ უნდა იქნეს გაგებული „შეუვალობად, ფეოდალის შეუვალ საგადასახადო უფლებად თავის სამფლობელოში“ (გვ. 11); გადასახადებისგან განთავისუფლება ამა თუ იმ სახის შეუვალობაა, ან უკანასკნელის ერთ-ერთი მხარეა.

3. ავტორის აზრით ძეგლის მიხედვით გათვალისწინებული სენატი „არ არის მეფის მანამდელი, დიდებულთაგან შემდგარი სათათბირო ორგანო — სამეფო საბჭო, დარბაზი“ (გვ. 57). ავტორი მართალია იმაში, რომ „ჰსჯულვილების“ სენატის შემადგენლობა განსხვავებულია დარბაზის შემადგენლობისაგან; ეს განსხვავება იმით არის გამოწვეული, რომ ძეგლის შემდგენელი ვარაუდობს სენატს ასე თუ ისე წარმომადგენლობითი ხასიათი მისცეს, გააფართოოს სენატის სოციალური საფუძვლები, შეიყვანოს მასში არა მარტო ფეოდალები, არამედ მოქალაქეებიც და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. მიუხედავად ამისა, „ჰსჯულვილების“ სენატი სახელმწიფო საბჭო ან დარბაზია; მხოლოდ სახეშეცვლილი; სხვა, დარბაზის მაგვარი ორგანო ძეგლში არ არის გათვალისწინებული.

4. ავტორის აზრით მეურვეთა მიერ მემკვიდრეთათვის უპირატესად მამულის შეძენის დასაბუთება იმით, რომ „მამული უკვდავი“ ... „თან თავგამოდებული ზრუნვა ქონების სიმრთელესა და მატებაზე, შემძენელობასა და მოგებაზე, ფეოდალურ ურთიერთობათა დატოვება სადღაც უკანა პლანზე, ისე რომ ბატონყმობა არსებულად ივარაუდება, მაგრამ განსაკუთრებული მოწესრიგების საგნად არსად აღებული არ არის, — ყველა ეს უნდა ააშკარავებდეს, რომ „სამოქალაქო ჰსჯულვილების“ ავტორი უკვე კაპიტალისტური საკუთრების ინტერესების წარმომადგენელი იყო“ (გვ. 83084). ავტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის ასეთი დასკვნა ძლიერ შორს მიდის. ძეგლში საუბარია ფეოდალური საზოგადოების ჩარჩოებში კაპიტალისტური ჩანასახებისათვის ნიადაგის მომზადებისათვის ბრძოლაზე. კაპიტალისტური საკუთრება ამ პერიოდის საქართველოში, ალბათ, არც არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, ძეგლის შემდგენელი მისი წარმომადგენელი არ იყო.

6) ძეგლში ფრიად საყურადღებო მასალაა ვექილის შესახებ, როგორც წარმომადგენელზე სასამართლოში. სარეცენზიო შრომის ავტორი ამ საკითხს მხოლოდ გაკვრით ეხება და აღნიშნავს კიდეც, რომ ამ შრომაში ის ვერ განიხილავს ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას (გვ. 63). სასურველი კი იყო, რომ ის ამ საკითხს ყოველმხრივ შეხებოდა.

ნაშრომში აქა-იქ არის კორექტურული შეცდომები:

1913 წელი — 1813 წლის ნაცვლად (გვ. 18), ზოგჯერ სასვენი ნიშანია ნახმარია უადგილოდ (გვ. 48) და სხვა.

„საფისკოს" ნაცვლად აჯობებდა ფისკალური ან საგადასახადო, ან საფინანსო, ან სახაზინო (გვ. 48).

ეს შენიშვნები არ ამცირებენ შრომის დიდ ღირსებას. სარეცენზიო შრომა წარმოადგენს მაღალხარისხოვან მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც გამოუქვეყნებელი ძეგლის ანალიზის საფუძველზე ფრიად მნიშვნელოვან დებულებებს ასაბუთებს ქართული სამართლის ისტორიიდან. ნაწილი ამ დებულებათა ახალია, ნაწილი კიდევ ახლებურად აშუქებს ამა თუ იმ საკითხს.

დავით ფურცელაძეს თავისი ნაშრომით შემოაქვს სამეცნიერო ბრუნვაში ახალი და ფრიად საყურადღებო ძეგლი. ამავე დროს შრომას ავტორი აშუქებს XVIII და XIX საუკუნეებს მიჯნაზე საქართველოში მოქმედი სამართლის საინტერესო საკითხებს და გვაძლევს ხსენებული პერიოდის პროგრესიულ მოაზროვნის, როგორიც იყო ძეგლის ავტორი, პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებათა ღრმა დახასიათებას.

სარეცენზიო შრომა მეთოდოლოგიურად სწორ საფუძველზეა აგებული და ჩინებული ქართული ენით არის შესრულებული.

პროფ. ივ. სურგულაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო სასამართლო პრაქტიკა

1. დავები გამომდინარე საერთაშორისო მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვიდან სახელმწიფო არბიტრაჟის განხილვას არ ექვემდებარებიან.

ცეკავშირის გამგეობამ შეიტანა სახელმწიფო არბიტრაჟში ძიება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსაგან 1307 მან. და 52 კაპ. (ძველი ფულით) გადახდევინების შესახებ.

ძიებითი მასალების წინასწარი შემოწმების დროს გამოირკვა, რომ სადაო გზავნილი მოხდენილი იყო პირდაპირი საერთაშორისო გადაზიდვით, რის სავალდებულო ნიშანი არის დადგენილი ფორმით შედგენილი რკინიგზის საერთაშორისო მიმოსვლის ზედნადები.

ძიებითი მასალა დაუბრუნდა ცეკავშირის გამგეობას მითითებით, რომ დავები სახელმწიფო, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთის მხრივ და რკინიგზის ან საჰაერო ტრანსპორტის ორგანოებს შორის, მეორე მხრივ, გამომდინარე საერთაშორისო მიმოსვლით ტვირთის გადაზიდვებიდან საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, იხილებიან სასამართლო ორგანოების მიერ.

ასეთი დავების აღძვრის დროს ორგანიზაციებმა უნდა იხელმძღვანელონ ტვირთის საერთაშორისო მიმოსვლით გადაზიდვებიდან გამომდინარე პრეტენზიების წაყენების და განხილვის დამტკიცებული წესებით.

2. დავებს ურთიერთ ანგარიშების შედარების შედეგად მიღებულ ნაშთზე სახელმწიფო არბიტრაჟი არ იხილავს.

№ 5 საერთო მშენებლობის ტერიტორიულმა ტრესტმა შეიტანა არბიტრაჟში ძიება აფხაზეთის ტყის დამზადების კანტორისაგან 5834 მან. და 72 კაპ. (ძველი ფულით) გადახდევინების შესახებ. აღნიშნული ძიებითი მასალა დაუბრუნდა № 5 საერთო მშენებლობის ტრესტს განუხილველად, ვინაიდან ძიებითი თანხა შეადგენდა მხარეების ურთიერთ ანგარიშების შედარების შედეგად მიღებულ ნაშთს; ძიებით მასალას არ ერთოდა მტკიცება იმისა, რომ სახელმწიფო ბანკმა ნება დართო მხარეებს შორის ურთიერთ ანგარიშების ნაშთით ანგარიშსწორებაზე, ხოლო ძიებითი მოთხოვნის ერთად-ერთი მტკიცება იყო ურთიერთ ანგარიშების შედარების აქტი, რომლისაგან შეუძლებელი იყო იმის დადგენა, დაცულია თუ არა ძიებითი ხანდაზმულობის ვადა, რა ოპერაციების შედეგად წარმოიშვა დავალიანება და სხვა, რაც აუცილებლად უნდა შემოწმდეს ძიებითი მასალის არბიტრაჟის წარმოებაში მიღების დროს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1940 წლის 26 აგვისტოს ინსტრუქტული მითითებების № გა-16-ის თანახმად, თუ მხარე არ წარმოადგენს სახელმწიფო ბანკის თანხმობას მხარეებს შორის ურთიერთ ანგარიშების შედარების შედეგად მიღებული ნაშთი, ანგარიშსწორებაზე ძიებები ურთიერთ ანგარიშების შედეგად მიღებულ ნაშთზე შეიძლება იქნეს მიღებული წარმოებაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ მაძიებელი წარმოადგენს თითოეული ძიებით თანხის დამამტკიცებელ საბუთებს და განმარტებას რატომ არ იყო დაცული მისი მხრიდან ანგარიშსწორების დადგენილი წესი.

ძიებითი ხანდაზმულობის ვადა ასეთ შემთხვევაში შეფარდებული იქნება თითოეულ ცალკე თანხაზე, დავალიანების წარმოშობის შესაბამისად.

3. ვის ეკისრება პასუხისმგებლობა ტექნიკურად არა წესივრულ კონტეინერით ტვირთის გადაზიდვისათვის.

თბილისის საკონდიტრო კომბინატმა აღძრა ძიება რკინიგზის სამმართველოსა და ლენინგრადის პოლიგრაფიულ ფაბრიკისაგან 3841 მან. 81 კაპ. (ძველი ფულით) გადახდევინების შესახებ, რაც წარმოადგენდა გადაზიდვის დროს დასველების გამო გაფუჭებული ქაღალდის ნაწარმის ღირებულებას.

საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ტვირთი გადმოტვირთული იყო გარედან წესივრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაში მყოფი კონტეინერით, ხოლო დასველდა გზაში, კონტეინერის სახურავიდან ატმოსფერული ნალექების შეღწევის გამო. ტექნიკურ აქტში ნაჩვენები იყო, რომ კონტეინერს არვითარი დეფექტები არ ემჩნეოდა გარდა სახურავის ნაკერის დაშლისა 5 მმ სიგანით, ლითონის შეუდუღებლობის გამო. ვინაიდან კონტეინერის დეფექტი ატარებდა ფარულ ხასიათს, არბიტრმა დააკისრა მაძიებლისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, რომელიც პასუხისმგებელია კლიენტისათვის წესივრული კონტეინერის მიწოდებისათვის. დეფექტი, რომ აშკარა ყოფილიყო ასეთი პასუხისმგებლობა, სახელმწიფო არბიტრაჟის 1960 წ. 29 ივნისის № ი-1-34, ინსტრუქტული მითითების შესაბამისად, დაეკისრებოდა საქონლის გამომგზავნს, ვინაიდან კლიენტს, რკინიგზასთან თანაბრად ეკისრება სრული პასუხისმგებლობა არა წესივრული კონტეინერის გამოყენებისათვის; მან ან უნდა გამოასწოროს შემჩნეული დეფექტი ან უარი განაცხადოს მის დატვირთვაზე,

4. სახელმწიფო ბაჟზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება დაეკისრა მოპასუხეს, რომელმაც გადაურიცხა მაძიებელს დავალიანება ძიების სახელმწიფო არბიტრაჟში აღძვრის წინა დღით.

აზერბაიჯანის სსრ თევზის გასაღების კანტორამ საქხორცთევზკარაქგასაღების კანტორის განრიგის საფუძველზე, მიაწოდა კიროვაკანის თევზკომბინატის მეშვეობით, თბილისის № 2 მაცივარს თევზი, საერთო ღირებულების 69.166 მან. და 78 კაპ. (ძველი ფულით). წაყენებული ანგარიშის აქტებზე თბილისის № 2 მაცივარმა განაცხადა უარი საქონლის დაუკვეთებლობის და მიუღებლობის მოტივით. სინამდვილეში სადაო საქონელი მიწოდებული იყო დადებული ხელშეკრულებისა და განრიგის შესაბამისად. 1960 წლის 1-ლი ოქტომბერს მიმწოდებელმა წარუდგინა პრეტენზია თბილისის № 2 მაცივარს, როგორც საქონლის მიმღებს და საქხორცკარაქრეკვიზიტორობას, როგორც მხარეს ხელშეკრულებით; პრეტენზიაზე პასუხის მიუღებლობის გამო 1960 წლის 25 ოქტომბერს აზერბაიჯანის სსრ თევზის გასაღების კანტორამ აღძრა ძიება სახელმწიფო არბიტრაჟში.

საქმის გარჩევის დროს თბილისის № 2 მაცივარმა განაცხადა, რომ კუთვნილი თანხა 2.205 მან. (ძველი ფულით) გამოკლებით მან გადაურიცხა მაძიებელს 1960 წლის 24 ოქტომბერს ე. ი. ძიების არბიტრაჟში აღძვრამდე, რისთვისაც ითხოვა ძიების სრული აცილება, ვინაიდან საქონლის მიღების დროს მან დაადგინა თევზის დანაკლისი. არბიტრაჟის გადაწყვეტილებით თბილისის № 2 მაცივარს მიესაჯა გადასახდელად თევზის დაკავებული ღირებულების თანხა, ჯარიმა ანგარიშის აქტებზე უსაფუძვლო უარის თქმისათვის და სახბაჟის გადახდაზე გაწეული ხარჯი სრულად.

თბილისის № 2 მაცივარმა გაასაჩივრა არბიტრის გადაწყვეტილება ზედწესით. მთავარმა არბიტრმა აიცილა № 2 მაცივრის საჩივარი და მიუთითა, რომ რამდენადაც მან არ გასცა პასუხი მაძიებლის პრეტენზიაზე ოცდა ოთხი დღის განმავლობაში, ხოლო დავალიანება დაფარა ძიების აღძვრის წინა დღით, მაძიებელს ჰქონდა სრული საფუძველი ძიების აღძვრისათვის. ვინაიდან ძიების აღძვრის დღეს, მაცივრის მიერ გადარიცხული თანხა ჯერ არ მოხდებოდა მაძიებლის ანგარიშზე. არბიტრმა სწორად დააკისრა მოპასუხეს სახბაჟზე გაწეული ხარჯის სრული ანაზღაურება.

5. საიმპორტო საქონლის ხარისხის შემოწმებისათვის დადგენილი წესი უნდა იქნეს დაცული დამოუკიდებლივ იმისგან, როდის მიიღო საიმპორტო საქონელი ორგანიზაციამ თავისი მიმწოდებლისაგან.

„თბილუნივერმაღმა“ აღძრა ძიება თათრეთის ასსრ სპორტკულტვაჭრობის მიმართ, ამ უკანასკნელისაგან მიღებული საიმპორტო საქონლის არა სათანადო ხარისხის შესახებ. მაძიებელი ეძიებდა მოპასუხისაგან ჩამოფასების თანხას, ჯარიმას არა სათანადო ხარისხის საქონლის მიწოდებისათვის და ექსპერტიზაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურებას. „თბილუნივერმაღის“ ძიება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ აქტი სადაო პალტოს არა სათანადო ხარისხის შესახებ არ იყო შედგენილი იმ ფორმით და წესით, რაც სავალდებულოა საიმპორტო საქონლის მიმღებისათვის, თანახმად მოქმედი ინსტრუქციისა საიმპორტო საქონლის არა სათანადო ხარისხზე აქტების შედგენის და მათზე პრეტენზიების წაყენების შესახებ. „თბილუნივერმაღმა“ გაასაჩივრა ზედამხედველობის წესით არბიტრის გადაწყვეტილება. თავის საჩივარში „თბილუნივერმაღი“ ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ მიმწოდებელმა გაუგზავნა მას საქონელი მისი საბჭოთა კავშირის საზღვარზე გადასვლის შვიდი თვის შემდეგ ე. ი. საიმპორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტო საქონლის ხარისხზე, პრეტენზიის წარმოდგენის სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ და გამომდინარე აქედან სთვლიდა, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იყო თუ არა დაცული აქტის ფ. № 4, რამდენადაც მიმწოდებელი მოკლებული იყო საშუალებას წარუდგინოს პრეტენზია საიმპორტო ორგანიზაციას, ვადის გასვლის გამო.

„თბილუნივერმაღის“ საჩივარი აცილებული იქნა მითითებით, რომ მოქმედი ინსტრუქცია ყველა შემთხვევაში ავალებს საიმპორტო საქონლის მიმღებს, შეადგინოს აქტები და წარუდგინოს პრეტენზია საიმპორტო საქონლის არა სათანადო ხარისხზე, დადგენილი წესით და ფორმით.

6. აქტში საქონლის არა სათანადო ხარისხის შესახებ აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული საქონლის ის ნაკლოვანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს საქონლის წუნდება, და მათი გამომწვევი მიზეზები.

„ბათუმვაჭრობამ“ აღძრა ძიება შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტი“-საგან 3.706 მან. (ძველი ფულით) გადახდევინების შესახებ. იმის საფუძველზე, რომ ქარხანა „ელექტროელემენტის“ მიერ გამოშვებული ბატარეიები ჯიბის ელექტრო ფარნებისათვის უვარგისი აღმოჩნდა.

„ბათუმვაჭრობის“ ძიება აცილებული იყო იმ საფუძველზე, რომ საექსპერტო აქტში, რომლითაც იყო უვარგისად ცნობილი სადაო საქონელი, არ იყო ნაჩვენები სახელდობრ რა ნაკლოვანება ჰქონდა შემოწმებულ ბატარეიებს და რით იყო ასეთი გამოწვეული. „ბათუმვაჭრობის“ საჩივარი ზედამხედველობის წესით აცილებული იქნა იმ მითითებით, რომ არბიტრის გადაწყვეტილება შეესაბამება სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხობრივი მიღების შესახებ ინსტრუქციის მუხ. 14 ქ/ბ „ლ“.

7. ხელშეკრულებაში არ უნდა იქნეს განმეორებული ისეთი პირობა, რაც გათვალისწინებულია მიწოდების განსაკუთრებული პირობებით.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა აზერბაიჯანის სსრ „მრეწვტეხმომარაგებაგასაღებასთან“ ნართის მიწოდებაზე ხელშეკრულების დადების დროს შეიტანა ხელშეკრულების პროექტში პირობა ნართის ტარის დაბრუნების ვადების შესახებ. მყიდველი არ დაეთანხმა მიმწოდებლის წინადადებას და მოითხოვა ტარის დაბრუნების ვადის გაგრძელება.

წინასახელშეკრულებო დავის განხილვის დროს, სახელმწიფო არბიტრაჟმა სულ ამოიღო ეს მუხლი მხარეების ხელშეკრულებიდან, მიუთითა რა მასზედ, რომ 2000 კ/მ. ნაკლები მანძილით ერთმანეთისგან დაშორებული ორგანიზაციებისათვის ტარის დაბრუნების ვადები განსაზღვრულია ნართის მიწოდების განსაკუთრებულ პირობების მუხ. 13-თ და ამის გამო ამ პირობების ხელშეკრულებაში შეტანა საჭირო არ იყო. ეს იწვევს ხელშეკრულების ზედმეტ გადატვირთვას და ზოგჯერ კი ისეთ უსაფუძვლო დავებს, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში.

სასამართლო პრაქტიკა

სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. მესაკუთრის ბინაში მდგმურის უფლებით არ შეიძლება დარჩეს ის პირი, რომელიც ბინაში შესახლდა იმ მოტივით, რომ იგი შეისყიდდა დაკავებული ბინის ფართობს მესაკუთრისაგან, მაგრამ შესახლების შემდეგ მან უარი თქვა ასეთის შესყიდვაზე.

მოქ. მ. შარიქაძემ აღძრა სარჩელი სახალხო სასამართლოში და აღნიშნა, რომ იგი ოთხი სულისაგან შემდგარი ოჯახით მდგმურის უფლებით ცხოვრობდა თანამოპასუხე პ. დევდარიანის პირადი საკუთრების საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ბორჯომი, გურამიშვილის ქ. № 15-ში, სადაც ეკავა ორი ოთახი 32 კვ. მეტრის ფართობით.

თანამოპასუხე პ. დევდარიანმა სანოტარო წესით, აღნიშნული ბინა მიყიდა მოპასუხე ნ. ზეინკლიშვილს. 1960 წლის 31 მარტს მოპასუხეებმა ბინიდან გამოიტანეს მოსარჩელე მ. შარიქაძის ნივთები და ბინაში შესახლდა კანონიერი მეპატრონე-მოპასუხე ნ. ზეინკლიშვილი. მოსარჩელე მ. შარიქაძემ სახალხო სასამართლოში მოითხოვა მოპასუხე ნ. ზეინკლიშვილის გამოსახლეობა და თავის უკანვე შესახლება სადაო ბინაში. ბორჯომის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილებით უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე მ. შარიქაძეს ბინაში მდგმურის უფლებით დატოვების საკითხზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 20 ივლისის დადგენილებით სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის სახელზე შეტანილ იქნა პროტესტი, რომელიც მოითხოვდა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა საკასაციო კოლეგიას დადგენილების გაუქმებას და საქმის იმავე სახალხო სასამართლოზე გადაცემას ხელახალი განხილვისათვის.

საქმეში არსებული მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ სადაო საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა თანამოპასუხე პ. დევდარიანს. 1958 წელს მან შეთანხმების საფუძველზე სადაო ბინა მიჰყიდა მოსარჩელე მ. შარიქაძეს 17.000 მანეთად (ძველი ფულით), აქედან მ. შარიქაძემ წინასწარ გადაუხადა 3.000 მანეთი და ბინაში შესახლდა როგორც მყიდველი. მოსარჩელემ დაარღვია პირობა და პ. დევდარიანს დარჩენილი თანხა 14.000 მანეთი აღარ გადაუხადა. ამიტომ პ. დევდარიანმა ბინა მიჰყიდა მოპასუხე ნ. ზეინკლიშვილს სათანადო სანოტარო წესით. ეს ფაქტი თვით მოსარჩელემაც დაადასტურა.

ამრიგად მოსარჩელე სადაო ბინაში შესახლდა არა როგორც მდგმური, არამედ როგორც მყიდველი. მოსარჩელე სადაო ბინაზე პირადი საკუთრების უფლებას მაშინ მოიპოვებდა, თუ იგი ბინას შეისყიდდა. ვინაიდან მან ბინა არ შეისყიდა, სახლის მესაკუთრეს ჰქონდა საფუძველი მოსარჩელე გამოესახლებინა ბინიდან.

ასეთ პირობებში არ იყო საფუძველი სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და უმაღლესი სასამართლოს დადგენილების გაუქმებისათვის. პროტესტი აღნიშნულ საქმეზე დატოვებულ იქნა უშედეგოდ.

2. ცოლ-ქმარის მიერ ერთად ცხოვრების პერიოდში აშენებული სახლის გაყოფის შემთხვევაში სახლის შეფასება უნდა მოხდეს ფართო მოხმარების ღირებულებით.

მოსარჩელე ნ. გელაშვილმა კასპის რაიონის სახალხო სასამართლოში აღძრა სარჩელი მოპასუხე ვ. ხუროშვილის მიმართ და აღნიშნა, რომ იგი 1948 წლიდან 1957 წლამდე ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხესთან, ითვლებოდა მისი კომლის წევრად. ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე იძულებული გახდა 1957 წლის მარტში დაეტოვებინა მოპასუხის ოჯახი და დროებით საცხოვრებლად წასულიყო თავის დასთან. მოსარჩელემ მოითხოვა ერთად ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების პერიოდში აშენებული საცხოვრებელი სახლის და შეძენილი საოჯახო ნივთების კუთვნილი წილი.

სახალხო სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მხარეების მიერ ერთად ცხოვრების პირობებში აშენებულ ორ ოთახიან სახლიდან მოსარჩელეს საკუთრების უფლებით გამოუყო ერთი 24,5 კვ. მეტრი ფართობის დაუმთავრებელი ოთახი, 17 კვ. მეტრი აივანი და სარდაფი, ან მოპასუხეს დაევალა გადაეხადა მოსარჩელისათვის ოთახისა და სათავსოების ღირებულება 12.299 მანეთი (ძველი ფულით), და დაუმთავრებელი ოთახის საღმშენებლო მასალის ღირებულება 3.614 მანეთი.

საქართველოს სსრ სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 5 მაისის დადგენილებით სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა იმ შესწორებით, რომ მოსარჩელეზე მიკუთვნებული ბინის ფართობისა და სათავსოების ღირებულება 12.229 მანეთი შეამცირა 10.375 მანეთამდე და სარჩელის დანარჩენ ნაწილში უარი უთხრა.

საქართველოს სსრ პროკურატურამ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში ზედამხედველობის წესით გააპროტესტა კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება და მოითხოვა მათი გაუქმება და საქმის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

საქმის მასალების შესწავლით გამოირკვა, რომ სადაო სახლი არის ინდივიდუალური მშენებლობით შექმნილი, მხარეების მიერ საკუთარი სახსრებით აშენებული და სახლის შეფასება უნდა მომხდარიყო ფართო მოხმარების ღირებულებით (ფასით), რადგან ასეთი სახლის აშენების დროს საღმშენებლო მასალა ინდივიდუალურ მშენებლებს არ ეძლევათ სახელმწიფო ფონდიდან. სახალხო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს კი დაეყრდნო ექსპერტის დასკვნას, რომელმაც სადაო სახლი შეაფასა სახელმწიფო ფასით, და ამით შეამცირა სახლის ფაქტიური ღირებულება.

ასევე არასწორად მოიქცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე კიდევ უფრო შეამცირა მოსარჩელის კუთვნილი წილის $1/2$, რომლის ღირებულება დაიყვანა 10.375 მანეთამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გაიზიარა პროკურატურის პროტესტი, გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცა იმავე სახალხო სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

3. პიესის დადგმა ხელშეკრულების დადების გარეშე ჰონორარის ანაზღაურების საფუძველს ვერ წარმოშობს.

გორის სახელმწიფო თეატრმა 1959—1960 წლის სეზონში დადგა ა. თაბორიძის პიესა „თემის სამართალი", რომელიც 5 სპექტაკლის შემდეგ მოხსნილ იქნა რეპერტუარიდან როგორც უვარგისი.

საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველომ აღძრა სარჩელი ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში გორის სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიმართ ა. თაბორიძის სასარგებლოდ ჰონორარის 15.000 (ძველი ფულით) მანეთის გადახდევინების შესახებ.

სახალხო სასამართლომ 1960 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით უარი უთხრა საავტორო უფლებათა დაცვის სამმართველოს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 28 ივლისის დადგენილებით გააუქმა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც არასწორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ზედამხედველობის წესით პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება და სახალხო სასამართლოს ზემოთ მოხსენებული გადაწყვეტილების ძალაში დატოვება.

პრეზიდიუმმა სწორად სცნო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროტესტი და განმარტა, რომ თეატრი პიესის დადგმას ახორციელებს მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კულტურის სამინისტრო დადებს ავტორთან ხელშეკრულებას პიესის შესყიდვის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში კი ა. თაბორიძესა და კულტურის სამინისტროს შორის პიესის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება არ ყოფილა დადებული და თეატრმა პიესის დადგმა განახორციელა თვითნებურად კანონით დადგენილი წესის გვერდის ავლით (თეატრის დირექტორის ინიციატივით). ამიტომ მარტოოდენ ფაქტი პიესის დადგმისა ჰონორარის ანაზღაურების საფუძველს ვერ წარმოშობს.

ასეთ შემთხვევაში სახალხო სასამართლოს მიერ სწორად იქნა სარჩელი უარყოფილი და კოლეგიას გადაწყვეტილების გაუქმების კანონიერი საფუძველი არ გააჩნდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა კოლეგიის დადგენილება და ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება.

4. უგეგმოდ და უნებართვოდ აშენებული სახლის საკუთრების საკითხზე წარმოშობილი დავა სასამართლოს წესით განხილვას არ ექვემდებარება.

ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ 1960 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით ი. შუსტოვის სარჩელი მოპასუხე ნ. დემიდოვის მიმართ 16 000 მანეთის (ძველი ფულით) გადახდევინების შესახებ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მოპასუხეს დააკისრა 7.424 მანეთის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 19 მაისის დადგენილებით ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ზედამხედველობის წესით პროტესტი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში და მოითხოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის წარმოებით მოსპობა.

საქმეში არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე გამოირკვა შემდეგი: მხარეები არიან და-ძმანი. მოსარჩელემ ე. ი. დამ სასამართლო წესით მოითხოვა მოპასუხის სამოსახლო მიწის ნაკვეთზე მის მიერ აშენებული ერთ ოთახიანი სახლის თავის სახელზე გადაფორმების ნებართვა. შემდეგ მან შეცვალა სარჩელი და მოითხოვა ეზოში ცალკე შესასვლელის გახსნა და წყლითა და ტუალეტით სარგებლობის უფლების მინიჭება. სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე კი მოსარჩელემ დამატებით მოითხოვა სადაო ოთახიდან მოპასუხის გამოსახლება. ამის შემდეგ მოსარჩელემ სასამართლოს 1960 წლის 22 აპრილის სხდომაზე განაცხადა, რომ მოპასუხემ დაანგრია სადაო ოთახი და ამის გამო მოითხოვა მოპასუხისათვის სახლის ღირებულების 16.000 მანეთის გადახდევინება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სადაო ოთახი აშენებული იყო უნებართვოდ. თვით მოსარჩელე და მოპასუხემაც დაადასტურეს, რომ აღნიშნული ოთახი აშენებული იყო უგეგმოდ, უნებართვოდ ე. ი. თვითნებურად. ამრიგად დადასტურებულ იქნა, რომ მხარეთა შორის დავა წარმოიშვა უნებართვოდ და უგეგმოდ აშენებული სახლის საკუთრების უფლების მოპოვების საკითხზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 17 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად, უგეგმოდ და უნებართვოდ აშენებული სახლის საკუთრების საკითხზე წარმოშობილი დავა სასამართლო წესით განხილვას არ ექვემდებარება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა აღნიშნულ საქმეზე სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება გააუქმა და საქმე მოსპო წარმოებით, როგორც სასამართლოს არა ქვემდებარე.

5. მოპასუხეს, თუ იგი კოლმეურნეობის წევრია, ალიმენტის გადახდა უნდა დაეკისროს კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობისა და სხვა შემოსავლის პროცენტული მონაცემების მიხედვით.

მოქ. ბ. შეშაბერიძემ აღძრა სარჩელი მისი ქმრის ვ. შეშაბერიძის მიმართ და მოითხოვა ორი ბავშვისათვის ალიმენტის გადახდევინება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კასპის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით ბოსარჩელის ძიება დააკმაყოფილა და დააკისრა მოპასუხეს ყოველთვიურად 300 მანეთის (ძველი ფულით) გადახდა ბოსარჩელის სასარგებლოდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1959 წლის 19 მარტის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში შეიტანა პროტესტი და მოითხოვა გადაწყვეტილებისა და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის ხელახლად განხილვისათვის დაბრუნება სახალხო სასამართლოში.

საქმეში არსებული მასალების შესწავლის საფუძველზე დადგენილი იქნა, რომ მოპასუხე ვ. შემაბერიძე არის კოლმეურნეობის წევრი და საკმაოდ დიდი რაოდენობით აქვს კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომა-დღეები. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს ალიმენტის რაოდენობა უნდა განესაზღვრა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1950 წლის 4 აგვისტოს დადგენილების 10 მუხლის შესაბამისად და მოპასუხისათვის ალიმენტი უნდა დაეკისრებია პროცენტული რაოდენობით.

გარდა ამისა, სახალხო სასამართლოს დაბეჯითებით უნდა გამოერკვია რა დამატებითი შემოსავალი აქვს მოპასუხეს კოლმეურნეობაში გამომუშავებული შრომა-დღეების გარდა და მხარეთა მატერიალური მდგომარეობის მხედველობაში მიღებით ემსჯელა მოპასუხეზე შრომა-დღეების გარდა მტკიცე ფულადი თანხის დაკისრებაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა ამ საქმეზე კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილება გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

სისხლის სამართლის საქმეებზე

1. სასჯელის — თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოხდით გამოყენების შემთხვევაში, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დამნაშავის პიროვნება.

ცაგერის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 25 ნოემბრის განაჩენით ე. ჭაბუკიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58[17] „გ“ მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა აქედან 4 წლით საპყრობილეში მოხდით.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 9 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში.

ე. ჭაბუკიანს მსჯავრი დაედო მასში, რომ 1960 წლის 20 ოქტომბერს მთვრალ მდგომარეობაში მართავდა რა მასზე გაპიროვნებულ სატვირთო ავტომანქანას, დაბა ცაგერში განავითარა დიდი სიჩქარე, მანქანა დააჯახა ჯერ ელექტრო ბოძს შემდეგ კი გაანგრია მოქ. კ. ბენიძის ეზოს ფიცრის ღობე და მანქანა დააჯახა ეზოში ურმის ძარაში მოთამაშე 9 წლის ბავშვს, რომელიც მიღებული ტრავმის შედეგად იქვე გარდაიცვალა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის პროტესტის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმის 1961 წლის 6 იანვრის დადგენილებით განაჩენიდან ამოირიცხა მისჯილი სასჯელის ნახევრის საპყრობილეში მოხდა, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 23 მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს იმ პირთ, რომლებმაც მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, აგრეთვე განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს.

ე. ჭაბუკიანი კი დაბადებულია 1937 წელს. წინათ სამართალში არ ყოფილა, ორგანიზაცია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც ის მუშაობდა, ახასიათებს დადებითად, მოხსენებული დანაშაულის შედეგად მართალია დადგა მძიმე შედეგი, მაგრამ ის ჩადენილი აქვს გაუფრთხილებლობის შედეგად.

ასეთ პირობებში სასამართლოს არ ჰქონდა საფუძველი გამოეყენებია ე. ჭაბუკიანის მიმართ სასჯელის ისეთი განსაკუთრებული სახე, როგორიცაა საპყრობილეში მოთავსება.

2. კოლექტივებს უფლება აქვს უარი განაცხადოს მათზე ხელახალი აღზრდისა და გამოსასწორებლად გადაცემული პირობით მსჯავრდებული პირისადმი მზრუნველობაზე, უკეთუ ეს უკანასკნელი შეგნებულად გაურბის შრომითი საქმიანობას და არ ამართლებს მათ ნდობას.

მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 25 მაისის განაჩენით წ. გოგუაძე ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 71 მუხლის მე-3 ნაწილით და მიესაჯა 1,5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც შესაბამისად სსკ 50 მუხლისა ჩათვლილი იქნა პირობით სამი წლის გამოსაცდელი ვადით და იგი ხელახალი აღზრდისა და გამოსწორებისათვის გადაეცა ნაგომრის სოფლის კოლმეურნეობას თანახმად მათი შუამდგომლობისა.

წ. გოგუაძეს მსჯავრი დაედო იმის გამო, რომ მან 1959 წელს თბილისში 1.500 მანეთად იყიდა შოფრობის ყალბი მოწმობა, რომელსაც ის იყენებდა ერთი წლის განმავლობაში.

აღნიშნული განაჩენი საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე გაუქმებული იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1961 წლის 4 თებერვლის განჩინებით და საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს, მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას, შემდეგი საფუძვლებისა გამო:

როგორც ნაგომრის სოფლის კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებისა და ამავე კოლმეურნეობის გამგეობის მომართვიდან ჩანს, წ. გოგუაძემ არ მოკიდა ხელი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ნაცვლად იმისა, რომ კოლმეურნეობაში შრომითი საქმიანობით გამოესყიდა მისი დანაშაული და დაემტკიცებია იმ საზოგადოებისათვის, რომელიც მას თავდებში დაუდგა, რომ იგი გამოსწორების გზას დაადგა, მიატოვა კოლმეურნეობა და ოჯახი და წავიდა გაურკვეველი მისამართით.

ასეთ პირობებში კოლეგიამ სავსებით სწორად მიუთითა, რომ წ. გოგუაძე არ იმსახურებს რაიმე შეღავათს.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საბჭოთა სამართალში" 1960 წელს გამოქვეყნებული მასალების საძიებელი

მოწინავე და სარედაქციო წერილები

ვ. ი.ლენინი — საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური კანონიერების შესახებ, № 2, გვ. 3–11

მშვიდობისმოყვარეობის დიადი აქტი, № 1, გვ. 3-4

საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, № 3, გვ. 3–8

საქართველოს კომპარტიის XX ყრილობა, № 1, გვ. 5-6

სტატიები

ლ. ადეიშვილი — მოზარდთა შრომის ანაზღაურება და პენსიებით უზრუნველყოფა, № 6, გვ. 31–36

ა. ებრალიძე — საქართველოს კომპარტია ქართველი ხალხის შრომითი საქმიანობის ორგანიზატორი დიდ სამამულო ომში (1941-1945 წ.წ.), X 6, 13–19

პ. ელისეიკინი — კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის სასამართლო წესით დადგენის თავისებურებანი, № 4, გვ. 18-22

გ. ინწკირველი — სამართლებრივი ურთიერთობის ცნების საკითხისათვის, № 1, გვ. 7–12

მ. ლეკვეიშვილი — მოსამართლეთა დანიშვნის წესი და უფლება-მოვალეობა გვიანფეოდალურ საქართველოში, № 2, გვ. 27-33

ნ. ლორთქიფანიძე — მტკიცების საგანი საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში, № 3, გვ. 8-15

ნ. ლორთქიფანიძე — დამამტკიცებელ საბუთთა დასაშვებლობის საკითხისათვის საბჭოთა სამოქალაქო პროცესუალურ სამართალში, № 6, გვ. 24-31

ვ. მაისურაძე — კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ, № 4. გვ. 12-17

ზ. მამისაშვილი — სახელმწიფო არბიტრაჟი ახალი ამოცანების წინაშე, № 4, გვ. 23-27

გ. უვანია — ნეიტრალიტეტის ცნება და ნეიტრალიტეტის პოლიტიკა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, № 2, გვ. 20-26

გ. სიხარულიძე—ბრძოლებისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, № 5, გვ. 3-12

გ. ტყეშელიაძე — შენადგენი, დენადი და განგრძობითი დანაშაული, № 1, გვ. 13-20

თ. შავგულიძე—ნასამართლობის გაქარწყლება საბჭოთა სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით, № 3, გვ. 16-22

გ. ღამბაშიძე — თბილისში ამერიკის საკონსულოს დაზვერვითი და კონტრრევოლუციური საქმიანობა 1818-1920 წ.წ. № 4, გვ. 3-11

გ. ძოწენიძე — საბჭოების საქმიანობა—ახალი ამოცანების დონეზე, № 2, გვ. 11-19

დ. ჯიბლაძე — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, № 6, გვ. 3-13

ს. ჯორბენაძე — კაპიტალისტური საკუთრების პუბლიზაციის ბურჟუაზიული თეორიების შესახებ, № 3, გვ. 23-29

ჰასიბ ნემერ — საბჭოთა კანონი ხალხს ემსახურება, № 6, გვ. 55

სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

ი. ამაშუკელი, მ. დოლიძე — ბუღალტერ-ექსპერტის მუშაობა გამომძიებელთან სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში, № 5, გვ. 47-53

შ. გელაშვილი — სოციალისტური კანონიერების განმტკიცების აუცილებელი პირობა, № 2, გვ. 59-61

გ. დევდარიანი — დავიცვათ სასამართლოს კერძო დადგენილებათა გასაჩივრების წესები, № 2, გვ. 61-63

მ. ვეფხვაძე — საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში, № 6, გვ. 19-24

მ. ვეფხვაძე — საბჭოთა მართლმსაჯულება ახალი ამოცანების წინაშე, № 3, გვ. 51-57

მ. თოფურიძე—წესრიგი დავამყაროთ ინდივიდუალურ და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში, № 5, გვ. 40-47

ა. იობიძე — როგორ ვახორციელებთ სახალხო სასამართლოს მუშაობის გარდაქმნას, № 2, გვ. 55-58

ნ. ინოზემცევი — პირველი შედეგები, № 3, გვ. 57-58

ო. მგელაძე — ექსპერტის ინიციატივის შესახებ კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისას, № 4, გვ. 55–57

ზ. მესენგისერი — როცა რაიონში არ იგრძნობა პროკურორის ხელი, № 4, გვ. 57-62

მ. ნანიკაშვილი — ადვოკატის რეპლიკა, № 2, გვ. 63-65

ა. ულენტი — გადაჭრით ვებრძოლოთ დამნაშავეობას ახალგაზრდობაში, № 4, გვ. 51-54

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ცხვარაძე — მტკიცედ დავიცვათ უსაშიშროების ტექნიკის წესები, № 3, გვ. 59-61

საზოგადოებრიობა ებრძვის დანაშაულს

ა. ბროკიშვილი — არცერთი დარღვევა ღა დანაშაული რაზმეულთა რეაგირების გარეშე, № 4, გვ. 44-45

შ. ესიტაშვილი — მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, № 4. გვ. 43-44

ს. ნანიტაშვილი — საზოგადოებრიობის მონაწილეობით, № გვ. 30 32

ა. ნოდია — საზოგადოებრიობის მიერ დამნაშავეთა გამოსწორების ზოგიერთი საკითხის შესახებ, № 4, გვ. 38-40

დ. საბაშვილი— საზოგადოებრიობა სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში, № 3, გვ. 33-37

ბ. სალუქვაძე — ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე, № 1, გვ. 25-29

ს. ქაჯაია, ზ. მესენგისერი — ამხანაგური სასამართლოების საქმიანობა ახალი ამოცანების დონეზე, № 1, გვ. 25-29

ჭ. შარეიძე — საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, № 4, გვ. 40-42

წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

თ. ლილუაშვილი — სარჩელის შეცვლის საკითხისათვის, № 2, გვ. 50-54

თ. ლილუაშვილი —დავაზუსტოთ ცალკეული ნორმები და დებულებები, № 5, გვ. 25-28

ვ. მაყაშვილი — მისაღებია თუ არა დოცენტ ბ. ფურცხვანიძის წინადადებანი? № 2, გვ. 41-47

ზ. ნარიმანოვი — მუშა-მოსამსახურეთა გარანტიების გაფართოებისა და ცალკეული ნორმების დაზუსტებისათვის, № 1, გვ. 55-58

ე. ნეიძე — სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტისათვის, № 6, გვ. 36-40

გ. ნეიძე — შენიშვნები შრომის კანონმდებლობის „საფუძვლების“ შესახებ, № 2, გვ. 47-49

რ. რახუნოვი — სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების პროექტის შესახებ, № 5, გვ. 19-25

ბ. ფურცხვანიძე—საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შესახებ, № 1, გვ. 47-52

თ. ცაგურია — შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტისათვის, № 1, გვ. 52-55

ს. ჯორბენაძე — სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების შემდგომი სრულყოფისათვის, № 5, გვ. 13-19

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. აბაშმაძე — სახელმძღვანელო პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, № 6, გვ. 67-74

ა. ბურთიკაშვილი — ორი ფერი, № 5, გვ. 83-86.

ჯ. ბაქრაძე — ადვოკატის სიტყვაში არაპირდაპირ მტკიცებათა გამოყენების ნიმუში, № 6, გვ. 75-79

ი. გვათუა — „ლენინური წინასწარხედვა სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლაში“, № 2, გვ. 79

ლ. ზაიჩიკი — „საზოგადოებრიობის როლი დანაშაულობასთან ბრძოლაში“, № 6, გვ. 67

გ. თარხნიშვილი — მონოგრაფია საბჭოთა მემკვიდრეობის სამართლის შესახებ, № 2, გვ. 79-82

ო. კოლუაშვილი — „დაუსჯელი დამნაშავენი“, № 2, გვ. 81

ო. კოლუაშვილი — „სასჯელი და სოციალური დაცვის ღონისძიებანი“ № 6, გვ. 68

ი. ლექშასი — მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში, № 1, გვ. 59-68

ს. ლესელი — „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“ № 9, გვ. 69

ზ. მესენგისერი—„დაკარგული იმედი“, № 6, გვ. 70

გ. ნადარეიშვილი — დამხმარე სახელმძღვანელო „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“, № 6, გვ. 62-66

ა. პაიჭაძე — „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი“, № 6, გვ. 71

ვ. სიმონიშვილი — „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი“, № 6, გვ. 72

გ. ტყეშელიაძე — „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი გარანტიები“, № 2, გვ. 80

დ. ცინცაძე — ნაშრომი პირადი საკუთრების უფლების შესახებ, № 1, გვ. 67-68

ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის მასალები, № 1, გვ. 33-40, № 2, გვ. 34-40, № 3, გვ. 44-50, № 4, გვ. 65-75, № 5, გვ. 63-74

გ. ახვლედიანი — ზოგიერთი შენიშვნა „ლექსიკონის“ გამოქვეყნებულ მასალებზე, № 1, გვ. 41-42

ა. გელოვანი — ცალკეული იურიდიული ტერმინების დაზუსტებისათვის, № 1, გვ. 43-46

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ლომიძე — გერიდოთ ხელოვნური ტერმინების შემოღებას, დავხვეწოთ ლექსიკონი, № 4, გვ. 76-78

ნარკვევები, ინტერვიუ, ფელეტონი

ე. ბლაგოდარნი — თავისებურად ერთადერთი, № 6, გვ. 40-42

გ. ვაჩეიშვილი, შ. ესიტაშვილი — გასროლა ჭალაში, № 5, გვ. 75-82

ო. დგებუაძე — განყოფილების უფროსი, № 6, გვ.

შ. ესიტაშვილი — სვერის საიდუმლოება, № 1, გვ. 69-76

მ. თოფურიძე — საფლავის ქვა უწარწეროდ, № 2, გვ. 68-74

კვლავ ახალგაზრდული ენერგიით, № 5, გვ. 87-88

ზ. ქუთათელი — რ. ბოთერაშვილი იცინის, № 4, გვ. 63-64

ვ. ხმალაძე — ერთი მკვლელობის გახსნის ისტორია, № 3, გვ. 62-64

აკაკი წერეთლის სიტყვა სვანეთის გლეხობის შეიარაღებული აჯანყების მონაწილე სვანების დასაცავად, № 6, გვ. 42-50

წერილები, კორესპონდენცია, ინფორმაცია

აღვკვეთოთ საშიში დანაშაულობანი, განვამტკიცოთ საზოგადოებრივი წესრიგი, № 4, გვ. 82-85

შ. ესიტაშვილი — გავუფრთხილდეთ ადვოკატურის ავტორიტეტს, № 3, გვ. 67-70

კრიმინალისტური ლაბორატორიის შრომების საჯარო განხილვა, № 3, გვ. 70-71.

ა. კ. ახალი კანონპროექტების განხილვა, № 1, გვ. 81-82

ზ. მესენგისერი — როცა კრიტიკიდან დასკვნები არ გამოაქვთ, № 2, გვ. 65-67

მკითხველთა კონფერენციები, № 3, გვ. 72-74

მტკიცედ დავიცვათ სოციალისტური მართლწესრიგი, № 4, გვ. 87-90

შ. ნოზაძე — იურიდიული ცოდნა მასებს, № 6, გვ. 84-85

პარტიული კომიტეტები იხილავენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხებს, № 2, გვ. 75-76

ჟურნალ „საბჭოთა სამართლის" მკითხველთა კონფერენცია, № 1, გვ. 82-83

რა იურიდიული ლიტერატურა გამოიცემა 1960 წელს ქართულ ენაზე, № 3, გვ. 75-76

სანმეშო საზოგადოებრივი წესრიგისათვის, № 2, გვ. 76-78

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, № 4, გვ. 85-87

ი. ბ. სტალინის სახელობის თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე, № 6, გვ. 80-83

უფრო მტკიცედ ვებრძოლოთ ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, № 4, გვ. 79-82.

სხვადასხვა

გაზეთების ფურცლებზე, № 3, გვ. 77-78

იუმორი, № 1, გვ. 86 № 4, გვ. 95

იურიდიული ჟურნალების ფურცლებზე № 1, გვ. 79-80

ზ. მესენგისერი — კომბინატორები მელიის ქურქით... № 3, გვ. 65-66

ნეკროლოგი — შალვა ვლადიმერის-ძე მესხიშვილი... № 3, გვ. 88

სოციალისტური კანონიერების გაშუქება საქალაქო გაზეთში... № 5, გვ. 89-90

ქრონიკა, № 1, გვ. 85, № 2, გვ. 88, № 3 გვ. 87

ჩვენი სიგნალის შემდეგ, № 2, გვ. 82

წერილები რედაქციას, № 2, გვ. 84

სასამართლო პრაქტიკა, № 1, გვ. 76-78, № 2 გვ. 85-87, № 3, გვ. 81-82, № 4, გვ. 91 № 5, გვ. 91-95, № 6, გვ. 92-96.

არბიტრაჟის პრაქტიკა, № 3, გვ. 85-86, № 6 გვ. 89-91

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, № 6, გვ. 50

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, № 1, გვ. 84, № 3 გვ. 79-80, № 6, გვ. 51

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას № 2, გვ. 83-84, № 6, გვ. 86-88

საკანონმდებლო აქტები. ოფიციალური მასალა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „ანტისაზოგადოებრივ-პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ"; № 5, გვ. 58

დებულება საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ, № 5, გვ. 59-62

კანონი საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ, № 3, გვ. 31-43

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 26 მარტის დადგენილებები, № 2, № 3, № 4, გვ. 28-32, 46-51

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 4 ივნისის დადგენილებები № 4, № 5, № 6, ჟ. № 5, გვ. 29-40

ფასი 50 კაპ.

6/19/147

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 2

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР